

20-20 საუკუნის ავსტრიული ლირიკა. მასალები
ÖSTERREICHISCHE LYRIK DES 20. JAHRHUNDERTS. MATERIALIEN

 თომი XIII
BAND XIII 

თბილისი
2008

ქრისტინე ლავანტი

* * *

ამათ ვუწოდებთ ადამიანებს? – რა ადვილია ეს დაივიწყო!
ისინი მზის ქვეშ გაფენენ ჩრდილებს,
ტლანქესა და უხეშს – და ხმიანობენ.
უცნაურია: - მათ "მამაკაცებს" ვუწოდებთ, ვგონებ.
მამაკაცები? – კაცი? – განა ამ სიტყვას კვალში
შეძახილად არ მოჰყვა "ტრფობა"
და თან ტკივილი, ხომ ასეა, ჩემო წიგნო ზმანებებისა,
შენ ეს წარმოთქვი წამლერებით, გრძლად და ბრწყინვალედ,
გრძელი ზონრები ტკივილისა, ვით მატარებლის ლიანდაგები,
მაკავშირებს ადამიანებს.
შემდეგ მოვიდნენ ცხოველები, დიდი და ბნელი,
რომელშიც ნელა ავდიოდი, რაღაც ხმამაღლა ღრიალებდნენ
მათი თავები,
მერე კი შიგნით ვიღაცამ თქვა: "ჰე, დავიძარით!"
გვერდიგვერდ ისხდნენ, ვინც საკუთარ თავს გოგონებად
იხსენიებდნენ,
ხმელი ფოთლების შრიალივით ჟღერდა მათი ჩურჩულის
ხმები,
როცა ჰყვებოდნენ, რომ მათ სატრფო ელოდებოდათ.
"სატრფო" რა არის – ეს მსგავსია სენის, რომელსაც
სწრაფად მოიხდი,
და შეიძლება ჩაწვდე ისე, რომ ტკივილი არ განიცადო,
ამის მერე კი ადამიანს რჩება რაღაც, ტანზე აკრული,
როგორც ყვავილის მტვერი, როგორც უცხო სურნელი,
თუ ამით მხოლოდ გუშინდელი გრძნობა ნავლდება?
მაშ, ზმანებების ბალახია? – უეჭველად – ბალახია ზმანებებისა!
მისი გასინჯვა იმ დრომდე არ შეიძლებოდა,
ვიდრე საყვარელ მიწაში არ დავბრუნდებოდი,
შინ, ჩემს ბოლქვებთან.

* * *

დიახ, უფალო, მწამს, არსებობენ ორეული-ყოვლისმცოდნენი!
დიდი ხანია, ერთი მათგანი აქვე, ჩემი გულის ქვეშ სახლობს,
მისგან აშორებს მეოთხედი მტკაველი მხოლოდ.
ჩემს თვალებს იგი ცრემლებს ჰპარავს,
ჩემს ყელს კი – ქვითინს,
რათა ყოველთვის მათზე უფრო ადრე იტიროს.
რის გამო ტირის, მე არასდროს არ მეუბნება,
არც მიმანიშნებს, ვის ეკუთვნის ცხელი ცრემლები,
მაგრამ ასეთ დროს ჩემი გული ღელავს, ირწევა,
ვით უნუგეშო, უძმედო დედის სხეული,
რომელშიც კვდება ნაყოფი და ლპება, სივდება.
თუმცა, ძნელია შევადარო იგი რაიმეს,
ფიზიკურ ანდა სულიერ ტკივილს,
ვერც ვერაფერი დააცხრობს და დააშოშმინებს,
ვიდრე თავად არ გაუვა ყავლი.
ხშირად კი ეს დრო განა დღეებს – თვეებს მოიცავს,
უმეტესწილად – მხოლოდ შვიდ დღეს,
ვიდრე გარედან არ მოვა მაცნე
და არ მაუწყებს, რომ კიდევ ერთხელ
მენ საბოლოოდ ფესვებს უჭრი და ანადგურებ
ჩემს შემორჩენილ, ერთადერთ იმედს.
მხოლოდ მას შემდევ თუ იძინებს ჩემი მოსახლე,
ეს საშინელი ორეული-ყოვლისმცოდნე და
თვალებს უბრუნებს მოპარულ ცრემლებს,
ხოლო ყელს – ქვითინს,
გული კი – ყოველ ჯერზე – ღელვისკენ
უფრო და უფრო მეტად ისწრაფვის.

* * *

შავსა და წითელ კლდეების ძირში
ჩამარხულია სამყაროს შუშის ნახევარსფერო,
რომელშიც იყო სურათები
შენი და ყველა ადამიანის.
ეს შუშა აღარ გამოილდება.
აღარასოდეს არ გახდება სამყარო სფერო,
აღარასოდეს არ ექნება მას სიხარულის ელგარე ზეცა
გადახურული მიწის ზემოდან,
მხოლოდ კლდეები – შავი ფერის, წითელი ფერის.
მე ვაძრახუნებ ჩემი სუნთქვით,
ჩემი გულით და
ვეღარასოდეს ვერ დავაღწევ თავს ამ სიმბიმეს.
გარეთ ცოცხალი სურათებია,
გარეთ მაღაროს ფარანი ბჟუტავს,
უფალო ღმერთო, შენს მძლავრ ხელებში.
რად არ მოუხმობ ჩემს ბრინჯაოს მთავარანგელოზს?
მე ხომ მის გამო აქ ამომქოლეს,
როცა სიცოცხლის ფესვის მაღლა ამოსატანად
ღრმად ჩავაბიჯე ძველ მაღაროში.

* * *

უკან წაიღე ხსოვნის ყველა ადგილიდან
შენი სახელი, უკვე დამფრთხალი,
წაიღე, ვიდრე ალისფერი მამალი ჩემს გულს
დაამარცხებს და საბოლოოდ დაუუფლება.
სანამ დადგება შუაღამე, ჩაიფერფლება
ვარსკვლავების ხე მოსახვევს იქით,
ქვა საღვურის ქვეშ, ლიანდაგებთან,
ქალაქის სამი მეოთხედი და მწყალობელი ზურგი ღმერთისა.
დაიწვება და დაიფერფლება ბაგე ყოველი ადამიანის,
ვისაც დასცდება შენი სახელი დაუფიქრებლად,
ჩაინაცრება წელიწადის ბეჭედი შენი
ჩემი ცხოვრების ნაღვლიან ხეში.
უკან წაიღე, დაიბრუნე შენი სახელი!
მე ის ჯერ კიდევ ჩემი მკვდარი, უსულო დედის
უკანასკნელი ძალისხმეული მიგიგარ გულზე,
დაიფერფლება ისიც სევდა-ვარამისაგან.

* * *

დროის საათებს შორის დგას რიგში
ჩემი სიკვდილის საათიც და თავის ჯერს უცდის.
ო, ზოგჯერ როგორ სიხარულით ამოვიღებდი მას ამ რიგიდან,
გადმოვიტანდი ჩემთან ახლოს, წინათგრძნობაში.
მაგრამ ვინ მეტყვის, რომ სწორედ მას შევახე ხელი?
ყველა მათგანი ერთმანეთს ჰგავს, სახელები კი
არ გააჩნიათ ანდა თუ აქვთ, საიდუმლოა
და მხოლოდ ღმერთს და საკუთარ თავს ეკუთვნიან, ვით
მონაზვნები.
ხშირად ვიღვიძებ შუაღამისას, თითქოს მომესმის ძახილი და
მეჩვენება, ვიღაც როგორ ეყრდნობა კარებს,
ვფიქრობ შეშლილი: "შეიძლება, ის მოდგა კართან!" –
სუნთქვაშეკრული, მომუჭულ ხელს ვიფარებ პირზე,
რადგან უფლება არა მაქს, რომ ხელთ ვიგდო იგი.
თუმც, ესეცაა: ამით ბევრ რამეს, ყველასათვის ჯერაც უმწიფარს,
ნააღრევად გადმოვიღებდი, გამოვუხმობდი უსამართლოდ ჩემს
ბედისწერას,
შეხვედრებს, ტრფობას, განშორებებს, პკვლელობებს, ვნებას,
უამრავ სიკვდილს, გულებისთვის მხურვალე გრძნობებს,
და – თუ არ ვცდები – ნაღველსა და ჭირ-ვარამს შენთვის.

* * *

მაშინვე, როცა ბრძანებებს გასცემ,
ცა ტყვიის კუბოდ გადაიქცევა, მიწა კი – ლოდად,
და მაინც, ამის მიუხედავად, მიმტკიცდება სხეულში სული
მიშის დაძლევით მოპოვებულ სისხლით და ხორცით
და უცნაურად საიმედო, ბნელში თეთრად
ელვარე ძვლებით.
დიდი ხანია უკვე, რაც ჩემს მარტოობაში
იღუმალება იარება ჩაკეტილ წრეზე
და თავის ცხრავე ლამპარს უცვლის ხშირ-ხშირად ადგილს,
ვიდრე აღარცერთს არ ექნება შეშლილი სახე.
თუმც, მუდამ ერთი ადგილია განათებული,
შენ რომ ააგე, ის სენაკი განსაწმენდელის,
სადაც არასდროს იხედება ღმერთი და მისთვის
ცაც, ჯოჯოხეთიც – ერთნაირად ორივ უცხოა.
შესაძლო არის, მხოლოდ ღმერთმა უწყის, თუ რითი
სულდგმულობს ჩემი სული მას აქეთ,
ვინ ეხმარება ტყვიის კუბოს და კლდის ლოდს შორის
გზა გაიკვლიოს სინათლისკენ შენმა ყვავილმა.

* * *

უბედურებაც ჩამომართვი და გადაკარგე.
შემოგანათო ქვე-სამყაროს მჭვრეტი თვალები,
გისოსებს შორის ძილ-ბურანმა რომ მომაწოდა,
ვით მკვდრის ვაშლები ან საფლავის ორი ლამპარი?

შენ ყურს არ მიგდებ. იქნებ სმენა დაგეხშო უკვე?
ჩემს ყურებში კი გაბმით რეკავს ზარების წყვილი,
შემორჩენილი იმ დროიდან, როდესაც ჩემი
უბედურება მარწყულებდა და მაპურებდა.

რა თქვი? სრულიად უნდა გავქვავდე
და ჭის გისოსის ქვეშ გაგროვო წყალი წვეთებით,
ვიდრე სარკული წერილით არ მომიბრუნდები,
ჩემს ქვე-სამყაროს მჭვრეტ თვალებს რომ გადაუშალო.

* * *

თუ მოისურვებ გამომეცხადო
ჩემთან მოსვლამდე ერთი ჯამი რძე
შენ ჩემი გულის ღრმულში ჩაასხი
სადაც ბინადრობს მრისხანე ზღარბი
შიმშილისაგან გაცოფებული.

თუ მოისურვებ გამომეცხადო
ჩემთან მოსვლამდე ცეცხლის გვირგვინი
ჩემი ტვინის ქერქს გარს შემოარტყი
სადაც მორიელს გესლით აღსავსეს
დაჰყავს თავისი ნაშიერები.

თუ მოისურვებ გამომეცხადო
ჩემთან მოსვლამდე წმინდა ლოცვები
უკითხე ამ ჩემს ენას ქვადქცეულს
რომელიც სიტყვის დასაფერფლავად
ყოველდღე ცხრაჯერ ჩადის ჯოჯოხეთს.

მას შემდეგ როცა აღასრულებ ამ ყოველივეს
მობრძანდი გახსნილ შუბლს და ბაგეს შემოგაგებებ
ჩემი გული კი სათუთი და სინაზით სავსე
ვიდრე არ მოხვალ ჯვრის ნიშნის ქვეშ დაგელოდება.

* * *

რაც ფიქრებიდან ვერ გავახუნე,
შენი სახელით მაწამებს, მახრიბს,
ერთი ვარსკვლავი იმ ფანჯრის ჩარჩოს
შერჩა, შუბლით რომ გავეხახუნე,
რათა ყოველი გადამეშალა.
მთვარის სინათლე რაღამ შეშალა,
გზა დაბნევია ამ შუაღამეს,
უბრად ჩამსხდარან ბორცვები, რამე
ფარული ტანჯვა აწუხებთ თითქოს.
"მამაო ჩვენოს" ვკითხულობ, ვითხოვ
შვიდჯერ, და ყველა გავხარჯე უკვე,
ვამჩნევ, თითქოსდა საქმევდლს ვუამტვო,
ასე ქროლდება ყველა, ვით ერთი,
ვიდრე ინათებს. მე ვერ მცნობს ღმერთი.
მთვარის სინათლე შორდება სახლს და
ვარსკვლავი – ფანჯრის ჩარჩოს – მე ვიცი
დარჩება ფიქრი, არ უნდა ახსნა,
ის შენს სახელში ანთია, ოწვის.

* * *

არ მოაშორებ ჩემგან ამ ვარსკვლავს?

შენ გეუბნები, მეზობლის ძაღლო,
აღარ მოუშვა ის ჩემთან ახლოს,
პირზე უაზრო სიცილი აკრავს!

შეჰყევე ერთი ძაღლურად, ავად,
ქარივით გაქრეს, გამეხარდება,
მე სხვა ვარსკვლავის არ მსურს ხატება,
ძაღლ-ვარსკვლავი ხომ შენა ხარ თავად!

ფიქრობ, რომ ჩემს შავ გულს არ ეყოფა
ეს ყველაფერი, რაც არის ახლა?
ის ბრძად პოულობს ტკივილს და დახრავს,
ვიდრე თვით ორად არ გამეყოფა.

არ გშია, ძაღლო, აქა ხარ ისევ?
რაიმე ჭამეთ, წადით თქვენ ორნი!
გადაიკარგა ვარსკვლავი შორით,
ვტირი და კი ვერ ვპოულობ მიზეზს.

* * *

რატომ მაჩვენებ დედისეულ ნიშანს სხეულზე?

მე ხომ არ გშობე, შენ გაჩნდი თავად,

ჩემი პატარა გაპარსეს კრავად

და ახლა ყმუის ძუ მგლად ქცეული

ველზე ოთხოცდაცხრამეტი ფიჭვის.

შენი ნიშანი ანათებს, იწვის

ხან მიღეულ და ხან სავსე მთვარედ,

ჩემთვის უცხო ხარ, ვერ შეგიფარებ,

ვერ გალიარებ, ეძებე სხვები.

მიწის ნაშობი მე მეტად მიყვარს,

მას ჭინჭრებიდან რომ ამოვიყვან,

სიხარულისგან დავისუსხები.

გამაღარიბებს ყოფნა აქ მისი,

მაგრამ ბეწვი აქვს ნაზი, ფაქიზი

და სუნი ასდის ახალშობილის.

მე ნუ გამპარსავ, ხელს ნუ შემახებ!

მთვარის ნიშანი ნიშანია მამისეული,

ვინც მე მომტაცა პატარა და დავრჩი ეული.

* * *

ფერზე მოდის და ივსება მთვარე,
ვარსკვლავთა სახლი აიგო გარეთ,
მიწა მსხლის სურნელს ამოიდინებს.
მე შვიდი შუბლით ვფიქრობ, შვიდივე
ცდილობს საკუთარ აზრების დაცვას,
ორი კამათობს, ქვა სჯობსო მარცვალს.
სუთს – ხუთნაირი ძილი ერევა.
ყველას რომ ჩემთან სურდა შეკრება,
ეს, რა ხანია, აღარ მაკვირვებს,
მერე კი უკან წასვლას აპირებს
ყველა, მას შემდეგ, როცა შეძლებენ
ხელთ იგდონ... ვიცი, რასაც ეძებენ,
რად თხრიან ჭის ძილს, მარცვალს და იმ ქვას,
სურთ მაკვლიონ იქ უფლის სიტყვას,
რომელიც კურნავს, ტკივილს აცილებს,
მსხლის სურნელს პურად გაუნაწილებს
ყველას, ჯერ კიდევ ვინც ჭამს. ეს სიტყვა
გადაგავიწყებს, რაც არ გსურს, ითქვას!
სწორედ ამიტომ ეძებენ, აღბათ,
და ყველაფრისგან ვიცლები სწრაფად.

* * *

შემოქმედო, რაც ყალბად ჰქმენ, დაივიწყე!
მხოლოდ სისხლის გადამსხმელად რომ არ იქცე,
რაც გვამია, ეგ გადასხმა ვერ დაიცავს,
კვლავ დარჩება გვამად, რათა დაბლა მიწას
შეუერთდეს სიხარულით, განა ზეცას.
წადი, მორთე შროშანები შენებურად,
ბეღურები ტკბილი თაფლით დაპურე –
მე საკვებად ობს ვიყენებ, უანგის მტვერსაც.
შენ ამბობ, რომ ამითი ვერ დავნაყრდები,
ღვთიურ ქალაქს რად მიხსენებ? როგორც ვხვდები,
მას მრავალმა მიაღწია. იყვნენ სხვები,
მსიამოვნებს, ქვად ვიქცევი მცირე ხანში,
მაგრამ ტვირთად შენ არასდროს დაგაწვები.

* * *

გულო, გასწი, სადაც ითხოვ,
მიაშურე მთვარეს, იქ ხომ
ბინადრობენ სულელები.
ჰა – დატვირთე ეგ ურემი,
გადაავსე, როგორც გინდა,
ხოლო ლაგამ-უნაგირად
შენს ანგელოზს სისხლძარღვების
მტკიცე ბადე ჩამოაბი.
არც ყმა მინდა, არც დოლაბი,
დახმარება არ მსურს სხვების,
მე მივხედავ ჩემს თავს თვითონ.
ჩემი სისხლის ჩარჩი გახდი
და მთვარეზე გადასახლდი,
იქ თავს იგრძნობ, შინ ხარ, ვითომ,
არც შეგცივა, არც შიმშილი
შეგაწუხებს. მუდამ მშვიდი
იყავ – სულელების დარად –
მაგრამ თავში გქონდა მყარად
ფიქრი მასზე, რაც ვერ ვპოვეთ.
ეს მაქვავებს და სულს მირყევს,
შენ მთვარეზე შენს ხატს მიჰყევ,
ღმერთს გაფიცებ, მიმატოვე!

* * *

საფეთქლები მებერება თბილი ქარით –
გსურს, რომ ჩემი მახსოვრობა შესვა, ღმერთო?
მიწას წვეთიც კი არ უნდა დაედვენთოს,
ის ხომ ასე ლამაზია, მინით არის
ჩამოსხმული და ლამაზად მოხატული.
არც ერთ სასმელს შეუძლია, რომ დაალბოს
შენი ტვინი, გამოცალე სრულად ამ დროს
ჩემი ქალა, ეს არ არის შენთვის რთული.
ძალზე სწრაფად ავიწიე ზევით, მაღლა,
დაბლა მოჩანს ტყეების თმის ხშირი ტალღა,
თეთრ ქალაქს რომ შემორტყმია, თითქოს კრავის
ირგვლივ ლომის ფაფარია, წითლად ყვავის
მამლის ბოლო და ბიბილო იქვე, გზასთან,
სადაც ადრე იდგა შენი ძის ცხედართან
მახსოვრობა ჩემი. ნუთუ უწყის ვინმებ,
ჩემს ძველ ყოფას თუ რამდენად განმარიდებ?
აღარ ვიცნობ მე იმ ტანჯვას, რომლის ძალაც
მაიძულებს, რომ მაცხოვრად თავი ვიგრძნო,
ეკლებს შორის გზა გაიგნო, ღმერთო, ვინძლო,
გულმოწყალედ შესვი ჩემი თავის ქალა.

* * *

ამღვრეული ვწერ და ვუმზერ,
სიტყვა ელავს მთავრის შუქზე,
დასაცინი გავხდი მტრედის,
წყლის სარკიდან, გზა რომ შედის,
გავყევი და სხვა სოფელში,
სიმარტოვის სამყოფელში
შევაბიჯე უსახელოდ.
ჩემი მზერის მარცვლის ღერო
სანამ დიდი გაიზარდა,
მომიწევდა მთვარისა და
მტრედის მოკვლა, სულ რომ მმტრობენ,
დამცინიან და ბუდობენ
ჩემი ძილის ხეზე, ხოლო
ის კი ხმება. ხშირად მხოლოდ
ერთი სიტყვა, ვით ბრმა მგზავრი,
ჩანს მის ქერქზე, მე მას ვგზავნი
უსარგებლოდ ჩაიხრახნოს
შენი ძილის სხეულს შიგნით,
ხოლო მთვარის ნაჭერში კი
ჭეშმარიტი სიტყვა სახლობს.

* * *

ჩემი ხერხემლის თითოეულ მალას უყურებს
მზის თითი და მათ განსხვავებულ შეკითხვებს უსვამს –
მე დღის ქვეშ გსახლობ, სრულიადაც არ ვუგდებ ყურს მას,
რადგან ყურებში გაბზარული ზარი გუგუნებს
დღისით და დამით, გამუდმებით, აღარ ჩერდება
და გარეთ აგდებს შენი სახელის უსულო სხეულს.
ჩემი ნება კი რახანია უპოვართა სახლში ბერდება,
ცივი ცოდნის ფიფქს, უკანასკნელს, მზის სხივით ძლეულს,
მის სახურავზე ცრემლი სდის და მიუონავს შიგნით.
ტანჯვა-წამება, დაკითხვისას მზის თბილი თითით,
სინათლეს მოპევენს, რაც კი არის ღრმა, ბნელ ხაროში.
იქით არასდროს ვიხედები, ქვე-სამყაროში
ჩავყურებ ორმოს, სადაც ერთ დროს შევხდით ერთმანეთს
და სათითაოდ ვითვლი შენი სახელის მალებს,
იმ დროს, როდესაც ჩემებს მზისგან ნაჩხვლეტის ძალა
გამოაფხიზლებს, გონს მოიყვანს და ყველა მალამ
იცის, რაც იყო, რაც არის და რაც ზვალ იქნება.
ყველაფერს მხოლოდ თავის ქალა განერიდება,
ის გრძნობს, მზის სითბო მახვილივით როგორ ატყდება
ჩემი გონიდან საიდუმლოს გამოსათხრელად.

* * *

რა ძნელია, შენ არ იცი, დამიჯვერე,
"ჰოს" სათქმელად ყველა გრძნობა დაითანხმო.
ზოგჯერ მიწევს, ძაღლებივით რომ გავლახო
და მარყუჟით მოტყუებით დავიჭირო,
შევაკავო ერთად ყველა.
მაგრამ ხშირად იქცევიან თითქოს გველად,
უხმაუროდ გარეთ გასრიალდებიან,
როცა შენი ფლეიტიდან გადმოსული ჰანგებია
მოდებული აქეთ-იქით დედამიწას.
გარეთ ყოფნას მაშინ დიდხანს უნდებიან,
მაგრამ მერე შინ უეცრად ბრუნდებიან,
რათა ჩემზე გაბატონდნენ – ვინ დამიცავს.
ერთმანეთში ირევიან, არასწორად ლაგდებიან,
ყველაფერზე უარობენ, არაფერზე მთანხმდებიან
და ჩემს ნებას წინ და უკან აბრუნებენ.
მხოლოდ ერთი რამ დააცხრობს იმათ ვნებებს
და მეც შევძლებ მოვიქციო ხელში მაგრად:
არტახები მოვქსოვო და გადავაკრა
ტვინის ირგვლივ, გულისაკენ, მხრიდან მხრამდე.
მაშინ, როგორც აბრეშუმი, რბილდებიან
სასუფეველს ცისას განერიდებიან,
ვიდრე თვალებს ტკივილისგან მოვხუჭავდე,
- ჩემი მზერა გიუმაჟური, თვალის ჩინი,
მოახერხებს, აშობინოს ქვასაც ჩვილი,
სიმამაცით, ცბიერებით არის სავსე –
რა ძნელია, შენ არ იცი, ყოფნა ასე!

* * *

მხოლოდ ჩიტები თუ შეძლებენ
გადაიარონ ამ მყიფე ძილზე.
ქვემოთ კი, წყალში, რომელიც ფხიზლობს,
აჩქარებული ნაბიჯები,
უკვე ნახევრად მფრენი ჩიტების,
უფრო მრავლდება.
ოჰ, ჩემს სულს უმბიმს!
ვინ ჩამოჰკიდა კისერზე ლოდი,
ანდა ფრთები ვინ შეუბოჭა?
არადა, სწორედ იგი არის აჩქარებულ ფრინველთა დედა
და ოდესიაც გადმოვლილი ღრმა წყლების თავზე
მიაღვა კუნძულს, რომელიც ბრწყინავს.
ყურს უგდებს ზევით,
ყურს უგდებს ქვევით
და იმ დროს, როცა ფხიზელ ძილზე
ფრინველებივით სუსტი ფეხებით აბიჯებენ მჩატე ფიქრები,
ის ქვაზე უკრავს, როგორც დოლზე:
დიდება უფალს მაღლა ზეცაში!

* * *

შენ ეს ფრინველი დამცინავად აღარ დაგისტვენს!
მე მისი ყელი ნინევიელ იმ ქალს მივყიდე,
დედის საწოლში საიმედოდ თავს რომ აფარებს,
და სულ სხვაგვარად გალობს ახლა ფრინველი მისთვის.
ამ სიძლერებით მის ბავშვობას კვებავს, აპურებს.
მთვარეს ლოყები ჩასცვენაა, ჩემთვის შიმშილობს,
ქურასთან უწყლოდ იტანჯება დამშრალი გობი
და მოცახცახე შუქი ჩემი თვალებისა ფანჯრის მინაში
ნინევიელს უმზერს თვალებში.

* * *

მე ჩემს რისხვაში სრულად ჩაგძირე!
ახლა მიწაზე ფოლადისა ხარ,
ხოლო მიწის ქვეშ შენი ფესვები
დაფშვნილ ქვებს შორის გაიტოტება.

ნუ გამოიღებ ჩემს გამო თავთავს!
განა იმიტომ გაგწროე ფოლადად,
რომ დამანაყრო, ჩემია მწიფე
ვაშლის ნაწილი გველგესლას ტოტზე.

მახვილს თუ შროშანს – ორივეს პგავხარ!
მინდა ავტყორცნო შენი სიბასრე
და ვიქცე მიწის სათუთ დობილად,
ვაცდუნო ღმერთი, ვით მან მაცდუნა.

ღმერთმა ჩემს გულში სამჯერ ჩაგძირა,
გიბრძანა, რომ მას არ დამორჩილდე –
მე კი რისხვაში ჩაგძირე; ღვთის ძეს
წაულე ჩემი ვაშლის ნაწილი!

* * *

მომწყვიტე ყველა სიხარულისგან.

მაგრამ, უფალო, ამისდა გამო

ზუსტად იმდენ ხანს დავიტანჯვები,

რამდენსაც თავად მე მოვისურვებ.

შენს წინაშე ვარ, შეპყრობილი რაღაც შეშლილი კადნიერებით
და მრისხანე გამბედაობით.

აღმართე ხელი, ძირს დამანარცხე,

მე კი კვლავ უფრო მაღლა ავხტები,

მომცრო, წითელი, მრისხანებით აღსავსე ბურთი,

არ მოგშორდები თვალთახედვიდან.

ყოველი მხრიდან, სადაც მისვრი, შენთან ვბრუნდები,

რაღან მომწყვიტე ერთადერთ ადგილს,

სადაც ჩიტივით ლაღად ვფეთქავდი,

ბურთად მაქციე და გამახვიე

მარადიული ტანჯვის ბადუში.

* * *

კუ, ასპიტი და ოქროს მახვილი!

ყველას თავისი უფლება აქვს ამ პეიზაჟში,

წვიმა მას ბრძოლით მოიპოვებს მზის დარტყმისაგან,
მთის ზურგი – წყლისგან.

აქეთ არასდროს აღარ მოზვიდე, დრო რახანია ამოიწურა.

ამ სურათებთან ვსახლობ ახლა და

სადა სიმკაცრის მარტოსული ბინადარი ვარ.

უფრო მორჩილნი იქნებიან სილრმისეული სურათები,

თუკი ერთმანეთს ბრძოლაში ძალთა ოდენობით ამოიცნობენ,
ვიდრე ყოველი სამართლიანად არ ჩაიმუხლებს მეორის ზურგზე.
შენ ვერსად ნახავ ასეთ შიდა პეიზაჟს, რადგან

მსგავსი ბრძოლისგან გათავისუფლდი.

არც ამ სურათებს წაართმევს სხეულს

მახვილი შენი თანდასწრებით.

შენს სახელს უკვე აღარ შერჩა იმის იმედი,

ფეხი დაადგას ზურგზე ჩემს სახელს,

რადგან მებადურს აუღია შენი სახელი,

რომელიც ჩემი გარდასახვის ბადეში მოჰყვა.

* * *

სამხრეთის ქარი უბერავს ტყეში,
ხორბლის ყანაში მწყერი გოგმანებს.
გული ძგერს რაღაც უცნაური, გიუური რიტმით
იმგვარად, სანამ ეზოს ძალლი არ დამიყეფებს
და ერთ-ერთი შავი დედალი
ჩემს ჩრდილს შეერწყმის.
უწინ დღისით მზე, ღამით –
მთვარე იქმოდნენ ამას.
მაგრამ მე უკვე შევუტიე მამაზეციურს
და მოვითხოვე, გვერდში დამიდგეს,
როცა ქარი ქრის,
დაგოგმანებს ყანაში მწყერი
და ჩემი გულის რიტმი ეცემა.

* * *

ეს რა უთავო ღამე ჩამოწვა!

არც ერთი ძალლი არ შეუყეფს ოხშივარით დალიბრულ მთვარეს,
ღია სარკმლის წინ ისევ უკან ბრუნდება ქარი
იქ, საიდანაც გამოემგზავრა.

ირგვლივ ყველაფერს ნაგვის სუნი გაუჯდა უკვე
და ღირსეულად ემატება მტვრის გროვას მტვერი,
წამომართული ბაბილონის ციცქა გოდოლად,
რომელშიც ჩემი მოწყურებული ვარსკვლავ-თვალები
ღვთის სასჯელს ჭვრეტენ.

არა, არავინ მიუთითებს ჩემი გულისკენ,
არ შემიძლია, მისი დრო და უამი ვიცოდე.

ძალზე პატარა, უმნიშვნელო ჭრილობაა უთავო ღამე,
მასში არავინ აღესრულება და არც ღმერთის გზას შეუდგება.
ო, ღმერთო, ჩემი შიშის ღმერთო, მორჩილო ღმერთო,
წადი და ერთად ყველა ძაღლის ენა აუზვი,
ვიდრე ეს მთვარე ძრწოლისაგან არ გაიღევა
და გამყინავი ხმით ქარს უბრძანებს –
გაანადგუროს ბაბილონის ციცქა გოდოლი,
ღირსება, მტვერში წამომართული.
მირჩევნია, დამცირებულ მტვერში ვისუნთქო,
არ მსურს, ღირსებას მივაღწიო!
არა, არავინ მიუთითებს ჩემი გულისკენ
და სანამ უამი საიმედო დადგება, უკვე
უთავო ძილი დამეუფლება.

* * *

უცნობი ქალი მჭამელია ანტიღმერთის თმის,
სურდა არყის ხის ტოტებივით რომ გაზრდილიყო,
ძისთვის – სიკეთედ, მთვარისადმი სათნოდ ქმნილიყო,
ჰქონოდა ქოხი, განკურნების წელიწადისთვის
და საზღაურის მიგების დღეს ოქრო ჰქონოდა.
ის უცხო იყო ჩემთვის, როგორც ლამის ობობა,
თუმც გამუდმებით სურდა მკერდზე რომ დამკონოდა
და სათითაოდ, რაც გამაჩნდა, მან ყველა გრძნობა
დააობლა, რომ გაეყიდა და გაექურდა.
ჩემს ჩრდილთან ხშირად თამაშობდა, გასწრება სურდა,
ძალაგაცლილი უღონოდ რომ ჩავცუცქდებოდი.
ხშირად, დარდისგან ჩერდებოდა სისხლი, ვხვდებოდი,
მაღლა, ჩემს თხემზე, ის გალობდა ტოროლას სახით,
სადაც ანტიღმერთის მოუხმობდა მის სანახავად.
მე ვფრთხილობ, ის კი ჩემს ზეცაში სეირნობს წყნარად,
ამაო არის ყოველივე – ვისმენ მის ძახილს,
ჩემს ჭერქვეშ იგი თავს წმინდანად შეიგრძნობს, ვგონებ,
მან მუცლად იღო ანტიღმერთის თესლი და სახე.
მე კი, როგორც თაგვს, გამუდმებით მიმზადებს მახეს
და ფხიზლად ყოფნა მიწევს მუდამ, დღედაღამ, თორებ
მომპარავს იგი უკანასკნელ სიზმარსაც ძილში,
გულში რომ ვმალავ საზღაურის დღის მოლოდინში.

* * *

ალბათ, ცხოვრებას ვერ ავიწყობ მსგავსი დღეებით.
მგონია, სანამ დედის სხეულს მივატოვებდი,
თვით ბედისწერამ მიმატოვა
და გაეშურა – ჩემზე მამაცი და გამბედავი –
უკეთ დვთისაგან მივიწყებულ, უულ ვარსკვლავზე,
იქ დარჩა, დაწვა და მიიძინა.
იქნებ, მბრწყინავი საფეთქლებით ნახულობს სიზმრად,
რაც მომავალში თავს გადამხდება.
ხშირად ვვერაგობ, ქარს ვნებდები, ამიტაცოს
და მართალთა კერასთან დამსვას,
უფლებას ვაძლევ შემწვანე, გამფუცევნან
და მერე კი, იმედს მწარედ რომ გავუცრუებ,
გადმომაფუროთხონ ისევ ცეცხლში
ან მარილწყალში.
იქ ხშირად ვფიქრობ –
ნეტავ, ღმერთმა ჩემს შესახებ თუ იცის რამე,
ან ჩემნაირებს თუ ჰყავთ, ნეტავ, მფარველი სული
და ყოვლადწმინდა სულის დვრიტა მხოლოდ მათშია,
ჯანსაღ სხეულს რომ ატარებენ, კბილებით კვნეტენ
კაკლებს და სხვების ბედისწერას, კუთვნილის ნაცვლად.
საღად ვერავინ ვერ აზროვნებს ცეცხლსა და წყალში –
გთხოვთ, მომიტევეთ, მამაო, ძეო და სულიწმინდავ!
თქვენ სამება ხართ, მე კი ასე მარტო, უული
და აღარავინ გამიღვიძებს ბედისწერას ჩემგან შორს, მაღლა.

* * *

მსურს შეშლილებთან გავიყო პური,
ყოველდღიური ერთი ლუკმა უსასოობის
და ზარი, გულში არსებული,
სადაც მტრედსა აქვს
პაწაწინა თავშესაფარი
უდაბნოსა და წყლების ზემოთ.

დიდხანს ქვად ვიყავ
საგანთა ფსკერზე,
მაგრამ მომესმა, ზარი ჩუმად
როგორ რეკდა შენს საიდუმლოს
მფრინავ თევზებში.

მე შევისწავლი ფრენას და ცურვას;
რაც ქვისაა, ქვებში დავტოვებ,
სოლო სადაფში ჩავაწვენ ნალველს
და ავმაღლებ რისხვას და ურვას.
მენს მოთმენაზე უხნესია ეს ჩემი ფრთები,
ჩემი ორივე ფრთა უძღოდა წინ სიმამაცეს,
რომელმაც ტვირთი სიგიჟისა მხრებზე დაიდგა.
მსურს შეშლილებთან გავიყო პური
მტრედის საზარელ უდაბნოში,
უსასოობას სადაც სამჯერ ამცირებს ზარი,
როცა შენს სახელს სამჯერ დარეკავს.

* * *

მთვარესაც კი დაამსხვრევდა მსგავსი ღამე,
ვით მკვდრის თვალებს, ავაზაკის ყველა კიდურს.
მას კი, სუსტს და ცაზე ოდნავ ჩამოკიდულს,
აცახცახებს მყრალი ტბორი, ხოლო ქარის
დამსხვრეულ ფრთებს დამცინავად
უმზერს ჩიტი. მე კი სამად
სამისათვის ვმღერი იმას, რაც არასდროს
დასცდენია დედის ბაგეს, ჰანგი ანგრევს
ღამის ჭიშკარს, ვეგებებით მამლის ყივილს.
გალობის ხმა ფრინველს სიცილს აწყვეტინებს,
თითქოს გულში ურჭობს ისარს,
და დაფრინავს აყვავბულ კვერთხის ირგვლივ,
ის ჩვენ სამმა ჩავრგეთ მამლის ყივილისას,
ჩემში დნება ლოდი ქვისა,
მომსხვრეული ამ წლის ღამეს ზეიძისას.
არ ასვენებს ფეხისგულებს ჩემსას ფიქრი,
რად ცეკვავენ ბუჩქში ეკალ-ბარდებისა.
ქარი დგება, ტყეში ქრება მთვარის გარსი,
დედა მღერის და ამოზრდის მამლის არსში
ეკლით სავსე, ტკივილის და ცეცხლის ვარდებს –
უფრო მაღლა, სადაც ჩემი ყვირილის ხმა გაუგიათ
და ებრძვიან ყოველგვარ ნაკლს, რაც სხეულში დაივანებს,
დაარღვევენ, თუკი ვინმეს მდუმარების მტკიცე აღთქმა დაუდია.

* * *

ო, ვარსკვლავო, შინ დაბრუნდი, მითრთის ზელი,
დე, ხატება შინაგანი ზიდოს ჩემზე
უფრო მძლავრმა! შემოვიხვევ დამეს მხრებზე,
გავიხსენებ, ასე რატომ გამახელა
შენმა ნახვამ, რად დავკარგე სიმამაცე ან გონება,
მუდამ ჩემთან რომ იყო და არასოდეს არ მტოვებდა?
ვაი, შენ, თუ არ დაბრუნდა, თუ ის სადმე გაიტაცეს!
უცხოთათვის გამოვზარდე იგი განა.
ნახე, ცაზე შენი კვალი მოირკალა!
ძირს ვარდები, რადგან ჩემი სიმამაცე
უფრო მძიმე ტვირთად გაწევს, ვიდრე – მე ეს ხატი შენი.
მოსასხამით, ასე ძლიერ მე რომ მშვინის,
დავლივლივებ, გონება და სიმამაცე თუმც არ შემრჩა,
გრძნობებით ვარ სავსე, მაღლა ვარსკვლავებად რომ ადიან,
ეგ ხატება შინაგანი სხვას უჩვენე, ჩემზე ძლიერს,
მე კი ჩემი უძლურების ფესვებს შევჭამ.

* * *

თუ შემომიშვებ, ვიდრე დილით იყივლებენ შენი მამლები,
ძვლის სახლში შენთვის ვიმსახურებ, თავს არ დავზოგავ,
ავახმიანებ გულის ღოლს და ჰაერს მოგაწვდი,
რომ სულის ვარდი სამჯერ მოირწყოს
დილით, შეადლით და მზის ჩასვლისას.

თუ შემომიშვებ, ვიდრე სრულებით ჩაქრებიან ჩემი თვალები,
მათში ჩაკირულ შენს ხატს გავალლობ, მივანიჭებ თავისუფლებას
და ანგელოზთა მეუფედ ვაქცევ, შევთავაზებ
თავად მამალმერთს, როგორც ასლს და სრულქმნილ ხატებას
რწმენით, იმედით და სიყვარულით.

თუ შემომიშვებ, ვიდრე მხრებზე ჩამომტყდება დაღლილი ფრთები,
თავს სამჯერ მოვპეტ სიკვდილს გველით, მხოლოდ შენს გამო,
ამოვთხრი ურვა-ვარამის ფესვს და თვითვე შეგჰამ,
ხოლო შემდეგ კი მზის წნულიდან ამოგაწვდი
მტრედს, პურს და ღვინოს.

* * *

ო, მთვარევ, ვეფხვივით ზოლიანო!
მგელ-კატავ, შე ცხრაგზის ზოლიანო,
ჩამოდი, თუკი ხარ გამბედავი,
იყავი ამ ჩემი ეზოს ძაღლი
და ჩემი კალთის ჩვილს უდარაჯე.

მე ისევ წავალ ფარშევანგის კარვის სოფელში,
დავპირდი შვიდ ფერს,
რომ ვიბზინებდი, ვილივლივებდი, ვატრიალებდი ბორბლებს იმ
დრომდე,
ვიდრე გაშლილნენ მელოგინის კარავს ქალისთვის,
უიმედოდ და უნუგეშოდ რომ დაჰურებს საკუთარ კალთას.

ო, ქარო, ბუმბულით შემოსილო!
ცხრაგზის ფრთამალო ზეცის ისარო,
აფრინდი, თუკი ხარ გამბედავი,
მზის თვალის ჩინი ჩამოაგდე
ჩემი ჩვილი ბიჭუნასათვის.

უნდა მივიდე კიდევ ერთხელ ჭინკების სამყოფელში,
არ წამიშლია, ვგონებ, ჩემი ნაფეხურები,
უნდა დავთესო კვერცხის ნაჭუჭი, მინის ნამსხვრევი
და შეუმჩნევლად გადავსახო ჯვარი ერთ ჭინკას,
ჩემს შემდეგ, კვალში მომავალი ერთი ქალისთვის.

ო, მთვარევ, ორგულო, ზოლიანო!
ო, ურჩო ისარო, შებუმბლულო!
სად დაუმალეთ ჩემი ბიჭუნა ჩემივე თვალებს,
გამუდმებით მას რომ ეძებენ?

* * *

თავი დაიხრჩო ჩემბა ძილმა წყლის დინებაში.
მისი მანტია და ფეხსაცმელი,
ქვაზე მობმული,
შემომიგდო სარგმელში ღამებ.
ახლა მძინარებ უნდა ვიარო
აქეთ და იქით ამ ჩემს ოთახში
და დაკინახო, როგორ მევსება
წყლის ხატებით ორივე თვალი.
წინ მიმიძღვება მე ჩემი ძილი.
ტანთ შემოვიდნობ მისი ტყვიის მანტიას ჯერ და
უნდა გავცვითო მისი ცხელი ფეხსაცმელები,
უნდა გამოვხრა მისი ბილო სიჩმრის ქვა-ლოდი,
მხოლოდ მაშინდა შემიძლია, რომ უკან გავყვე.

* * *

დალეწე ზარი, ჩემს ყურებში რომ ჩამალულა,
გადამიჭერი ყველა კვანძი, რაც ჩემს ყელშია,
გაათბე ჩემი მოგუდული, უსულო გული
და მოამწიფე ჩემს თვალებში ორთავ კაპალი.

დედის სხეული დდენაკლულმა, უშნომ დავტოვე.
რა იქნებოდა, გაგესროლე მზეში, ღამით კი
ძალლის ვარსკვლავში! – მე ვაბრალებ შენს გულჩვილობას,
ნაცარს რომ ვქექავ, ნაადრევად მომწიფებული.

ვინ ჩამიქრო და გამინელა მიწა უდროოდ?
მასში ხომ ზარი გადნებოდა, დაიწვებოდა
ყველა კვანძი და ჩემი გული აალდებოდა,
თვალის კაკლებს კი ექნებოდათ უკვე ლებნები.

* * *

შენ დაითვალე დროის კბილები?
გაზავს ყოველი მეშვიდე ჩემს გულს
და ამბობს: უფალს ვმსახურებ ლხენით,
მისი გულისთვის კლდეშიც კი გაგალ.

შენ დაუნამე მზეს ყველა სხივი?
მათგან პირველი სულ ტვინს მიშანთავს
და ზედ აღბეჭდავს შავი ნიშნებით:
შენ პირისაგან მიწისა აღვგვა!

შენ თუ დაყავი ოთხ წილად მთვარე?
მეოთხე წილი სულ მუდამ მათრობს,
მიტევს: აგაკრავ პირზე ალიკაპს,
შეევედრები ვიდრე მაცხოვარს.

შენ გააფრთხილე ყველა ვარსკვლავი?
ყველამ დამტოვა, იმ ორის გარდა,
ჩემს თვალებში რომ ჩაბუდებულან.
ო, დააშსხვრიე, უფალო, სარკეც!

* * *

შესანიშნავი დედაჩემის ზათრით მაღირსე
და მომივლინე ზეციდან, ალბათ,
უფალო, ასე უსაზომო უბედურება,
რომელიც, ვცდილობ, ჩავყლაპო, მაგრამ
გაჩხერილი მაქვს ყელში და მახრჩობს.
ყოველდღიური პური არსობის იყო იგი დედაჩემისთვის,
ყლაპავდა შიშს და უსასოებას,
საღამოთი კი თვინიერი, დანაყრებული
ლოცვებივით გიძლვნიდა ოხვრებს.
მე მას მეშვიდე წელია ვღეჭავ
და არ გავზრდილვარ თუნდაც ერთი მამლის ნაბიჯით,
სულ მშიერი გარ და, ამასთან, მეტად მაძლარი,
რომ ვღეჭავ ასეთ მკვრივ და უხეშ უბედურებას.

* * *

მთვარე, ქარი და ვარსკვლავები ამას ჩემთვის აღარ სჩადიოდნენ,
და ზეცის ერთადერთი პასუხი ყველაფერზე
იყო თოვლი – უკურთხებელი თოვლი.

ყველა ანგელოზმა და შემწემ მშვენივრად უწყოდა,
ჩემი ცხოვრება ასე ვეღარ გაგრძელდებოდა,
მაგრამ ისინი თავიანთ მწკრივს აღარ სტოვებდნენ
და იდგნენ, როგორც ბრწყინვალე ჯაჭვის ციფი რგოლები.
აი, სწორედ მაშინ წამოდგა დედაჩემი.

წამოდგა გარდაცვალებიდან მეთოთხმეტე წლისთავის ღამეს
და თავზე მოიხვია საკვირაო წირვის თავსაფარი.
მართლა – მე იგი ამ თავსაფრით დავინახე!

ჩემი წითელი, დამშრალი თვალები დავინახე,
როგორ გადმოიარა გამწარებული თოვლი,
გადმოიარა მრავალი წყალი და მრავალი მთა.
თუმცა სახლი თითქმის ჩამალული იყო თოვლში,
გაოცებულ ფინიას განგაშის ყეფა არ აუტეხია
და მოთმინებით მოუშვა იგი ფანჯარასთან.

არა, სანამ ცოცხალი იყო, ჩემთვის ასეთ რამეს არ ჩაიდენდა!
ჩემს გამო, ალბათ, ერთ ნაბიჯსაც არ გადადგამდა,
მხოლოდ ახლა, თოთხმეტი წელი მკვდრადყოფილმა, იცის ბევრი
რამე,

განსაკუთრებით კი სიკვდილზე, რომელსაც თავისი წესრიგი
აქვს,

რომელიც სამართლიანი და დროულია.

ამიტომ, მის მოსვლამდე კიდევ როგორმე რომ გამედლო,
თავს ძალა დაატანა და ფანჯარაზე დააკაკუნა.

შეურაცხყოფისგან მთლად გაქვავებული ჩანდა თავსაფარში,
და მაინც ღირსებაშერჩენილი.

მერე აღარაფერი მახსოვს. მთელი ეს ვარამი
ძილმა გვერდზე მზრუნველად გადასწია
და ამდენი ხნის მერე პირველად დამასიზმა
შენი ღიმილი –

* * *

თავდაჯერებით, ხშირ-ხშირ წვეთებად
წვიმს, მგონი, უკვე დღე არის მეცხრე,
მუადლე თვალში გერ იხედება,
მხოლოდ საათის ჩამოკვრას შეძლებს.

მზე, შესაძლოა, გაყიდეს უკვე,
სხვა სამყაროში ჰკიდია ახლა,
სხივებს იჩეჩავს, გადიყრის უკან
და გაშმაგებით შუბლს ზეცას ახლის.

უკვე იშლება ეშმაკის ქოლგა,
ბაბუაწვერა დახურულია.
ეულად გაკრთის ყვითელი ზოგან
ველურ ტილჭირში, ქრება სრულიად.

გულს, ქვიშის საათს, მე ვეკითხები,
სამყარო დიდხანს არ დაეცემა?
ვით მახრჩობელა ბალახს, თითები
უთრთის და უკვე ჩაიკეცება.

ამ ჭირ-ვარამში ვის უძღვის ბრალი?
სახელს არ ვიტყვი – ვიღაც მესამეს.
უკვე ნახევრად წყალში დამხრჩვალი,
მაგრამ მომთმენი, ჰყვავის კესანე.

* * *

ყურებში ზარების რეკვაა,
ენაზე ამბავი კვანძებად,
გულ-გვამში მტრობაა, ელენთის
შიგნით კი გუგულის კვერცხია.
ყველანი უფალს მსახურებენ,
ხელოვნურს, ნამდვილს რომ ჩამოჰვავს,
მტანჯველი რომ არის, კი ვიცი.
ჰკითხეთ ჩემს თვალების ფოსოებს,
ჩემს თითებს, ჩემს ფილტვს და ხერხემალს
და ჩამოსიებულ საყლაპავს.
ის ნემსით დაჩნდელტას უგზავნის.

მათრახს და ჭინჭრისგან დასუსხვას –
სუყველა თავისას მიიღეს
და თანაც მთელი დღის მანძილზე.
ამგვარად ვინც მოდის, უერ იცლის
და არ ღლის ნადავლის ძიება,
გუგულის კვერცხია ელენთის
ბუდეში – მას ვავსებ ყოველდღე,
რაწამს კი შესვამს და გამოცლის.
და მაინც, ვრჩები მის მსახურად,
ვარ მადლიერი და დამყოლი,
რადგანაც ისეა ზოგჯერ, რომ
მოსვლისას, წასვლისას ის შენ გგავს.

* * *

მინდა ყველა წყენას თვალებში კეთილად ჩავხედო,
ვუთხრა, უკურნებელი არ არის ამქვეყნად არაფერი,
მე სინამდვილეში გული არ მტკენია არც ერთისგან,
რადგანაც მათი მძლავრი დარტყმების ქვეშ
ჩემი მოთმინების სარკე კვლავ და კვლავ მთელდებოდა.
განსაკუთრებით კი მათგან პირველებს ვანუგეშებ,
სწორედ მათ, რომლებიც ჩემს ბავშვობაში
ღმერთმა სხვა ბავშვობებიდან გადმოყარა
ჩემი სიყვარულის მცირე ნათესებზე.
დამდგარა ჟამი მიტევების.
ალბათ, იმიტომ, რომ ახლა სული ამომხდება,
ანდა იმიზომ, რომ სიკვდილის ლუკმა ყველაფერი,
რაც ასაზრდოებდა ჩემს სიცოცხლეს.
იქნებ სიხარული ჩემი კარის წინ დგას,
გამჭვირვალე და თვალისმომჭრელი სიხრული
მიწის მძლავრი სიღრმიდან?
სანამ ის შემოვა, დამამშვიდებელი მონეტები
ყველა წყენას თვალებზე უნდა დავაფარო,
და მათ ყოველივე უნდა მივუტევო
გულშეძრულმა.

* * *

ეს შენ დაახრჩვე დედაჩემი?
ეს შენ გაგუდე მამაჩემი?
მე აღარც ერთი აღარ მყავს სისხლში,
მახსოვრობიდან ამომიცვივდნენ.

შენ გააძევე ჩემი შიმშილი?
შენ გადაღვარე ჩემი წყურვილი
და შენ გამირჭე მკერდში ფითრის რტო,
რათა ის შემდეგ ჩამომხმარიყო?

არა, აღარ ვარ ღმერთის ქმნილება.
შენ გამომგლიჯე მას თითებიდან,
სულ მთლად შემცვალე შენი სუნთქვით და
შემდეგ შინისკენ გზაზე დამკარგე.

* * *

ჩვენი ჩრდილები – შენი და ჩემი,
გამოვამწყვდი მომძლავრებულ თხილის ნაჭუჭში,
რომ იქ უცალონ ყველაზე ნორჩ დღეს,
იქ გაიხსენონ სუყველაზე მხცოვანი ღამე
ისევ და ისევ საკუთარი განწმენდისათვის.
თუ ახლა მთვარე ჩემს ოთახში შემოაბიჯებს,
გაოცებული დაიხრება შუბლი ღამისა
ჩემს უსინათლო სარკის მინაში
ჩემი იმედის ათასფერი სახის წინაშე.
იმედს არ ვკარგავ, ვიმედოვნებ თხილის ბუჩქის ქვეშ,
მე ვიმედოვნებ ხავსმოდებულ სახურავს ზემოთ,
მე ვიმედოვნებ ისე მაღლა, ღრმად და ძლიერად,
რომ ჩემი სმენა ამის გამო ზარებს აუღერებს.

* * *

როცა მივიდა ჩემი სული მტრედის წყაროსთან,
ერთ მამაც ვარსკვლავს ჩაემუხლა უბევ ამ წყალში
და მოინათლა მისი სახელით.

ჩვენს ამაღლებას რომ ცდილობდა, ნიშანმა თავად
მთვარის ბასრ ნაპირს მიაღწია,
ჩრდილად ქცეული ძირს ჩამოვარდა.

ხშირად მიმოდის ამის შემდეგ ჩემთან სიკვდილი,
თხრილთან მძვინვარედ აჭენებენ ცხენებს შმაგი მონადირენი
და ავდრის ჯვარი მძიმედ კვნესის ქარიშხლისაგან.

გზააბნეული კიდევ ბევრჯერ გავივლი სოფელს
და უახლოეს ძეხორციელს მიგეახლები,
ღრმად შევიყნოსავ სიმინდის ქუჩის, კოპტონის, ძროხის და
გლეხურ ღუმელზე დაღვრილ ერბოს სუნს.

მე, სხვათა შორის, ის ნიშანი ჯერ კიდევ მახსოვს,
რადგან ნათლობის საიდუმლომ გამანდო იგი
იქ, ხორციელი ყოფის ალაგზე,

ჩვენი დაკარგულ სახელის ნაცვლად.

ვიცი, სუნთქვისას შეიძლება ეს აღასრულო,
სუნთქვისას შეძლებ ამოილო ეს საზღაური –
ჩემს შეშინებულ სულს როგორ ღრმად უნდა ესუნთქა,

როცა მივიდა მტრედის წყაროსთან,

რომ მისმა სუნთქვამ მთვარეს უწია?

როგორ ამაოდ დასუნსულებს სიკვდილი ირგვლივ
და აჭენებენ ცხენებს შმაგი მონადირენი,
თუმცა სახელი დაეკარგა ჩემს სულს, ის ახლა
ებლაუჭება მიწის სხეულს თავგანწირული,
როგორც ძუძუთა ბავშვი ეკვრის დედას ხელებით.

* * *

ოფლით, რომელიც ამოსკდება ლოდებიდანაც,
ნელა, წვეთ-წვეთად ჩემს საფეთქლებს ნამავს სიბერე.
ჩამოიწურა ხერხემლისკენ ყველა იმედი,
რაც უსუსურმა თვალის ჩინმა ჩემმა იძალა,
რომ გააგრძელოს უკუღმართად, მრუდედ ყურება.
კვლავინდებურად შემიძლია ვენდო ყურებსაც,
რადგან წვეთები ნელსაცხებლის მათ ხდის დამჯერეს.
ძაღლის ყეფაც კი სულ ამაოდ ცდილობს ამჯერად
მოებლაუჭოს მათ, რადგანაც ეს მე არ მინდა,
უწინ კი, დღეც და ღამეც, ორთავ ყურის აპკიდან
არ გადიოდნენ სახელები, ცრუ და მაცდური.
ჩემი ყურები, ძაღლებია თავად ორივე,
ჩამოიძერტყენ ხოლმე ძალზე მშვიდად ისინი
ყველაფერს, რათა მარტოდმარტო მე მომისმინონ.
შხოლოდ თითებს არ დავწერიათ ვედრება, ლოცვა.
აჲ, ძალზე ხშირად, ყველას ერთად დავეძებ როცა,
გპოულობ ერთად გადახლართულს, ოფლით დაცვარულს,
როცა ლოდივით ჩამომწყდება სიზმარი ღამის.
მე ეს თითები ყველაფრისგან უნდა დავცალო
და დავამარცხო, რათა ღირსი შევიქმნა ამის.

* * *

ხორბლის თავთავთა ორმაგ სიმაღლეზე
იონჯას თესლის ანგელოზები
ნელი ფარფატით მიიწევენ სასაფლაოსკენ.

ჩამქრალა უკვე წლევანდელი სანთლის ალები
ოქროს ბაბუაწვერებისა,
აქროლდებიან ისინი ზევით
გარდაცვლილთა სხეულებიდან
და მალე უკვე ჩემი გულიდანაც.

* * *

თუმცა დავუთმე მოვარეს ჩემი გრძნობა-გონება,
ეს მე არაფრით ამოცნობას არ მიაღვილებს.
ვიდრე მამლების შუშისებრი ხმა გამაღვიძებს,
ყოველი სიზმრის გასაღები ხელთ უნდა ვიგდო.
მე მივატოვებ ნავს

და ზეცის წყლებზე გავივლი,
გვერდით ჩავუვლი ვარსკვლავების უამრავ კუნძულს
და ადგილს, სადაც ანგელოზები თავს აფარებენ.

გადავულოცე ფრთხი
ჩემი სისუსტის ძუ ლომს.

ის უდარაჯებს და დაიცავს ჩემთვის უდაბნოს
და – ცეკვებით საფსე ოაზისს,

ვიდრე ჩემი გასაღებით არ დავბრუნდები
და არ მექნება მითითება, დანიშნულება.

მამლებს ჯერ ჩემი გულის ძილი არ დაუფრთხიათ.
ვად, თუ მათმა შუშისებრმა გადაძახილმა
სასიკვდილოდ დამიჭრან კრავი
ნაადრევად, ტყუილუბრალოდ!

* * *

ერთი წილი ძილი, სამი წილი შიში –
თუ მოითხოვ ლოცვას, თუკი აღარ იშლი,
არ იქნება ჩემი, ნუ დამიწყებ ლოდინს;
რაც აღავლენს ლოცვას ჩემში, არის ლოდი,
თავის ორმოშია, ოფლში იწურება.
ამ ოთახში ახლა მოვარე იარება,
ნახევარი სახით, გალეული, მკრთალი
ცდილობს შემწე გახდეს ჩემი ორთავ თვალის
და სულ ოდნავ მაინც შეაშველოს ხელი.
ეს ბევრს ნიშნავს ჩემთვის, თუმც ესაა მხოლოდ
მეოთხედ ძილს სულ მთლად შეამცირებს, ხოლო
სიზმრების კაგლს შლის და ველარაფერს ვშევლი.
ჯერ იმედი მქონდა, თავშესაფარს ვპოვებ,
ცბიერებით მისკენ დიდ ლოდს მივაგორებ.
მაგრამ რა ვქნა ახლა – შიშით არის სავსე
ჩემი ორთავ თვალი – გზას მივიქვლევ ასე,
ბრმად მივდივარ, მივალ მთვარეში და ქარში,
ოთახში და ირგვლივ არეულად გაშლილ
მრავალ უცხო საგანს შორის მივაბიჯებ.
მოთმენა აქვს შიშს და ჩემს ბერებს არ იჭერს,
რადგან იცის, რომ მე ეს სიმღერა მინდა,
ნებას მაძლევს, მამავ, ძევ და სულიწმინდავ,
შენ გიწოდო ყველა სიტყვა, რაც კი გქვია.
ძლიერია იგი ამ მთვარიან ღამით,
უსაზომოდ მათრობს და ამავ დროს ამით
განაგებს და ზრუნავს, თუნდაც ასე გვიან
ყველა თავშესაფარს ცეცხლი წაეკიდოს,
შემდეგ ნაღვლიანი მიღის ისე, თითქოს
არაფრისთვის უკვე არ ვვარგოდე ახლა.
ჩამეღვრება ძილი, თვალში ჩამისახლდა

და იმ ლოცვას სწორედ ძილი დაამარცხებს,
რომლის ძალაც ქვის ლოდს დაბლა დაანარცხებს.

* * *

სამი შეხედვის დაშორებით ამ ჩემს თვალთაგან,
სამი ჭიკჭიკით მაღლა ჩემი სმენადობისგან
ძალას არ კარგავს შენი ზეცის გასაღები და
მოქმედებს მისი სახე, მძლავრი სინაზით სავსე,
ო, ღვთის ბრძანებით ქმნილო, ჩემთვის დახშულო ტრფობავ.

სამი ნაბიჯი არეულად საკნის სიგრძეზე,
სამი ნაბიჯი არეულად საკნის განივად,
სამი აფრენით მაღლა ჩემი ფილტვებისაგან
შენი მარადი ცხენისკბილა იქ, ზევით, მაღლა,
ო, ღვთისგან ქმნილო, ჩემგან უკან წაგვრილო ტრფობავ.

სამი ტკივილის სამყოფელი ტანკულ სხეულში,
სამი შიმშილის ტიტა ყველგან, ყველა ადგილას
და მთელი მიწა გარდასახვის ხე არის შენი
და მთელი წყალი – ცვლილებების სასმელი შენი,
ო, მაცხოვრისგან ძალმოსილო, ჩემთვის ჯადოთი შეკრულო
ტრფობავ.

* * *

დღეიდან, მაგრამ სამარადექამოდ,
ვიცი: მართლაც რომ თბილია მიწა –
ჭინჭარს ვუბრუნებ მსუსხავ ბუსუსებს
და ზღარბს – საკუთარ წამახულ ეკლებს.

დღეიდან ყველა ჩემი შემწეა,
სამყარო მოჰვავს ტირიფის აკვანს,
სადაც დაგვარწევს ქარი ორივეს
და გადახლართავს ჩვენს სუნთქვას ერთად.

* * *

თუკი ეს შაშვი არ იყო, მაშ იქნებოდა კაჭკაჭი.
ვაი, რომ ვკრთები ყოველ ძახილზე და მეღვიძება,
თუმც არ მეხება მე ყოველი შეტყობინება,
მადლობა უფალს!
თან, რა ხანია, ვამჯობინებ ვიგრძნო, ვიდრე დავემორჩილო,
რადგან შეგრძნება ზოგჯერ გაგათბობს,
მორჩილება კი ჭკუიდან შეგშლის.
რაც უნდა იყოს, უნდა წამოვდგე,
მაშინაც, თუკი არც შაშვია და არც კაჭკაჭი,
რადგან ხმა ძალზე საეჭვო იყო,
ორმაგად უფრო საეჭვო, როგორც გრატას ფლეიტა
და კაჭკაჭის ჩხავილი ერთად.
ეს სიზმარი კი ჯვარედინი ხმათაშეწყობით
მხოლოდ ერთადერთ რამეს ახერხებს
აქ, სახეშეცვლილ ამ ჩემს ოთახში,
ყურის გდებით რომ ჭკუიდან შეცდა,
როგორც აქ, ჩემში, ეს საათი გუგულიანი.

* * *

მიწავ, რომ გქონდეს შენ ორი ბაგე
და ერთი ენა და განწყობის ერთი საათი,
მოინდომებდი ჩემთან საუბარს,
ახლაც კი, როცა ჩემს ერთ მუჭა ჭკუა-გონებას
განრისხებული ვთელავ თოვლის ქეშ?
მიწავ, ნუთუ, შენ გაიცინებდი?
მე ხომ თავს ვთვლიდი შენს მეგობრად და ვტრაბახობდი,
ვყვებოდი, რომ მე ხშირად ვცხოვრობ ფესვებთან დაბლა,
ვესაუბრები ამინდზე ქვებს და
სისხლის შელოცვა ძალმიძს აგრეთვე.
ტყუილი – იცი – სახადს მოჰვავდა,
ქადემიის დროს რომ ხვდებათ ადამიანებს,
და ჩემს გულს ჩემი ნაამბობი მუდამ სჯეროდა.
ახლა კი იგი მსხვერპლი გახდა უამიანობის
და მხოლოდ შენ ერთს გიხმობს თავისთან,
კიდრე არ მოხვალ, სულს არ დალევს, არავის ეტყვის,
რაც გონებაში უტრიალებს, თავს რით იტანჯავს
და სიკვდილის წინ ვინ სურს დალოცოს.
მიწავ, აიღე შენ ჩემი ენა,
მიწავ, გთხოვ, - და ეს ჩემი ბაგენი!
თოვლის ქვემოდან მელაპარაკე
თბილი მარადი ტრფობის შესახებ.

* * *

ვარსკვლავები ისე, როგორც მსახურები
მთვარის ეზოს გარეშემო მიმოდიან,
ტყე ჟანგდება ბორცვზე, თითქოს ლითონია,
მაგრამ შორით, ღრუბლები რომ დაჰყურებენ,
ცისფერი მთა აწვერილა, როგორც სოლი.
გაბრაზებით კვეთავს ზეცას შავი ზოლი
ჩიტებისა, და გაბედულ პიქტოგრამას
მწვანე ფონზე შესამჩნევად გამოხაზავს.
იმ ადგილას, სადაც დიდი ჭის ლოდია
და მიწის ქვეშ წყაროები გამოდიან,
გაშმაგებით მოჩხრიალებს წყალი ახლა,
უფრო სწრაფად, ვიღრე დღისით, ხოლო მაღლა
სურათებიც შრიალებენ, კი არ სდუმან.
მაგრამ მაინც, მე სიმშვიდე მეუფლება,
და ეკლის ბუჩქს თაყვანსა სცემს ჩემი წება,
მსახურივით ქვდს მოიდრექს მის წინ უმალ.

* * *

გასული ღამე თუ იყო მგელი –
ეგებ შეძღვი აღმოჩნდეს ვაშლი?
ფოლადის სამი ფრინველი აპობს ჩემს ფანჯარაში შემოჭრილ
ნათელს

და ჯერ არ ვფხიზლობ, ჩამოქნილი ვარ ცვილისაგან,
სანამ შუადღე ჩამოდგება, უნდა ჩავიწვა,
რადგანაც ამ ღროს მოაწევს უამი.

სულ სხვანაირად ცხოვრობს ჩემი ძილი ამჟამად,
ის ბრაწავს ვაშლებს, ბრაწავს მგლებს და

დროის წინაშე წარსდგება ხოლმე,
მას ფრთებს უდნობს და მახვილს აძგერებს

თითოეულ საათს თვალებში,

აფხიზლებს იგი შენს შუაღამეს,

რადგან შუადღეს ჩემსას მასთან სურს.

მაგრამ ის უამი სულ არაფერს მიართმევს იმას,

ვინც დედის ხორბალს მიუტანს მას და

სანდომიანად ესაუბრება შენსა და ჩემს ცოცხალ დედებზე,

და მათზე, ვინც კი შუადღის უამს

ყრმა იესოსთან ცვილის ვაშლში დაიწვებიან.

* * *

განა იმიტომ მიცახცახებს ზელის მტევანი,
შენი მზერა რომ მისკენ მიმართე,
წარმოვთქვი,
მაგრამ მოჩვენება მაინც განქარდა.
რომ ყოფილიყო ადამიანი,
დავიყვირებდი? ჯანდაბა შენს თავს!
მის ზურგსუკანაც ჩავიდენდი ამას, რადგანაც
ბოლო დროს გავხდი, ვატყობ ჩემს თავს, გულლვარძლიანი
და ამავ დროს, ენატარტარაც.
პირველი თავის კვალს დაამჩნევს ჩემს ზელის მტევნებს,
მეორე – ყელს და დიაფრაგმას,
რადგან ლაქლაქი მიბრუნდება უკანვე შიგნით.
მაგრამ, სად გაქრა მოჩვენება
და, კაცმა რომ თქვას, რისთვის მოვიდა?
ეგებ ჭის გამო გამოჩნდა ჩემთან?
ყველა ჭის მთხრელს აქვს წვერი და კიბე,
იქნებ ფარანიც, როცა ძალზე ღრმად უწევთ ჩასვლა.
ნამდვილად უნდა მეკითხა მისთვის,
რადგანაც ზელის მტევნებზე რაც ვთქვი, მხოლოდ ზედმეტი
ლაქლაქი იყო,
აჲ – ბევრი არის ჩემში ზედმეტი, კაცმა რომ თქვას, სულ
ყველაფერი,
თუმც – მან, სინათლით ზელში, როგორ ვერ შეამჩნია –
მაშასადამე, ასეა საქმე?
ჯანდაბას!

* * *

ნეტავ, ჩემამდე აქეთ გავლა ვინმემ გაბედა?
ამ არემარეს სურს მასწავლოს, შიში რაც არის.
დიდი ხანია გული მექცა სოკო აბედად,
ხოლო თვალები არის ხურტკმლის ორი მარცვალი.

ძვლების ხმა რომ აქვს მის ნაბიჯებს, ვინც მე დამეტებს,
მიტომ შევშინდე და გავიქცე გადასარჩენად?
დაწყევლილია ჩემი ბაგე ამის გარეშეც,
ჯადო-სიტყვა და ლაქლაქი აქვს ახლა სასჯელად.

იქნებ, საღამომ უტიფარად ჩამთვალის კიდეც?
მრავალი წყაპლა ხედება ჩემს შუბლს და მწარედ მატკანს,
როგორც თუნუქი, ისე ბრწყინავს ვარსკვლავთა კიდე,
წასკდება სისხლი და შეღებავს მთვარეში ბატკანს.

მე მენატრება მეწამული მისი სამოსი,
სოკოს კი, ჩემს გულს, ეპარება უკვე სიცივე;
თავისი კვალი ვინც დატოვა ამ მიღამოზე,
თვალს მიშტერებს და მისი მზერა ვერ მოვიცილე.

უნდა იჩქაროს, თუ კიდევ სურს ჩაიგდოს ხელში
რამე ნაწილი ჩემი სულის, თუნდ უმნიშვნელო.
ის კი მიძვრება ჭრიჭინასთან, გამოხრულ ხეში,
რათა გახეხოს თალგამი და რამე მიშველოს.

* * *

გულის ზემოთ ნამგალ-მთვარით,
ვარსკვლავ-სანთლით ორი ცალით
ორთავ ხელში, სულ არ ფრთხილობს,
არ სურს თვალი გაახილოს,
დადის ღამე და დღეს ეძებს,
გუშინ ჟოლოს ბუჩქის გვერდზე
გველებთან რომ თამაშობდა.
უკან გავყევ ღამეს შორს და
სანამ შეძელ, ვდიე, რათა
დაინახონ ჩემთა თვალთა,
ყალბ ბორცვზე რომ დაიჩოქებს,
დაიხოკავს ჩუმალ ლოყებს.
იმის ნაცვლად, რომ გველების
სიმღერა თქვას. რაღაც ხმების
მოძახილი მესმის ყურში,
მინდვრებსა და ნაკადულშიც,
მაგრამ ღამეს კი არ ესმის.
ვეღარც ხედავს – მონატრება
ძლიერია, ასეც ხდება! –
ნება ვის აქვს ხელის შეშლის.
მთლად გადავა ჭკუას, შეძლებს,
რომ დაიყოს ორად – "შენ", "შე",
და ჩაიკრას გულში თავი.
ტყეში ჩავა ნამგალ-მთვარე - ;
რომ გაახელს ღამე თვალებს,
ნახავს – მარტო, მუნჯი, ბრმაა.
ვიცი, მსგავსი ღამე რაა.

* * *

როგორ უცხო და გარეშე მზეა!
ჩანს, ის ჩვენს სოფლად ჯერ არ ყოფილა,
და არც ქათმების ბილიკი იცის,
მზის ვარდებთან რომ მიდის გადაღმა.

დაბწევით ჩასცექრს წისქვილის წყაროს
და ავდრის ჯვართან ჩამუხლავს სევდით,
წვიმის მოსვლასაც ვერ იგებს უკვე;
იქნებ მას ვიღაც მოუკვდა ახლა?

ნეტავ, სამყურა ყვაოდეს წამლად,
ანდა ყაყაჩო შვრიის ყანაში!
ვერ წავალ მზესთან, რომ ვანუგეშო
ჩემი უბედურ თვალების მზერით.

* * *

იდუმალებით სავსე ჩიტები

ჩუმი სიცილით

სევდა-ვარამის დაბრუნებას იუწყებიან.

მათ გულუბრყვილო გრძნობათა გუნდი

წარუძღვა შიშის მწვერვალისაკენ,

აყურადებს და ბუდობს გულიდან,

შენი სახელის საბუდარიდან,

მაღლა, გამიჯვნით.

ის, რაც მოხდება ზევით, უკვე ალასრულე კარგა წანია.

სადღაც შუაში, ზევითას და ქვევითას შორის,

მაცნე ჩიტებზე უფრო მეტი იდუმალებით

ღაღადებს ყველა თანაგრძნობას დაბოლოებას

აწ ფოლადად სხმული იმედი.

ხვალ, ამბობს იგი, მონატრებით ცხარედ იტირებ,

რადგან შენ უკვე კაეშანიც ველარ გიპოვის –

დაგფარავს მიწა!

ამას აცხადებს ზევით და ქვევით,

რადგან ყოველი სულ ერთია შუაგულისთვის,

გარდა ცოცხალი ტანჯვის ძალისა,

რომელმაც იგი ფოლადად აწრო.

* * *

მიშველე, მზეო, მე თითქმის ბრმა ვარ!
აიღე ჩემი მარცხენა მუჭი,
აღთქმული მიწა ჩახატე ფუნჯით
და – გზები, სადაც ჰპოვებენ სავალს
ბრძები, ყრუები, ვინც სვლას აპირებს.
დიდი ხანია, დაიყვავილეს
ჩემში ნიშნებმა, ვისიც მჯეროდა,
ვერ გაიხარეს ფესვებმა, თესლმაც;
არ დამიტოვა სახელი ერთმაც,
სულის წიაღს რომ გამიძღვებოდა,
რომელიც ძალზე ციცაბო გახდა.
მარცხენა ხელის ძარღვებში ახლა
სოლს მირჭობს შენი სითბო, იპობა
გული, ჯერ კიდევ ოდნავ რომ ფეთქავს.
ძზეო, გჯერა, რომ მას სული ედგას?
გჯერა, რომ მასში მიწას ვიპოვი
და ყოველგვარი სახელის თესლსაც?
როცა ყრუ ვარ და ვერ ვხედავ მზესაც?

* * *

მოდი, ვიყიდოთ გულწრფელობა ერთი მარცვალი!
ბოლოს და ბოლოს, შავი პურიც ვჭამოთ, ხომ ძალგვიძს,
ანგელოზების ნაცვლად, შაქრით რომ დაუტკბიათ.

მე აღარ მინდა, დავიძინო ისევ მშიერმა,
მე აღარ მინდა, მობუზღუნე, ცარიელ მუცელს
სასჯელად ისევ ანგელოზნი დავუმარილო.

შემოიტანე ორნახადი არაყი დოქით,
ბოლოს და ბოლოს, ერთი კარგად უნდა გამოვთვრეთ,
შემდეგ პირისპირ "შენობით" რომ ვილაპარაკოთ,
სულ ასე ხომ არ ვილასლასებთ ნაკურთხი წყლისგან.

მე აღარ მინდა, დავიძინო ისევ მწყურვალმა,
აღარც ის მინდა, მაწყევარი ეს ჩემი ყელი
ძმარში დავალბო და ამგვარად ვასწავლო ლოცვა.

* * *

სუნი ტრიალებს აპოკალიფისის,
ხილის და მარცვლის სურნელზე მძაფრი,
ფრინველის სტევნა უკვე არ ისმის,
იგი მსხვერპლს აცვაშს ეკალზე, ზაფრით
ფერდაკარგული და უშნოდ ბრტყელი
მთვარე მოცურავს, ცა ფარავს თხელი.

ზაფხულის ღამე და ყინვა-ზრობა?!
დაგორიავს ქარის ბორბალი ველად,
სელი დარია, ჩანს, უაზრობამ
ვარსკვლავებს, შმაგად ტრიალებს ყველა,
ვიდრე კრომით არ ჩაესვენება
ისე, ვით ჩემი ლოცვა-ვედრება.

ეს მეთორმეტედ რეკლა საათი,
მამლის ყივილი იყო შუიდან?
მეორედ მოსვლას ჰგავდა წმა მათი –
მყიფე კვერცხია ჩემი გული და
ჩემი მზერის წინ ცეკვავს საჯაროდ,
აი, ესაა მისი სამსჯავრო.

* * *

თითისტარო, დამალულო მთვარეში.

მამასა და ძეს შორის ჩვენს დროს ვინ ატრიალებს,
ან სიკვდილის საათებს კანაფისგან ვინ ქსოვს,
ზეთის წვეთებს ვინ აწვდის პატრუქს, რომ არ ჩაიწვას
და ვის მიჰყავს სინათლის მიღმა ჩვენი თვალები?

თითისტარო, თითისტარო – გიყურებ,
ვუმზერ ბორბალს, გუშინდელ და დღევანდელ დღეს შორის!
მაგრამ გულში დღეს ბავშვობა გამივლის,
მაგრამ მე დღეს კისრის ირგვლივ გამეზრდება კანაფი
და იქ ჩაწნავს მამას, ძეს და დროებას,
კოჭებიდან ბორბალი რომ ჩამოვხსნა.

ო, გამანდე, თითისტარო, საიდუმლო!
მრავალ მალლურ საათს მიღმა გიყვირი,
ისინი კი ცოცხალი დროის ნაყოფს გარს უვლიან
და მგლურ სიკვდილს მწველ პატრუქში იტყუებენ,
მე კი – დედის საშვილოსნოს სიბნელეში.

* * *

უფალი ხარ ჩემი,
მოხვალ უფლის სუნთქვით
და ჩემს გვერდით რჩები.

მე შენთან ვარ ორად:
ფაუნად და ფლორად,
და ვარსკვლავის შუქშიც.

შენ – შენ არ ხარ უკვე,
შენში ჩემს ზურგს უკან
კარი მოიხურა.

* * *

ის მეზობელს შეუვარდა ისევ,
ღია მქონდა კარ-ფანჯარა ამ დროს,
როგორც ღრუბელს მარტოობა ალბობს,
ორთავ თვალი გამეულინთა ისე.

პირს მივსებს და უკვე გარეთ ატანს
ცრემლი, თხოვნა და მუქარის უინი,
იმ დროს, როცა მეზობელთან, შიგნით,
ვხედავ დამფრთხალ ქათმებს, ძალლს და კატას.

მაგრამ ჩემთან არ მოსულა და ის
წაიყვანა, სიცოცხლე რომ სურდა,
თავის განვლილ გზიდან, როგორც უნდა,
ჩემს საათს ჰკრავს ხელს საათი მთვარის.

მწარედ შრება თვალნი, ცრემლი მტოვებს,
მწარედ ვუშვებ ძილის წამალს ხორხში,
მწარედ ვვედრი გარდაცვლილზე, ქოხში
მარტო ვარ და ვკვნეტ ჩემს სიმარტოვეს.

* * *

უცოდველ ყრმათა სიკვდილის დღეს,
წარსულ წელიწადს,
რომელიც ჯერაც ისევ ჩემშია,
მეფე ჰეროდემ გამოგზავნა თავის მახვილი
ჩემი ბავშვური ყოფის შვილის მოსაკვდინებლად.
მას შემდეგ მთელი ცოცხალი დრო ცდილობს გაექცეს
მეფე ჰეროდეს წელიწადს და ეგვიპტეს გარბის
დილასთან ერთად, შუადღესთან და სალამოსთან.
და რომ მყოლოდა დედა, მამა, მყოლოდა შვილი,
ყველანი უნდა შემომესვა მე იმ ჩოჩორზე,
დღისით და ღამით აქვე, გარეთ რომ გამოირბენს
მეზობლებისა, ძალისა და მამლის საათით,
რა კარგია, რომ მე არავინ მყავს.
თუმც ჩემი გული აყურადებს მუდმივად ჩოჩორს
და თავად ფეთქავს გაქცეული ოთხი ჩლიქივით,
მაინც ვერასდროს თავს ვერ აღწევს ჰეროდეს მახვილს,
ვერასდროს, ძილშიც ვერ ივიწყებს მეფე ჰეროდეს,
რომელიც ჯერაც ნაღვლაანი, მფრთხალი, სწული
ჩემს ყრმა იესოს კლავს დღისით და ღამით, როგორაც
უცოდველ ყრმათა სიკვდილის დღეს.

* * *

გაკრულმა შენი მზის ბორბალზე,
გაკრულმა მაგ მთვარის ბორბალზე
და ვარსკვლავების ნაშსხვრევებში გადასროლილმა –
აღსარებაში რა გსურს, რომ გითხრა?
ჩემს საქმროს ფეხზე არ ჰქონია ცხენის ჩლიქები,
ჩვენ არასოდეს მიწიდან არ ავმაღლებულვართ,
დაბლა, ცრემლების ხეობიდან,
არც ქარიშხლებთან არასოდეს გვისაუბრია.
ის რომ შემეძლოს, მე რის გამოც ასე მაწამებ,
შევაჩერებდი ქრობას ჩემი თავშესაფარის
და არასგზით არ მოვექცეოდი
შენგან მოგზავნილ მაღვართა ბირბლების ქვემოთ.
შენ ჩემი ძვლები უნდა შეკრიბო,
ჩემი გული და ტვინი თავის შესაფერ ალაგს
ჩასვა ისევე, მანამ – უფალო –
სანამ ჩემს მორჩილ აღსარებას არ ჩაიბარებ.

* * *

შენ, ჩემთვის მჭიდროდ დახშული ბაგით,
შენ, დაგმანული ჩემთვის ყურებით,
მათ წინ რომ ვიდგე და ვუყურებდე,
დიდი ხნის წინათ დაწყევლილ ძაღლად
მხოლოდ ამისთვის თუ დავიბადე,
ძაღლად, რომელსაც ხედავენ მხოლოდ
ანგელოზები, ხან ვაფხაკუნო
თათით და, თუნდაც იყოს უკუნი,
კუმზირო ბნელში მიმაღულ მთვარეს.
ო, ძაღლი, ცრემლი რომ ულბობს თვალებს,
ადამიანურ ბუნების ძაღლი!
ასე უღმერთოდ მიტოვებული
წინაშე შენი დავსილ ყურების,
წინაშე შენი დახშული ბაგის.

* * *

მსურს წამერთვას თვალის ჩინი, ღმერთო,
არც რა მესმას და მზეც არასოდეს
შემოვუშვა ბინდში, დაქ, ჰქონდეს
ტუჩებს ჩემსას ხმა გამშრალი ერთობ,
ვით ფუტლარის დახურვისას ისმის.
ჩემს გასაჭირს შენ ვერ ნახავ, მისი
მოგროვება თითებს აუკრძალე.
ეს ტკივილი არც ყოფილა ჩემი,
ნაჩქარევად ამ სხეულს რომ შეველ.
ეგაა, რომ შევრჩი რაღაც დიდხანს,
ვლელავ, როგორც გველი, სანამ მის ტყავს
გამოიცვლის, დატოვებს და წავა,
ბოლმიანი, ნირწამხდარი დავალ
ოთახში და საშველი არ მიჩანს.
რას მიშველის მე მსხლის ხიდან სკვინჩა?
უაზროდ მწიფეს დილის ვარდი მზისა.
მაცქერალი შენი სავალ-გზისა
თუ ვლოცულობ, იმიტომ, რომ სული
ვეღარ ითმენს, ტანჯვა ჰქონდა სრული,
რომ ეთრია ხორცი, როგორც ცოდვა.
მგონი, რაღაც გზა, საშველი მქონდა?
მე ჯერ კიდევ გუშინ ვიყავ ისე
თავისუფლად, რომ მე ამას ვთვლიდი
ჩვეულ ამბად, მაგრამ სტვენდა ჩიტი
დილით ჩუმად და ტყვე გავხდი ისევ.

* * *

ჩემი თვალები, ჩემი ორი შავი ლურსმანი,
თავისუფლადღა ჩარჭობილან თავის ზვრელებში,
რაც მათი მზერის გაბმულ თოკებზე
გამცილდნენ ქრისტე და ჩემი სატრფო.
იქნებ, მე მათთვის დამეძახა, მომენტო ხელით?
მაგრამ ლოკვისთვის მჭირდებოდა პირიც, ხელებიც.
არ შეიძლება, მიატოვო განსაცდელში ქრისტე და სატრფო,
დაბლა არ უნდა ჩამოვარდნენ გაბმულ თოკიდან.
ცხადია, ახლა შემიძლია ჩამოვყარო დაბლა ლურსმნები
და სამუდამოდ დავახვიო დამპალი თოკი.
უკვე არავინ აღარ მოვა, არავინ წავა.
თავად მე უკვე აბლაბუდას თხელი ქსელი ვარ,
გაბმული კვდომას და სიკვდილს შორის.
რაც მძიმე იყო, იმ ორს ყველა თან გავატანე.
სული, გული და ჩემი გონება.
ამით ვაჭრობას დაიწყებენ თუ გაფანტავენ,
აღარ ვკითხულობ, მე არ მეხება.
რაც გავშეუბუქდი, შიში, დარღი არ მეკარება.
ახლა სიკვდილის სახის წინაშე
ვირხევი ნაზად, როგორც პირბადე.

* * *

დიახ, მამაო, ყოველივე ძალზე კარგია...

მხოლოდ ცოტათი ნაღველს მმატებს მიწა, რადგანაც

არ ვარ ცხოველი, სხვაგვარად რომ შეიგრძნობს ამას:

მტვრის ნაწილაკებს, წვიმის წვეთებს, ლერწმის ლეროს და
ფოთლების შრიალს ქარის ქროლვისას –

რაც მთავარია, მერე: მზეს შენსას!

ნეტავ, იმ ქათამს თუ უყვარხარ, ქვიშაში რომ ზის?

დაუფიქრებლად, ტვინზე მეტად ქათმის გულით და
თავის ბუმბულის შავი ფოჩებით,

და არა ისე, როგორც მე მსურს, რომ შეგიყვარო
როდისმე, დიდხანს თუკი ვიფიქრებ.

ჩემი ხელები, ჰო, ისინი შორს დარჩნენ უკვე –

განსაკუთრებით, როცა წვანან ისინი მერხზე

ამ გამოჩირკნილ, მზისგან გამობარ უხეშ ფიცარზე,

და ჭინჭრის ძალას გრძნობენ მის ქვემოთ.

ეს არის უკვე სიყვარული, ანდა, ასე ვთქვათ,

დასაწყისია თითქმის უკვე სიყვარულისა, არსებობის ოდნავი

კვალი,

რომელიც არის შენში, ყველა სახელის მიღმა,

მოკრძალებული, უხმაურო და ერთიანი

კეთილი მიწის ყველა ძალასთან,

და ნუ იმსჯელებ, სიხარული არის თუ არა,

როცა, უბრალოდ, გიხარია.

* * *

მხოლოდ და მხოლოდ ძილის უცხო გამონაზარდი,
ნარკოტიკების გამოზრდილი ეს ნაბუშარი
თუდა მოხედავს და ხანდახან პატრონობს ჩემს სულს.
ორი ტანჯული ამ დროს ერთურთის ემსახურება,
ანუგეშებენ იმას, რასაც კიდევ სჭირდება
ნუგეშისცემა; არ უმხელენ, რაც კი იციან.
უხანგრძლივებენ არსებობას ნახევარსიზმრებს,
უსახოებს და ცვილისაგან ჩამოღვენთილებს,
რომ არ ითხოვენ სათუთობას და მოფრთხილებას,
დნებიან მამლის პირველივე დაყივლებაზე.
მაგრამ ესენი მრწემი ძენი არიან მაინც,
შობისთანავე მონათლულნი, შევეღრიბულნი
მას, ვინც ეს წყვილი მიაბარა ერთმანეთს, როგორც
ორი მონა ან როგორც ორი ქუჩის გლახაკი,
მაშინ, როდესაც დიდებული და მშვიდი ძილი
მხოლოდ და მხოლოდ კეთილშობილ სულებთან წვება.

* * *

უსინათლობამ დამრია ხელი,
ყურთაც მაკლდება და ვეღარ ვისმენ,
მალე უგრძნობი ვიქწები ისე,
როგორც მაღაროს ბეხრები ცხენი.
თუმცა მასავით დამჯერი — არა.
მე ჩემი ნება მაკრთობს და ფარავს
ის ერთდროულად მთელ სხეულს ჩემსას
და გაშმაგებით მოითხოვს შესვლას
ცის საუფლოში, თითების გაწვდით.
ის მიწას აცლის ძალას, ანიშნებს
მაღლა არსებულ ზვრელზე ქარიშხლის
და სწორედ მაშინ, გარსკვლავთა ნამწვი
მის ახლოს ცვივა, მიწას აშავებს.
მე მაგრძნობინებს თავს დამნაშავედ
გული, სიბერეშემოპარული.
ის მოითმენდა და სიხარულით
გაილეოდა, შეწყვეტდა ფეთქვას,
მაგრამ მას მართებს, რაც უნდა მეთქვა,
იყოს მორჩილი, ფოლადად იქცეს.
მრავალი შიში მდევს დღე და ღამე,
და ქვანახშირის მაღაროს ვწედავ
ხშირად სიზმარში, ცხენებსაც იქვე.
ამ დროს კი დადის ჩემი ნება და
ძვირად აფასებს, რაც რამ ებადა,
ცაში, მიწაზე გაყიდოს იქნებ.

* * *

ენდე ეკიპაჟს, შენს იალქნიან ზომალდს რომ მართავს,
ისინი მარდად წამოდგომას მოახერხებენ
სიმთვრალიდან და სათითაოდ წამოდგება ყველა მათგანი,
თუმც ყველა თავით ფეხებამდე მთვრალი იქნება,
გალეშილები თავის საქმეს შეასრულებენ!
ვარსკვლავთა შორის, ეშმაკმა რომ თან წაიყვანა,
საოცარია, ჩაგისახლდეს თვით ბელზებელი
სხეულში, როგორც ამ გარეწრებს, ეკიპაჟს შენი
მკვდრის კიდობანის, ღვთისაგან რომ დაწყევლილია.
შენ თუ გგონია, სწორედ იქით წაგიყვანს ქარი,
საითაც შენ გსურს? – ყველა ქარი დიდებულია,
ნათესავია ყოველგვარი ეშმაკეულის!
აჰ, მისთვის შენ ხარ ჯიბის დანა, რომელსაც იგი
ისე ჩაიდებს ჯიბეში, რომ ვერც კი შენიშნავს,
თუკი ძალიან ფრთხილად იქნები.
ის ეკიპაჟი, შენ რომ გინდა მოარჯულო
და ამოაჭრა ზურგებიდან ტყავის თასმები,
იმდენს შეძლებს, რომ მიწის თხილის ნაჭუჭისაგან
ნავს ამოგიჭრის, შენთვის კიდეც დიდი რომ იყოს.
მოუსვი მაგ შენს სიფხიზლესთან ერთად აქედან!
ვერასდროს მოვა გონზე ეს გემი –
მაღლა, ნავებს ვინც აქირავებს, შეატყობინე,
რომ ჩვენ ღრიალით და პირამდე გალეშილები
ჯოჯოხეთიდან ამოვიყვანთ მის ყველა ვარსკვლავს.

* * *

ჩემი სხეულის თითოეულ საფეხურს სახლობს
თითო ტკივილი და ყველას სურს, რომ იყოს წმინდა,
მონასტრებს უკვე, ვით ობობა, გადავემტერე
და მირჩევნია, რომ ბოშათა ბანაკი ვიყო.

აბატი უკვე შეშლილია და იმის ნაცვლად,
რომ გონს მოეგოს, დოლზე უკრავს გაუთავებლად
საღამოს ლოცვას უღიმღამოს, არ იძინებს, არც სხვებს აძინებს,
დაუღალავად თრთიან ჩემი საფეხურები.

როცა ცოცხლდება ჩემი მტრობა, მაშინვე იმას
მონასტრის წმინდა მიწებიდან დევნის მაცდური
იქ, სადაც უსწორმასწოროა ჭეშმარიტება
და შიმშილისგან ტანჯულთათვის ამწიფებს თავთავს.

ასე, სახლიც ვარ, ეზოცა და პურის ბეღელიც
და, ზოგჯერ, სულ მთლად იდუმალი პატარა ბორცვი,
იქ, სადაც ჩემი მტრობა ისხამს უკუნეთ მტევნებს,
რომლითაც ყველა წმინდანს უმალ ბოშებად აქცევს.

* * *

რა უყავ ჩემს წილ სინათლეს, ღმერთო?
მეც ხომ მინდა, რომ მივიდე სახლში!
ჩემი ბრძის ჯოხი გაფრინდა ქარში,
მთვარე რა ადრე ჩავიდა, ერთობ
მაღლა იწევენ ზურგები მთების.

ვარ რა ხანია ლამენათევი
და დაღლილობა მთელ სხეულს თუთქავს.
მე, შეიძლება, როს ყვირის სუნთქვა,
ვშობო სიკვდილი, თუნდაც არ მსურდეს.
ნუ იზამ, რომ ეს აღარ დასრულდეს!
მომეც ნათელი, რომ შინ დაგბრუნდე,
სიზმრის შოშია დაჩხვლიტოს თუნდაც
და მახსოვრობა გატანჯოს ჩემი.

არ მსურს ცის სახლი, ხომ იცი, მხოლოდ
მიჩვენე თაგვის პატარა სორო,
ვიდრე ჩამქოლავს დღე-განაჩენი.

* * *

წშირად მეჩვენება, თითქოს დედამიწა
ამოსუნთქვასავით მშორდება თვალთაგან,
მის ადგილს სულ უცხო ლანდშაფტი იკავებს,
პიქტოგრამასავით მაკვრია გარშემო.
თუმცა ჯერ კვლავ მახსოვს ნივთი ზოგიერთი:
მსხლის ხე, თბილი ქარი, მთვარე და ღრუბელი! -,
მაგრამ თითოეულს აკრავს სათნოება,
როგორც ჩემს გარდაცვლილ დედას სიცოცხლეში.
და ჩაკეტილია ახალი მიდამოც,
როგორც ის ბაღნარი, ადგილსამყოფელი
ერთი ბატონისა, მე რომ მელოდება
მრავალი წლის შემდეგ. ისე მარტო ვარ, რომ
ზოგჯერ ჩემი თავი ამომყავს ჩემგანვე,
რათა მოვაქციო იგი იმ სივრცეში,
საიდანაც მიწა ქრება სუნთქვასავით.

* * *

ჩემს გვერდით უცხოდ ჩაივლის ძილი,
ხმას არ მცემს, ზედ არ მიცქერს ადვილად,
ყაყაჩოებში დაიყვავილა
ძემ, მაგრამ ბევრი ჰყავს შვილიშვილი.

ერთი მინის ქვეშ ათნი არიან
დატყვევებულნი, ყოფნა არა ღირს,
გემო აქვს ყველას მწარე ბალახის
და ტყვეობიდან შვებით გარბიან.

ორ-ორს და სამ-სამს მეტი აქვთ რიხი,
უღელს გასწევნ, თუკი ეცადნენ;
ძალუძო აზიდონ მეცხრე ზეცამდე
თავიც და ჩემი დაღლილი სისხლიც.

მაღლა იწყება ის ფართო მიწა,
სიზმრებს რომ სწვდები, ახვალ როდესაც,
იქ დგას აკვანი ჩვილით, რომელსაც
მთვარე რისხავს და მამალი იცავს.

მზე ქსოვს, - იმასთან ერთად, რაც გუშინ
ჩაქრა, - კარვის თაღს იესო ქრისტეს
თავზე. ყველაფერს, ყველაფერს იტევს
და აკვნის არტახს ჩააწნავს გულში.

* * *

ჩემი დროის ძაფს ხშირად ვკარგავ
შუადღის უამზე.
მაშინ მე ზოგჯერ ჩიტი მომძახის
ანდა თითს მიჭრის ძურწა ბალახი,
რომ შემახსენოს ეს ყოველივე,
ვიდრე მე უფრო მოთმინებით უკან დავიხევ
ხელის ცეცებით, კვანძების შეკვრით.
უკვე იმდენი კვანძია, რომ ჩემი გონება
კარტოფილის კვალს დაემსგავსა, უსწორმასწოროს,
და სამღურავი არ მეთქმის ძილზე,
თუ ურჩევნია საღმე სხვაგან რომ შეეფაროს.
მხოლოდ კოშმარი, ერთი ძალზე ძველი სიზმარი,
გულში რომ იჯდა ჭუპრად – ნეტავ, დიდი ხანია? –
გამოიშალა და მოხოხავს, გზად ჭამს ყველაფერს,
სწორედ მის გამო უნდა ვკვანძო, ვკვანძო და ვკვანძო.
ყოველთვის, როცა მე არ მინდა უკან დახევა,
ვხედავ მუხლუხოს რგოლებს, ბზინვით რომ ლივლივებენ:
შენ ხომ იცი, რომ გავხდები ღვთის მაღიდებელი
და შემდეგ შენი ალმოდებულ ღვთისმოშიშობის
აყვავებული ნერგის გულში ჩაგიდებ კვერცხებს:
აი, მაშინ კი უფლება გაქვს, დაკარგო ძაფი.

* * *

ხეო მზის გულზე, უფოთლო და ბუდემოშლილო,
რაღა აზრი აქვს შენს დაბერტყვას? სიკვდილი შენს ქვეშ
ჩაივლის უხმოდ, დარცხვენილი, დიდი სიფრთხილით.
სად ცხოვრობს შიში? იქნებოდა ჯერაც ცოცხალი
და არა ასე გაყინული. – ჩვენ შევეყინეთ
ერთიმეორეს უმიზნოდ და მთლად უიმედოდ,
რადგან ფესვები ჩვენი უკვე ამოძირკვულა.
ტრფობაზე ფიქრობ? – აჲ, ეს მხოლოდ ვიღაცა იყო,
ჯილდოდ რომ ერგო სიფხიზლე და მხურვალე მაშა,
გულს ჩარჭობილი ეკალი რომ ამოეშანთა.
მალე ავდივართ მალლა! სხვები დაფარფატებენ
ხალისითა და სიხარულით, ხოლო ჩვენ ტანჯვამ
მაღლა აგვტყორცნა ისარივით, ჩაუწვდომელი
წყეული მზისკენ, თვით სიკვდილსაც რომ შეურაცხყოფს.
ვკიდივართ ბნელი პიქტოგრამის მსგავსად და იგი,
ვინც უკან მოგვდევს, მეტრფეა და უარყოფილი,
ღმერთი ფარავდეს, რომ ვერასდროს შეძლოს წაკითხვა,
მუდამ ცდებოდეს და ეგონოს, რომ მსხვერპლად იწვის.

* * *

შენ შეცვალე ლანდშაფტი ჩვენს შორის არსებული.

ღრუბლებისა და ფესვებისგან ზოგიერთს ცუდი რამ შეემთხვა.

ვინც ერთმანეთის დობილი გახდა, ერთმანეთთან უკვე არ სძინავთ
და ნდობის ხიდი დაიკარგა ყველას თვალთაგან.

არ ვიცი, რაზე მივაძიჯებ ან საით მივალ,

რადგან შენი ხმა აღარ მოაქვს ჩემთან არც ერთ ქარს,

აღარც ფრინველის მოძახილს და არც ფოთლის შრიალს.

ცის ოთხი მხარე ოთხმაგადვე ქვევით ეშვება

და ჩემი ხელი, ფათურით რომ შენს მაჯას ეძებს,

ცარიელი და დახატული ბრუნდება უკან.

ამას ვყვირი მე ახლა და ეს ჰგავს ქარიშხალს, სამოსს რომ

მაგლეჯს,

სულ მთლად მაშიშვლებს, სულამდე, და ურცხვად ვდგავარ

ვარსკვლავების ქვეშ.

მაშ, რატომ, რატომ დამიტოვე ყვირილი, მითხარ?

ანდა ნაჭერი წარწერებით, შეშინებულ შუბლის ქვემოთ

თვალებისათვის?

ნეკნებს შორიდან გული რად არ ამომაგლიჯე,

არ გათელე და დაგლეჯილი არ მიუგდე ძაღლებს საჭმელად?

ეს უნდა გექნა, ვიდრე ჩემს თავს მიუგდებდი ამ არემარეს,

რადგან ეს არის ჯოჯოხეთი, ბავშვობაში საზარლად რომ

მესიზმრებოდა,

უეჭველია, უფრო ადრეც, მოშიმშილე დედის სხეულში.

იქიდან მოდის ყველაფერი.

მე იქიდან გამოვედი უკვე მანინჯი და სასწაულებს

დახარბებული,

რადგანაც, იქნებ, რომელიმე ასეთ სასწაულს გავეხადე იმისი

ღირსი,

რომ სიყვარული მღირსებოდა და – ანგელოზთა ციური შუქი.

როგორმე უნდა შეგძლებოდა!

ამას ჯერ კიდევ ვგრძნობ ფიტულის ქვეშ, რომელშიც წკმუის

მზარდი ცხოველი.

* * *

უფლის მხევალი იმასა იქმს, რაც სურს და როგორც,
ხოლო ემძაკის ქათამი კი, შავტუხა გოგო,
ყველას აწუხებს თავისი ყოფნით.
და მაინც, ზოგჯერ ერთმანეთს ორნივ
ღვიძლი დებივით შეჰყურებენ, რადგან არც ერთი
სულაც არ არის დამნაშავე, რომ მას ასეთი
ბატონი შეხვდა.

შავტუხამ ეს თქვა:

"ვფიცავ, სიკეთით გადაგიხდი სამაგიეროს,
სხვა რამეს არ გთხოვ, ერთი ღამით მაბედნიერო,
ნება მომეცი, ერთი ღამით მე ვიმსახურო!..."
მაგრამ უფალი რომ გამოჩნდა, ეზო დაბურა
წამსვე წყვდიადმა, ყოველ კუთხე-კუნჭულში გაჯდა,
სეებს ყავისფრად სიმწარე და ნაღველი აჩნდა,
ჭის წყლის მაგიერ შეუწყვეტლივ დოოდა მტვერი.
მაშინ მოვიდა ღვთისმოსავი, არ ჰქონდა ფერი,
უკან მოსთხოვა სამსახური ისევ სწრაფად და
წყვდიადი უმალ გაიფანტა, ეზო განათდა,
სეები ისევ შეიმოსა მწვანე საფარით.
ახლა ქათმების გუნდში ერთი შავი ქათამი
ანწლის ბუჩქშია მობუზული და უფალს მხოლოდ
სიზმარში ბედავს, სამსახური მორჩილად სთხოვოს.

* * *

როდესაც სული ძირს დაეცა განრისხებიდან,
დანახშირებულს, კვლავ კომეტის თვალები შერჩა,
იქსო ქრისტემ საკუთარი ოფლშემშრალი ტილოს ნაჭერი
მას ჩამოუგდო, გარდასახვის პირველ ღამისთვის.
ციებ-ცხელებით გათანგული ამ ტილოთი იკლავდა შიმშილს,
ციებ-ცხელებით გათანგული ამ ტილოთი იკლავდა წყურვილს,
ხოლო რაც მორჩა, იმ ნაჭრისგან დასცა კარავი
მიწის უმწარეს პურის ხის ძირას.
ამ ხის მერქანზე ამოჭრილი იყო წარწერა,
თურმე ღმერთები ყოველივეს, რაც მათ ეკუთვნით,
როგორც კი დილა გათხნდება, უკან ითხოვენ
და მასთან ერთად მორჩილების გარკვეულ წილსაც.
მაშინ ელვარე კომეტები ამოიგლივა,
ამოიგლივა თავის ორი ველური თვალი
და გაშმაგებით შესტყორცნა ზეცას.
ჩამოატეხა მან პურის ხეს ტანზე მერქანი
და ცეცხლის ფესვი ამოგლივა მიწის სიღრმიდან,
მაგრამ კარავს კი ჩაუარა გვერდით კანკალით,
რადგან დიადი შეხვედრის შიშს შეეპყო იგი.

* * *

მწიფე ხილის სურნელებით,
ალაგ-ალაგ უფოთლებო,
დარღობს ჭალა, ფრინველები
ტრიალებენ მის თავს ზემოთ.
ცამ დაკარგა უპე ფერი,
გალეული, ძალზე თხელი
მთვარე შედის ნაზად, ნელა
ვარსკვლავების ეზო-კარში.
ემზადება ქარი ცაში
გაშმაგებით ასაფრენად.
ცა მუქარით მოქუფრულა,
მიშს, დაცინგას მეგობრულად
მოუნახავთ ბინა ლერწმის
მჭყნარ ჩურჩულში, ტირიფში კი
წიგწიგა ზის. აქ, წრის შიგნით
გლოვის ხმები ერთურთს ერწყმის,
მხოლოდ ზარი ასხამს ხოტბას
შემოქმედის უცვლელ კანონს –
წელიწადის წარმავლობას
და ნაყოფი ნაადრევი
ძირს რომ ცვივა, ამით სარობს.

* * *

ვიღაცამ ღამით ამოიღო ჩემი თასიდან
წითელი კენკრა ერთადერთი – იქნებ ფრინველმა? –
ახლა ცარიელ თასს ჩავყურებ, ფიქრი ირევა,
– ნეტავ მეფეზიზლა, დარღისაგან გული გასივდა.

ვაითუ, იგი არ ყოფილა ფრინველი სულაც,
არამედ მხეცი, უსახელო და გარეული?
მის უკეთურ თესლს კვებავს ჩემი სული, სხეული,
და ქვეყნად ხატავს მრისხანების შემზარავ სურათს?

და მოვა ჩემთან, როცა უღრან, გაუვალ ტყეში
მწარე ფესვებით დავნაყრდები, მოვიკლავ შიმშილს,
მომაშტერდება, მოვახერხებ, დავძლიო შიში,
ჩემს ყოფილ გულს რომ ამოვიცნობ ბანჯგვლიან მხეცში.

თავს რით ვუშველო? ვის მოვუხმო? ან ვისი ყური
გაიგებს ძახილს იმისაგან, ვინც ბუდობს მარტო?
რად მომატყუა ძილმა მაშინ, მე ამას ვდარდობ,
როცა მე შენთვის ამოვიღე ეს ჩემი გული!

* * *

ჩემს ჩრდილს წყალზე შეუძლია გავლა,
როცა მთვარე ან მზე სწორად დგანან,
მაშინ ბრწყინავს ჩემი ჩრდილის თხემი.
ყალბი კია ეს ნათება, ხელით
რომც შეეხო, ვერ გათბები, თუმცა
მას უმადლის რიყის ქვა, თუ უცბად
ვერცხლისფერად ელავს სხვების თვალწინ.
ჩემი ჩრდილი გზას გაჰყვება, გასწევს
სიზმრებიდან ხშირად მარტოდმარტო,
მე კი მტოვებს უსაკვებოდ ამ დროს
და როგორც ცხენს, ძილის ხეზე მაბამს.
მე მოვუხმობ დედასა და მამას,
და-ძმასა და სიკვდილს, მახვილაწვდილს,
პურს და შაქარს მე არავინ მაწვდის,
შორი ხმები მესმის მათი ახლა.
შუშის ჭიშკრის მიღმა ჩანან, ბოლოს
ისევ ჩემი ჩრდილი მოდის მხოლოდ,
წყალში დამსრჩვალ ვასრკვლავთ გუნდი ახლავს.

* * *

მეზობლის ციცარს საათივით ხმა აქვს და ასე
რაღაც შეშლილი, მუდამ ერთი შუალედებით
უწყვეტად ყვირის იმ დროს, როცა ტირიფის ვედრებით
ცვიგა ყვითელი ფოთლები და, აწ ბოლო გზაზე,
როგორც ბაწარი, სოფლის რუში მიიკლაკნება.
ყვირილს ვერ იტანს შავი ძაღლი, ჩხუბობს, ნაკლებად
რომ გაისმოდეს ეს ხმა ირგვლივ, სმენას რომ ახმობს.
იმედითა და მოლოდინით შეჭრიმის ვახშამს
ყრუ მათხოვარი, ყავარჯნებს რომ ხერხივით იქნევს.
წითლად ჰყევავიან მიხაკები ზამთრისპირს, იქნებ
შეძლონ და აქეთ გადმოვიდნენ, თუ ქარსაც უნდა.
აღმოსავლეთით, ძალზე დაბლა, ნისლებში გუნდად
ცრიატი მთვარე შემოდგომის მოგორავს ნელა
და ყველას გვიმზერს. დუშის ციცარი, - მის შესახვედრად
მოდის ლამეში მეწამული ფერის მამალი.
ზის მათხოვარი მაგიდასთან, სადაც ვახშამი
უკვე მას უცდის, ძაღლის ქოხშიც შრიალებს ჩალა.
დღის დავიწყება შეიძლება, დროს გაჰყვა რიგით!
მე კი კვლავ ბალიშს ვატრიალებ აქეთ და იქით;
აქ, სადღაც ჩემი თავის ქალის კედლებში მალაგს
ციცარი თავის მჭახე ძახილს, აქ შეაფარებს.
ნელა გამოდის ვარსკვლავების მწკრივიდან მთვარე
და ყვითელ მამლად მეგლინება სარემელთან როცა,
მონოტონურად, საათივით მე ვიწყებ ლოცვას.

* * *

ამაღლდი, ამაღლდი, ძალავ დაწყევლილო,
კით შუადღის ირგვლივ მამლების ყივილი,
აღსავსე მოცარვით და თავის ღირსებით
და როგორც ტირილი ჩემი სხივმოსილი,
დედის ორთავ თვალში ხშირად მაღლდებოდა,
როცა ის კერავდა და სავსე იმედით
სიმღერით უწმინდეს ქალწულს ადიდებდა.
მამლები მაშინაც ამგვარად ყიოდნენ;
მუდამ საკუთარ თავს მოჰვავს საიდუმლო
და ცხოვრობს ჩვენს შორის, არასდროს იღევა.
თვით იმ დროს, როს წლების, დღეების მანძილზე
სიკვდილი სწეულთა ნაიარევიდან,
როგორც მეპატრონე, უმზერს ვარდის ოთახს
და ანგელოზთათვის ცვლის ირგვლივ ყველაფერს.
ბევრ რამეს აკეთებს აგრეთვე სივრცეში
ვარდთათვის, ხორციელ ყოფას რომ სტოვებენ,
გლეხური ოთახის თავზე რომ აყვავდნენ,
მაღლა, სახურავის ჭრიალა თავზეზე,
კიდრე მორიალე ნიშნებს შეხვდებიან,
რომ ზოგჯერ ბაგეთგან დაწყევლა აღმოხდეთ.
ამაღლდი! კარგია ყოფა დაწყევლილი,
მამლების ყივილთან მონათესავეა
და – დაგვიანებულ ზეაღმაფრენასთან.
მაგრამ დაგაბრუნებს სოფელი თავისთან
ხშირად, შემობოჭილს ღრმა ნოსტალგიით და
ეკლების უცვეთი ქსოვილის სამოსით,
რომელშიც შენ მაინც ჩანხარ ღირსეული
ხელმოცარვისა და შინ დაბრუნებისთვის.

* * *

სევდამ ადგილი შეუცვალა ანთებულ ლამპრებს.
მისი ამ ბოლო ხელშევლების პატივსაცემად
ეს ყოველივე ჩემში უნდა უცვლელად დარჩეს.
ორმოცდაცხრა დღის შესახვედრად წავიდა სევდა,
ჩემი კუთვნილი, აღსასრულის დღეებისაკენ,
რომლებიც ახლა კისერზე მაწევს
და ჩემს საცოდავ ღირსებას წინ წარუდგა იგი
ვარსკვლავთა ბასრი შეგრძნებების შეფრქვევის მხრიდან.
ასეა ჩემი ყოველი დამე, ასეა ჩემი ყოველი დღე,
ვიდრე ორმოცდაცხრა შესრულდება, არარსებობა რომელსაც
მოსდევს.

არც წინ, არც უკან არ არსებობს გზა ამის შემდეგ,
არც ზევით-ქვევით არ არსებობს და აღარც – შიგნით.
არავინ იცის გზა-სავალი, ორმოცდაცხრა რომ შესრულდება.
იქნებ ღმერთია ორმოცდაათი, ანდა იქნებ სიყვარულია?
მაგრამ ასე შორს ჯერ ვერავინ შეძლო დათვლა და სიყვარული.
ახლა, რაც ჩემში ყველაფერი ასე გამრუდდა
მას შემდეგ, რაც შენ შიგნითა ხარ, ხოლო მე – გარეთ,
მე ყველაფერი ვიცი შვიდჯერ შვიდის შესახებ,
რომ ეს ბოროტჯერ ბოროტია, სხვა არაფერი,
და უთვალავის ფესვზე ხომ სულ არარა ვიცი
და არც ვარსკვლავთა შეგრძნებების ბასრ და მჭრელ პირზე,
რომელზეც ახლა ჩემი სევდა-ნაღველი გადის,
რომ გამრუდებულ ლამპართა შორის
შევინარჩუნო მცირე ღირსება
ღვთის და ბოროტი შვიდიანის საპირისპიროდ.

* * *

შენ სრულებით მარტო დარჩი,
ბორგავ ჩემში, ციხე-კოშკის გალავანში,
მაგრამ დიღხანს არ დარჩები ტყვეობაში,
მალე ღმერთი გადაგარჩენს.

ნულარ მირტყამ, დავიღალე,
დათხრილი ვარ, დავემხობი მალე შვებით!
იქნებ, სადმე შორს, სივრცეში გაეშვები,
ვარსკვლავებზე დაივანებ?

მე გავხდები ეკალ-ბარდის
მწირი საზრდო, ერთი მუჭა მიწა, შენ კი
იყავ ჩემი შმაგი გული, ფიცხი, შლეგი,
ჩემი ტყვე და ჩემი დარდი.

* * *

მაღლა ვარსკვლავთ, დაბლა ფესვებს
შორის ვდგავარ, ვშიშობ, რადგან
რომ მიხდება ფეხის დაღვმა,
ზედ ვაბიჯებ ვაშლის თესლებს.

ჩემი ხიდან არც ერთია,
ძირს ნაპოვნ ვაშლს თუ ვფცქვნი მხოლოდ,
როს მწყურია, მშია, ხოლო
ცაზე მოვარე მოჰვავს ქლიავს.

მაგრამ მე მას ვერ შევწვდები,
რაგინდ მაღლა ავიზიდო.
რომ ჩაივლის, ვხედავ, გზიდან
ეცლებიან ვარსკვლავები.

იმედი მაქვს, რომ მე ამ წელს
ამ მიწას და იმ ცას შუა
სალხინებელს მივაშურებ
და იქამდე მეც მივაღწევ.

* * *

ნექნთა ჩემთა შიგნით, მაღლა,
ძლივსლა ფეოქავს გული, ღალდა
და შუაზე ხერხავს დრო-ჟამს.
თუმც ის მაინც ნელა გადის,
ჯერ მოხუცმა მეჩიტბადებ
დაბალ ცეცხლზე წებო დადგა,
წკეპლებს სხეჰს და ამის გარდა
კიდევ ბევრი საქმე მოჩანს.
ტყუილად არ აბამს ბადეს,
ბულბულზე და შაშვზე ადრე
იჭერს, ზოგჯერ, მტრედსაც ერთ-ორს,
განსაწმენდელს ცეცხლი ენთოს,
ყელგამშრალნი მტრედნი ხმობენ,
თაგის წყურვილს შეუნდობენ
აქედანა და იქამდე.
როგორც ღალდა დაიქადებს,
სისადავით ძლეულია,
ერთხმოვანი, ეულია
სიტყვა, ვერვინ გაიგონებს,
ვერც მეზობელ ტუსალს, ვგონებ,
ეს ხანძარს ვერ წაუკიდებს.
მხოლოდ სადმე, ქვეყნის კიდეს
მამალი თუ შეწყვეტს ყივილს,
კისრისტებით ჭასთან მირბის,
რადგან ეწვის ძკერდი დაღლილს.
სხვა ვერავინ ხვდება, ღალლის
გულსაკლავი ხმები ამ დროს
ძზის და მთვარის ზოდებს აღნობს
და სატურნის ტყვიას უხვად.
თუმც, ნევნები არ მემსხვრევა,
ბაგეს კრინტიც არ დასცლება
და ჩამივლი გვერდზე უხმოდ.

* * *

ბოსტანში ჩამჯდარა კუდიანი,
ითვლის ხახვებსა და ნივრებს.
ნეტავი, რა მელის, რას მიპირებს?
ძალზე გულმოდგინე არის.

მე მაღლა თავს ვერ ვყოფ, დამაფარეს
ფიცრის დაწყევლილი ყუთი.
ის ახლა ჩრდილებს თვლის, ყოველ წუთში
ჩემს მხარეს აპარებს თვალებს.

ჰე! – ამბობს – ცარიელ ადგილს ვხედავ,
მიწა თავისუფლად რჩება! –
და თმებზე ხელს მტაცებს, მექაჩება,
მე კი ყვირილსაც ვერ ვძედავ.

ამ ხახვის ბოლქვებთან ერთად თავად
მეც ვარ ჩამარხული უკვე,
ვინც ადრე გულუხვად დამაპურეს,
ახლა ნუგეშს მცემენ, ალბათ.

ისინი იყოფენ ცვარ-ნამს ჩემთან,
მიწის ნაჟურსა და საზრდოს,
რათა მეც თალგამად გავიზარდო,
ბებრის ნათესებთან ერთად.

* * *

ო, შენ, ანგელოზო უძიროვ,
მოსცილდი ოწინარს, ნუ ცდილობ
სულ შესვა, სხვებსაც ხომ სწყურიათ.
შეხე, დაქუტა სრულიად
მუცელი მთვარეს და სიხარბით,
ჩოფურა სიფათის ნიღაბით
ნერწყვს ყლაპავს, შენ რომ სვამ, იმიტომ.
შენ ყელი გაგიშრა იმით, რომ
ლოცვების ქვიშისგან ატეხილ
ქარბუქში წუთით არ დადექი,
ჭერებით იარე, ამიტომ
ჩემს წილს სიხარულით დაგითმობ,
ოღონდაც, წყლის სული დატოვე
ფსკერზე, რომ არ დავრჩე მარტო მე,
სულს დავლევ მეც იმის გარეშე.
რაც მე მსურს – შენ შენსას არ იშლი
და იმას არასდროს მიბრძანებ –
თვალებში სიწითლებ იძალა,
უპეებს გვირილით მოგიბან
და ანწლის ნახარშსაც მოვიტან,
წყურვილს კლავს – ხშირად სასწაული
ჭრილობებს სულ ახლოს გაუვლის
ამქვეყნად და მასთან დარჩება.
აქ ერთი მეორეს აშუშებს,
თუ ღმერთი წყალობას დაუშვებს –
ამიტომ: დატოვე აქ ჩემი.

* * *

აიწყვიტა ჩემბა სტეპის ცხენმა,
ანგელოზო – შენ, აქლემო – ადექ!
ჩამოვშალე მე იურთი ჩვენი,
არ გვჭირდება საძოვრები მსუყე.

ახლა ზურგით სამოცდათორმეტი
ღლე მატარებ ბარხანებში ქვიშის.
ცხენს სახელი სამოცდათორმეტი
ჰქონდა, ჩემი ღმერთი იყო მაღვით.

ახლა უდმრთოდ გადავლახოთ უნდა
ეს უდაბნო, იქ ცეცხლს სცემენ თაყვანს.
ცეცხლოვანი იყო ჩემი შავრაც...
ანგელოზო – შენ, აქლემო – ჩაჯექ!

ჩქარა! ჩქარა! – დერვიშის დოლს სანაძ
გავაკეთებ შენი ბაცი ტყავით.
აჲ, ცეცხავდა ეშმაკივით ჩემი
ცხენი, შენ კი უდარაჯე ცუდად.

ლომის ჭასთან მივალთ ცოტა გვიან,
სადაც ყვინთავს მზე, ნაფერი სისხლით.
მზე, ცხადია, დაბრუნდება დილით,
ჩემი გული ნადავლად ხვდეს ძუ ლომს.

* * *

ქარს სუნი ასდის ხახვის და ნივრის,
გლეხებთან ერთად თუ კლავდა საკლავს?
მოპარულ ქრისტეს იხუტებს, ივლის,
ეს გული ჩვილით დაეძებს სახლ-კარს.

ცხადია, უფლის ქარი საშინელ
ამგვარ ქურდს გვერდს არ უდგას წუგეშით
და გულს, ბავშვების მპარავს, მაშინვე
შეაგდებს ღმერთის სუნთქვის ღრუბელში.

ის ჩაისუნთქავს, ამოისუნთქავს,
გრძნობს თუნდაც მცირე უსამართლობას.
ქურდებს გარეთ ყრის, მათრახით ურტყამს,
ჩემს გულს საშინელ ყმასთან დატოვებს.

ყმა, რა თქმა უნდა, ჩემს გულს მაშინვე
ბავშვს ჩაუსახავს, ღვარძლიან საპყარს
და სატყუარად, გული ბავშვითვე,
ერთად სულების ხაფანგთან აჰყავს.

იქ იჭერს ტყავებს, რაც უნდა, რომ მან
ამოუცნობმა იაროს ხალხში,
ჩემს გულს, ჯოჯოხეთს რომ უწევს დგომა
ფეხის წვერებზე, ხელთა ჰყავს ბავშვი.

მხოლოდ სულ ერთხელ, მაღალ ღმერთს უფალს
თვალებს მიაპყრობს მაღლიერებით,
მწუხრის ვარსკვლავზე უნაზესს უფრო, —
სხვა ქალებს ახლა ისიც ედრება.

* * *

აღარც ვცემ ნუგეშს, ჩემს გულში მდგარი
ისე მძიმეა დარღი.
კარს აბრახუნებს სამხრეთის ქარი
და ჩემს ოთახში დადის.

ჩემს თმას ევლება, ნაუცბადევად,
ხომ არ ვტირივარ, მკითხავს,
უარს ვერც ვასწრებ, გზას დაადგება,
აღარ ჩერდება დიდხანს.

ვაშლის ხეზე რომ ყვითლად იელვებს,
გასაღებია, ხედება,
მას გული სიზმრად გამოიყენებს
და საკუთარ თავს ხვდება.

სახურავიდან ისე მოცურავს
ყინულის გროვა ბოლო,
თითქოს ვიღაცა წვეთ-წვეთ ლოცულობს,
სულის სიმშვიდე ჰპოვოს.

ქარი მიდის და ბრაზი ერევა,
მთვარის გასაღებს მალავს,
გული ვერ სწვდება ბედნიერებას,
ცრემლები უგსებს თვალებს.

* * *

მამლების გარეშე, კოშკები ავლია,
ქალაქი რომ მოჩანს მაღლით;
ჯადვარში ჩამჯდარი სულელი ქალია,
ქსოვს უბედურების ძაფით
პატარძლის სამოსელს, მკვდრის პერანგს და ყველა
მას უმზერს უცხოდ და თვალს ისე აყოლებს,
თითქოს არ შობილა იგი.
ის სულმა დატოვა, იქით
შავ-თეთრი კრავი რომ ბალახობს, ის არის,
თავს მამლის წითელი, დაკბილულ ისარით,
ზევით, ქალაქისკენ იმოკლებს მანძილებს,
რაღან დაუკისრა მისია მას მძიმე,
იქ გამოიღვიძოს, ზევით.
ჯადვარში უკვალავ გზებით
მიგორავს სულელი ქალის ყრუ სიცოლი
ცალ თვალად, რომელიც მზერას ვერ აცილებს
ხან სიკვდილს, ხანაც კი იქვე მობალახე
კრავს, შავ-თეთრ სასიძოს, ბიბილოს ანახვებს,
თავზე რომ ალისფრად ედო.
გული კი კვნესის და ბოლთას სცემს წრის ირგვლივ
და უბედობისას მანვილს გრეხს დღეს იგი
და უხმობს მას, ჩემო მტრედო.

* * *

მითხარი მხოლოდ ერთი სიტყვა და ფეხის დაკვრით
ცემენტიდანაც ამოგიყვანა უნაზეს ყვავილს,
ძლევამოსილი გავხდი რადგან სისუსტისაგან
და უაზრო მოლოდინისგან,
მაგნიტური ჩემი გრძნობებით.
შენ უეჭველად მოგიწევს, რომ გამომეცხადო!
საღვურის თავზე უჩვეულოდ დელავს ჰაერი,
და მოლულუნე მტრედების გუნდი
მოელის დიდი სიხარულის შემობრძანებას.
ლიანდაგებზე თვინიერად გაწვა სინათლე,
შორს გოგონების თმებისა და
მამაკაცთა თვალებისაგან.
მე ახლა უკვე აღარ ვტირი,
აღარც სასწაულს ველოდები,
რადგან ერთი რამ განუწყვეტლივ
ხდება ჩემი სისუსტის ზრდაში,
რომელიც ადის უფრო მაღლა მტრედების თავზე
და ჩაეშვება ქვევით, შავი ჭების სიღრმეში,
საღაც დღისითაც კი მოჩანან
ვარსკვლავები გადამალული.

იქ, ქვევით, არ ცვლის დღე და ღამე ერთიმეორეს,
იქ, ქვევით, ჯერაც შეუწყვეტლივ მოისწრაფვი
ჩემი ნების უნაზესი ყვავილისაკენ.

* * *

ყვითელო ვაჟო, კვლავ შენ ფლობ ლაგამს?
ჩამოვცურდები შენი ცხენიდან!
და ზურგზე მკვიდრად მიმიკრა მინდა,
მენ არ გსურს – თუმც გულს მკერდზე მოაბამ.

ნუ დააბრალებ ჩაქრობის შიშინს,
თუმც ცეცხლს მხურვალე ალი მოაკლდა,
უწყინარ ურჩხულს შეხვდები სადღა –
ხომ არ გესტუმრა ვერავი შიში?

რად მოტრიალდა წყვილი ვარსკვლავთა,
დიდი ეტლის წინ, გზას რად მოაგნებს?
თუ მიუგზავნე უკვე მოამბე,
რომ ჩემთან მოსვლა ძნელია კვლავაც?

მორევს უსაფრთხოს ვარქმევდით სახელს.
გახსოვს, ცა როგორ გავაპეთ ორად
და მხოლოდ მაშინ შეკრა სიშორე,
როცა გედივით ფსკერისკენ წახველ.
გჩანდი ჩემი ზღვის წითელ ჩქეფიდან,
ბევრად მამაცი ვიყავი, მჯერა,
და ჩემს გულს მძიმე არ ერქვა ჯერაც,
რაკი ვიღაცის ყელზე ეკიდა.

დღეს ყველა იხდის წყევლის ავ სახადს!
ველურო მთვარევ, ნუ მოხვალ სულაც,
გული სიკვდილმა გადამიცურა
და გზად ურჩხული გამოეცხადა.

* * *

უდალი ბელადი დოლს გაამალებს!
გრძნობებო, იძედს ამაოდ ელტვით,
და რომ ატაროთ კვლავ მისი ეტლი,
წყვილებად დაგყოფთ ვაჭარი მალე.

და ხერხემალი თრთის, უკანკალებს;
დატოვეთ პალმის შორი კენწერო!
შეზრდია შოლტი ბალახის ღეროს,
და გაიმაგრეთ ზურგებზე კანი.

შესვით ქოქოსის წვენი საამო,
სანამ უდაბნოს სანახი გავლეთ,
ბელადს სჩვევია გზაზე სიმარდე,
ის თქვენს და თავის გაყიდვას ლამობს.

ასწიეთ ეტლი, აღარ მოდუნდეთ,
გარჯა ზედმეტი დიდად სარგოა,
თქვენს ზნედაცემულ ზოდიაქოებს
დოლის ხმა ურევს სავალს ოდინდელს.

ქარად იქცით, ტანს გასცდით საპყარს,
პატრონს და საკრავს ეს თვლემას მორევს.
იცეკვეთ ლოცვა – ემსგავსეთ მონებს
– მუ ლომთან, რომელს ქალწულის ყრმა ჰყავს.

თვინიერების ნუ დაფლავთ ცრემლებს,
თუმც საზღაურის ღეჭეთ მარცვალიც
და ცად სასწორის თანავარსკვლავედს
ის მშვილდი სტყორცნეთ, რითაც გაგდევნეს.

ქარად აღსდექით უდაბნოთაგან,
მინ გაირეკეთ ზოდიაქონი,
დოლს წააჩხუბეთ უდალი ბატონი
და ყველგან ყრმაზე მოჰყევით ქადაგს.

* * *

ჩამოაცალეთ ქერქი ამ ვაშლს, ოღონდაც ისე,
არც დანით გაფცევნათ, არ მაჩვენოთ არც კბილგაკრული,
და ამოიღე შენ ცრემლიდან ეს ჩემი გული,
მუხთალ სიგიჟეს რომ ვუხატავ და მივუთვისებ,
და ხატვას თან მის სურათოვან წიგნშიაც ვბედავ.
და ამის მერე გადაკვეთე სუყველა წყევლა,
წყევლა, რომელშიც მთელი დამე დაგაწვა ბინდად,
თან დაგიხურავს შენ გვირგვინი აუ გველგესლის და
ნახევარ-მთვარის, სახლობ ამოდ, მიმჭერარ ღეროზე,
გამოცალკევდი, მოიშორე შენ ანგელოზი,
იგი, რომელიც, შენი სულის ჩათვლემის გამო,
ცდილობს დაიტკბოს სული მისი და დაიამოს,
გაუტოლდება ოუმც ვერასდროს შენს მაღალ წიაღს.
უიძებელებს გზად იმედის ფარი უფარე –
აგერ ახალი მთვარის ვარდმა, მძლეო უფალო,
ამ ყოველივეს რახანია რაც მიაღწია.
გამახსენდები დღეში ცხრაგზის, წამიც არ მოვცდე,
შენ მოგეძღვება ქვეყნად ყველა ჩემი გამოცდა,
გარდა იმისა, რაც მჭირდება გზად, საგზალ ნდობად,
როცა ჩავყვინთავ შენთვის მხოლოდ და დავეფლობი
ღვთის დიად აზრში და სანუკვარ საცხოვრისს ვპოვებ.
გადაამსხვრიე გვირგვინწნული შენ გველგესლასი,
გადაამტვრიე იმ წყევლაზე, სად მიღვას სახლი,
მას მერე, რაც კი შევიჩვიე ეს სიმარტოვე.

* * *

აღთქმულ მიწაზე შურისგებამ დაწნა ფესვები,
ამ მიწას ვუმღერ ჩემი დარდის მიუხედავად,
გრძნობებს საკუთარს გლოვის კედელს ვაგლეჯ და თავად
მე ზეთისხილის ტევრთა ხანძარს მივერეკები.
და შენივ თავის დასაფერფლად გამოიქროლე!
ამაყი იყავ, ახლა ჩადრად ეძებ სიშორეს,
მას მერე, რაც კი ყველაფერი აუდაბნოე.
მახლობელ ჭამი შენი ტვირთის ზრახავ გაბნევას
ან სულაც ვერცხლის საფასურად გამვლელთან დათმობ.
მე გირჩევ: ცეცხლი ხელმეორედ უნდა მონათლო
შენს სახელზევე, თუნდაც ლოდად ედოს მყინვარი,
წამოინთხა, დაიძრება და ომგინვარებს,
როცა შენი წვა მინელდება ყვითელი ქვიშით,
რომ ღვთისმოსავად ჩაიძინოს წვიმების დრომდე.
ოღონდ სიმშვიდის სულს უდარდელ ბაღეს ნუ მოსდებ,
რახანაც ჩემმი კვლავ აღთქმული ქვეყანა იშვის,
უმალ აგროვებს წელთა წიაღ გაფანტულ მოდგმას,
მათ თითო ნეკნზე ჩემი გული დოლივით ბორგავს.
კბილი კბილის წილ! — ყრუ ყიუინა გზად გაამალეს,
ბელადის ნება ბორგავს, როგორც ჟღალი მამალი,
გარშემო ნაცნობ ქალაქისა, შენი რომ ერქვა.
ნურსად იქნები უდარდელი, სადაც იკარვებ!
ძილშიც დაიფლე ოდესმე ნაზ მიწაზე ურვა,
დღეს შურისგების წადილით რომ ულმობლად ფეთქავს.

* * *

მქვია გულგრილი და გამრიყეს უფლის სახლიდან,
ყაყაჩო მთობი და დემონი გარბიან ძრწოლით,
მაინც არასდროს არ უარგყოფ გრძნობას მოწოლილს,
რომ მე მუხლების მიდამოში ვარ დიდად წმინდა.

მე მივატოვე სითბოება ადამიანის
და ანგელოზის ყველა ფრთისგან შევიქენ შორი
და თხუნელას ბორცვს მივეკარი გრძნობით საშურით,
ციდან მოისმის შოშიების გუნდის გნიასი.

შემოდგომაა შემომდგარი გარეთ და შინაც,
ქინქლების ქორწილს ვუმზერ – ქროლა ზღაპარს ვამსგავსე –
– კვეთა ყვითლის და ცისფერისა აღმაფრთოვანებს
და ლამის სისხლი შემიდედრა და გამეყინა.

სუნთქვის უეცარ დაოკების ძალას ვენუკვი,
ვიდრე ზარების ავი რეკვით ტვინი სხვა სახლად
მიწას გვაუწყებს ჩვენს სმენაში, რომელიც ახლა
თვალის ჭრილების სიახლოვეს ტყავს იცვლის უკვე.

ოდესმე სხვა დრო ჩამოდგება – როს ავხდი რიდეს –
– მთლიანად ყოველს, როცა ყველა გრძნობით ჩავწვდები
და მერე მიწის სისხლი ჩემში დაიწყებს დენას
შეუჩერები, და თხემიდან ტერფამდე იდენს.

* * *

დოროის ბორბალს დავრდომილი ვუმზერ მდორეს,
მზის მანები ტრიალებენ, ო, რა ზანტად!
ვერგინ მეტყვის მისასვლელ გზას ჩემს მიზანთან,
თუმც ხან ყოფა ხელდასხმული მოვიგონე.

ახლობლებმა მას გადასცეს ჩემი თავი,
გაწირულთა ქვაბულში რაც ცნაურდება,
და თითები მიჰყვებიან ნახატ-წერილს,
წერილისთვის არა არის უძალავი.

დარქმეოდა ყაყაჩოებს მსურდა სახლი,
ცოტა ტყეულს ვიახლებდი, იმედს, ღიძილს,
რახან ირგვლივ მკვეთრი სახით გამსელილი,
უმოწყალო სინამდვილე ყინვას მახლის.

* * *

მსურს, რომ შევიტყო ყველაფერი ტანჯვის შესახებ!
გამოამტვრიე მორჩილების მინის საფარი,
წაიღე ჩემი ანგელოზის აჩრდილზატება,
იქით მსურს წასვლა, სადაც შენი ხელები ხმება,
შეშლილთა ტვინში და სახიჩარ გულების ჯარში,
თავს ნაკუწებად რომ იფლეთენ, იქ წასვლა ვზრახე,
სად შლევი რისხვა სურთ ჩააფშვნან სამყაროს სისხლში
და ანგელოზი ჩემი მიდის წყალობის კარვით,
და ნაპერწკალმა შენი ღელვის და სიმხურვალის
დაადნო მინა – არ დატოვა ფიორი მისხლის.
მე ქედმაღლობით აღვსილი ვარ, ვეტოლე ზეცას,
გაბედულებას ამპარტავნს და შეშლილს ვღეჭავ,
ვით ჩემი პურის უკანასკნელ მონარჩენ ნაჭერს,
ნაჭერს ულევი მორჩილების ჭირნახულიდან.
ჭკვიანი იყავ; ღმერთო, მაღლსაც გვუნდი გულითადს,
თორემ იცოდი, დავამსხვრევდი ჩემს შუშის საფარს,
მსურს ჩემი გული ქოფაკებმა დეგნონ და სადღაც
მათვე დაგლიჯონ, რომ სიკვდილი გავწიო განზე
და ავარიდო ამაზრზენი ესე ხელობა.
მე მაღლი მითქვამს – საკმაოა, ტანჯვა მეყოფა.

ජාතික ප්‍රසාද

ცხოვრება ამ ვარსკვლავზე

სად მოვისვენოთ, ვარსკვლავური ქალაქები ვიმეტკვიდრევეთ:
ოთახი, სადაც ვერ იცხოვრებ, კიბეს ვერასდროს შეაბიჯებ,
აյ მზის სახლია – დღეა როცა – უშიშ ძუ ლომის,
ღამ-ღამობით კი სიბნელე და ვარსკვლავები სტუმრობენ
ფანჯრებს.

ჩვენ ვართ ბარტყები დედამიწის გუგულის კვერცხის,
დიდხანს გვითმინეს, ამოგვყარეს ბუდიდან ბოლოს
და დავფრთიანდით, თოვლს და წვიმას ვემსგავსეთ ახლა
და ზამთრის წასვლას ქარიშხალთა კედლებში ველით.

ଓର୍ବଲ ଓ କାମିତି

უეცარ ხმაურს დაახვავებს სახლს და მიდამოს,
ჩვენი სიჩუმის შეიჭრება ჭრიჭინა რკალში,
ქრის უსაზომოდ და, არნახულ სიცივის გამო,
ხმა გამყინავი სიყვარულს და სიძულვილს წაშლის.
ძველ ლამფას ცდომილ და უცნაურ ნათებას აცლის,
კერკეტ თესლს წაჰვრის დაბეჭყილ და დამჭერარ სურვილებს,
მხოლოდ ტკივილის შეგვისახლებს სხეულში მაცილს
და სიკვდილამდე ამგვარ სევდით ვართ დაურვილი.

შემოდგომის ფაზები

წყნარად გაცურდა ვარსკვლავების ზეციდან გუნდი,
დოლს უკრავს თითქოს – სახურავზე აბიჯებს წვიმა,
და წავა მალე, რომ არასდროს აღარ დაბრუნდეს,
ამგვარ დამტა ფხიზლად თევა გვარგუნა ვინაც.

მიწის გულიდან მოგუგუნე კაკუნს უმალებს –
მტვრით დაუმუწა სახლებს პირი – სარგმლის მინები,
რამდენი დარჩა უბინაო გარეთ სტუმარი?
ჯამში პური და ხილეული ობს რომ მინებდა.

სხვას აშურებენ ჩვენს სუფრაზე წვეულნი წუხელ,
მივიწყებულთა არ გმირებია პატიჟი შინა,
დრო ფერმინდილ და უცხო დილას თვალებს გაუხელს –
დღემ ქვის ნათელში დაგვმარხა და დრმად მიგვაძინა.

ზამთარი სახურავების ზემოთ

სხვაგვარად არის დაწერილი ეს დღეები –

წითლით თეთრზე –

ძებნარებით გაბეჭრებული რუხი მტრედების ნაზი ფეხებით,
მოთმინების მაუწყებელი იმ მტრედებისა,

თოვლიან ქარის საბურველში რომ მოკუნტულან,

სიცივით დამზრალ სარკმელთა წინ

წყნარად სხედან და ფხიზლად მზერენ.

თანდათან ნდობის უცხო ნიშნებს წაშლის ყინვები,

თუმც მათი ფრთები ჯერ პირღია უფსკრულების ღია ცაზე
კრავენ კამარას,

ლამის მოსვლამდე მოწყალება მოიღოს ეგებ

და ვინმეს ხელმა მოაფრქვიოს ხორბლის მარცვალი,

ქვასავით მკვრივი.

იმედის მიღმა

ყველა იბრუნებს ნამდვილ სახეს იმედის მიღმა,
ადამიანებს და ლანდშაფტებს სხვა ვალი მართებთ,
შეერევიან ვარსკვლავების მოუწვდომ ნათელს,
მოიშორებენ ცრუ ნუგეშის ბუნდოვან ნიღაბს.

რასაც შეიცნობ, შეიძეცნე, ვით კის ნიშანი,
ცხადად უფრორე, საფრთხე ვინემ – ავიც, კეთილიც,
ტანკვის ბეჭედი ვერ ამოგხსენ განუკვეთელი,
სიქველით ანაც სიძულვილით ვერც სხვა ვიცანი.

გიპყრობს უჩვევი სითამამე, მომპალ ალაგთან
გაქრი ან გაჩნდი, - იქ, სადაც ქვა კლდედ ქცევას ლამობს,
ყოვლისშემოქმედს და იდუმალს მიენდე კანონს,
ღვთის ნებას შესწვდი და ამაო ყოფა ალაგმე.

ბებრის ყვავილობა

მე რომ მებაღე კყოფილიყავ, მადლობის ნიშნად,
უპირველესად, დაგირგავდი ფერად მეწამულ,
არნახულად ფართო ფოთლიან და ექლიან
გელურ ნარშავას.

სულ ცოტა ხნის წინ აღერსად რომ ეფარებოდი,
ო, არა, შენ მის სილამაზეს კი არ აქებდი,
არამედ – წადილს, რომ ბავშვივით ნაზი და სუსტი
პირმშო ყვავილი გადაერჩინა.

და ჩემი გულის სიგიჟეს რომ მოწყალედ შეხვდი,
მეც შემოგწირავ საპასუხოდ მცირე საჩუქარს,
აპა, ნარშავას შემოდგომის ყოფა მსუბუქი:
მობერილ ქარში გაფანტული ათასი თესლი.

სამყაროს სურათი

დღეს ვხარობთ, თვალებს როცა ვასვენებთ
ფრთათერ ყანჩების გადამფრენ გუნდზე,
დადგება ხვალეც, თევზებთან ერთად
მათ უკვე ტბათა ფსკერიდან ვუმზერთ.

ლეგენდა

ჩვენ ფრინველები გვერქვა ოდესლაც
და ვფრენდით ერთად
და უსასრულო დღეთა თანა ვკრავდით კამარას.
ვიწრო ბუდეში მივეკვროდით ერთმანეთს ჩუმად
და არაფერი იყო უფრო მსუბუქი, ვიდრე
ჩვენი სიცოცხლე,
თვით ბუმბულის სიმჩატის დარი.

დღეს სუსტიანი მთების მხრიდან მოსულმა ქარმა
სელჩაკიდულნი წინ გაგვრეკა ამაზრზენ სტვენით
და შეგიცანი აჩქარებულ გულისცემაზე,
ენა წაგვერთვა გულუბრყვილო ნდომისგან მერე
და გაგვეჩირა სულელური სურვილი ყელში
და გავფრინდით
ჩვენ კიდევ ერთხელ.

მპვდართა პორიზონტი

ცამდე იზრდება მივიწყების ბალახის ღერო,
ვინ ძოვს ღამისას გორაკებზე ამ მაღალ ბალახს?
ქარის აჩრდილთა ზარების რეკვა,
ზეციური ოქროს ლეშები.
ფუყე თავთავნი
ხელუხლებლად დგანან და დგანან.

ჩიტები

შენი თვალები დაჩრდილულ ბუდეებს შეფარებული ჩიტებია,
ამოფრთხიალდნენ და უმალ ჩემსკენ გამოფრინდნენ,
ხის ქერქს ხელი როცა შევახე.

და აი, ახლა, მათი ბუდე ჩემი გულია,
ჩემივ შეადღის ფოთოლნარში მზისფერ მხურვალე,
და რაც მაცოცხლებს, წუთისოფლად რასაც ვენუკვი,
ძილი და მათი გალობისთვის ყურის გდებაა.

მზერა სიღრმეში

ქუთუთოები კარიბჭეა მსუბუქი, და
შიშს, სტუმრად მოსულს,
ისე გაუდე, არც აცალე დაკაკუნება,
მზემოკიდებულ მიმწუხრისკენ გზაც მიასწავლე,
ვინეტას გზები – ძველოქროსფერი აჩრდილების
უცხო ქალაქის.

ძველ ნანგრევებში შეხიზნულებს დაშორდათ საფრთხე
და მინდობიან ღარიბები უნაზეს ფესვებს,
ბალახის და ხავსის წნულებს,
სამარადუამოდ უსახელოდ არსებულ ყვავილთ,
მოკრძალებით და ერთგულებით რომ სახლობენ უსულო ქვებში.

და ქუჩებს მისდევს უსასრულო მუსიკის კვნესა –
ეს ფეხისხმაა სამსხვერპლოსკენ მავალ ცხოველთა,
მისწვდება იგი და ტატით უკან გაჰყვება
დაღონებული ხარის რქებზე მონანავე ფერმკრთალ მთვარეებს.

მე გავიარე ეს მსუბუქი კარიბჭე და
შინ დაგბრუნდი სამარადუამოდ,
მიუვალ წყაროს ჩავემუხლე,
ვსწავლობ ახლა კვლავ დამის ლოდინს,
როცა ის მოვა, ამოხვეტავს სულის ფსკერიდან
ჩემს ბაგშვობაში გადაკარგულ ლამაზ ვარსკვლავებს.

პავლე მოციქულის მიერ პორიცოლთადან მიღერილი მეორე ფერილის პითხვისას

(III თავი, ნაწყვეტი 2-3)

შენ წერ, რომ ქრისტეს წერილი ვართ, ცად გვიძევს წილი.
ძალუძს ვინმესდა ამ წერილის წაკითხვა კიდევ?
ჩვენ წამოვედით, დრო ისურვა სავალმა დიდი,
სისხლით ნაწერი გაფერმკრთალდა ყველა ნიშანი.
ვიგრძენით ჩვენაც და უმალვე ამოვიშალეთ.
სხვას შევევედრეთ და მწედ იგი გვემწყალობელა,
სანამ სიშლეგე მოგვიღებდა სუყველას ბოლოს.

ჰა, წაიკითხეთ სიტყვა მრუდი და დაბრეცილი:
იყო სხეული დარი ბეჭდის, მსხვრევას ელოდა,
ბრმა სარკე იყო სული ჩვენი, ირგვლივ ბნელოდა
და დრომ კორინთას მოურჩენი ცეცხლი მიუწოო,
რაც ბაბილონის შევიქენით მკვიდრი მიუნდო.

ეძღვნება პელენა ლარს და ოსკარ ჟან ტაუშინსკის

მერა

მომგვარეთ ძილი, ახლა ღვთის ყურს თუ სწვდება მხოლოდ,
სუნთქვა ღრმა, ჩუმი და სიმშვიდის ზეცისთვის მჩენი,
ნოტიო მიწა საკმარისი სარჩოა ჩემი,
ცივი ბალახი ყვავილნარში ამ მიწით ხარობს.

მეტისმეტია, კმარა, ამ ბორცვს ნუღარ ამრგვალებთ!
რომ შევედარო სხვა სიმწვანეს, ძალა მარგუნეთ,
განკითხვის ჟამის ნიშანს აძლევს უფალს თაგუნა,
იქ, სადაც სხვები ხარობდნენ და დამემსხვრა გული.

ადამიანი და ღმერთი

სამყარო ჩვენზე ხანდაზმულია:
იყო წყვდიადი, იყო ნათელი,
წყალი და მყარი, ვარსკვლავების და
ქარის თამაში, უბიწო შფოთვა
ხის და ბალახის. **შენ** ჩვენზე უფრო
ფრინველებს, თევზებს, ფუსფუსა ფუტკრებს
ხარ განდობილი, პირუტყვის მახვილ
გეშს და ალლოსაც, ღრმა მორჩილების
უაღრესობით, **შენ** ეგულვი
უანგაროდ წინამორბედად.

ოღონდ ჩვენ სრული არსით გვინდიხარ:
მაშ შევიჭრებით საუკუნეთა
სიღრმის წიაღ, **შენი** შესაქმის
ყოველცისმარე დღის შესაცნობად.
და რამდენადაც გიახლოვდებით,
ჩვენს თავს ვშორდებით. თვალჩაუწვდენი
ზღვის ფსკერი უკვე არის ჩვენგან
ხელშენახები, მიწა უბიწო
გამსჭვალულია ლამის ცეცხლოვან,
ვარვარა ბირთვის გულის გულამდე.

ცოტადა დარჩა, და მადნეულსაც
მოვიპოვებთ ვარსკვლავებიდან
და შევაზავებთ ზენას და ქვენას!
ოუ ჩვენეული მეშვიდე დღე
განუყოფელი ყოვლადობიდან
აიზიდება, მამაო, მაშინ შენს სამსჯავროზე,
ბოლოს და ბოლოს, პირველნი მოვალთ.

შეგრული იავნანა

ჩემო პატარავ, ნანა ნანინა!
მარტოდმარტონი ვართ, პაწაწინავ.
და რაც არ უნდა მოიმოქმედო,
სოფელს ვერ შეცვლი შენ სასიკეთოდ.
ჩემო პატარავ, ნანა ნანინა!

ჩემო პატარავ, ნანინა ნანი!
სიმწნევემაც კი გალია ხანი,
შეჭამა ეშმამ ყრმის ტკბილი ფია,
დარჩა მარილი, სისხლი და ტყვია.
ჩემო პატარავ, ნანინა ნანი!

ჩემო პატარავ, ნანინა ნანა!
ჩვალის დღე რასმე მოგვიტანს განა?
პურის ყუას და მჭლე ნაჭერს ვაშლის,
სიკვდილი ახლავს უთუოდ ბავშვის.
ჩემო პატარავ, ნანინა ნანა!

ჩემო პატარავ, ნანინა ნანი!
აბელს კაენთან დაუდევს ზავი,
და თუ ჩვენს ფესვებს ჩავწვდებით წამით,
ერთი დედისა ვართ შვილნი ლამის.
ჩემო პატარავ, ნანინა ნანი!

დილის რიზრაზზე

გარეთ ცა უკვე ოწყებს ნელ ლივლივს.

ვიცი რომ ფერფლი საშინელი აწვიმს ჩვენს ვარსკვლავს,
და უფინება უამრავი ფერფლი გულებსაც.

ახლოსაა სიკვდილი უკვე,
სიცოცხლის სუნთქვა იღევა ნელა,

და მხოლოდ შენი ბაგეებიდან
მოყვასის პირისახემდე აღწევს,
შენ ფერფლის აღძვრა ჯერ კიდევ ძალგიძს,
გაქრობის პირას მისული ქროლვით,
რომ გაუმტკლავდე საზარელის მოახლოებას.

ღმერთმაც ხომ ოდენ ამოისუნთქა,
ადამიანი როდესაც შეჰქმნა,
მსგავსად და ხატად, ჩვენსავ დაკარგულ
ვარსკვლავიერ სამარეთათვის.

ვაზები

მათ არაფერი შერჩათ მარადი,
ისინი სავსე მთვარის ფაზაშიც
ნამგლის სიმრუდეს ხედავენ მხოლოდ,
ორსახა ნიშანს, ანუ სიმბოლოს
იმ უცდომელი მომკალისა,
ვისაც მარჯვენაც მარცხენასავით თანაბრად უჭრის.

დროის მოწყალე მონაკვეთი კი
ანაზღად ხელთა შენაცვლებისას
რჩება აწ წმინდა ამაოების
სასწაულისთვის ხილულ სიცხადედ:

რადგანაც მრუმე სახურავებზე ლამაზად ჰყვავის
უნაყოფო ყვავილი თოვლის,
აწ განძარცული ჩვენი ზაფხულის
ჩიტთა გალობა იმქვეყნიური,
შინ უბრუნდება შინაგან სმენას,
ყაყაჩოების გახუნებული აბრეშუმი
კანს მეწამულად გვიფაკლავს ისევ,
სათუთ წერილთა ძარღვებში კვლავაც
კარგახანია ვერწასაკითხად
გადაქცეულ გულების ლანდშაფტს
გულმოდგინებით მივსდევთ კვალდაკვალ.

ღვიძის ზღაპარი

იქ ზის ტყის პირას, ნამიან სერზე,
რუხ-ნისლისფერი ანგელოზი წვიმის სამოსით.
და საათობით, უსასრულოდ, გულს ირგვლივ მახვევს,
მის ნატიფ ძაფებს თითისტარი მოუსვენარი.
დაღამებამდე ოდნავ მზემ თუ გამოანათა,
შემოფრინდება შენს სარკმელში ფრთა სველი ვერცხლის.

სახიფათო ზაფხული

შემალულა და შეძურწულა ლოდებქეშ ჩრდილი.
არ ჩაგეძინოს! წყალი სწყურია თავთავა ხორბალს,
ვარვარებს ბალბა, ქუთუთოებქეშ ყოჩობს ყაყაჩო.
თუ გაიღვიძებ, ყურში სიკვდილის გესმის წიგილი.

ოლის ბოლოს ნათევამი

სიტყვები მძიმე, არდარჩენილი,
თოვლის ნამქერში თეთრად წერილი.
სიტყვები, უკვე რომ არ ვენდობით,
ზეცის და მტრედთა გასანდობარი,
სულ უსახელოდ შთენილ ქართაოვის,
ჯერაც არმოსულ ანგელოზთაოვის.

გაშლილი ხელებით

აი, ესაა ყველაფერი, რაც ზედმეტია:

არც ვარდის ზეთი, არც ყაყაჩოს თესლის იოტა,

მუხლებზე გიწყობ ათ ცალ თეთრ მთვარეს,

გაბზარულან და არც არასდროს გასრულდებან.

გაშლილი ხელებით ვერწანაკითხი შრიფტი დარჩა სიცოცხლის

შემდეგ.

ჩიტების მარეპი

სინათლეში გასცა ტოტთა სიშიშვლე,
ხის საიდუმლო გაცხადდა ჩემთვის.
მაღე ჩიტების მარეკიც მოვა
და შინ ლტოლვილებს დაუთმობს ბუდეს.

არაპინ

ამ კართა მიღმა არავინ ცხოვრობს,
სავარგი ჩემთვის, –
ფიქრობდა კაცი
და კიბეს ზევით მიუყვებოდა,
სხვენში ასული
სინჯავდა დიდხანს ნარმის თეთრეულს.

უფრო ადრე კი მის კარს არავინ
ჩამოუარა, მიმავალმა სარდაფისაკენ,
იგი კარგა ზანს სინჯავდა წრიაპს.

შემთხვევით შეხვდნენ ორივენი უკანა გზაზე
და შემკრთალები მიესალმნენ ერთიმეორეს.
ერთიც, მეორეც კიდევ იდგა გარინდებული
წამით კარს უკან, ბინადრობდა სადაც არავინ.

შცხო ლადგაფტი

უცხო ლანდშაფტი არსებობს მხოლოდ ადამიანთა

მეთევზეთათვის:

იქ არ უღერს ტკბილად ზაფხული წილით, ყურძნის მტევნებით,
მემოდგომაზე იქ დუღს მხოლოდლა მარადი ვაშლის საზიზლი

ლოხი,

იქ მზე წორცს ახმობს განკითხვის ჟამის ბაზრობებისთვის.

უარესია ღამეები შეუდარებლად,
რადგან ვარსკვლავნი, დიდებულნი, ჩირალდნებივით
ციმციმებენ ბრმათა ღაშრეტილ, ბნელ ფოსოებში,
წყვდიადი კი რჩება წყვდიადად.

ეს ლანდშაფტია ნაზარეველის,
მაცხოვნებელი სიტყვის მყუდრო, წმიდა სავანე,
ყრუთა სმენისთვის ამაო და შეუსმენელი,
უნატიფესი მოციქულის ტკივილ-ვნებაში გამოტანჯული
და მიჯნურთაგან ჯვარცმით წსნისთვის
მარად ნატრული.

გამოთხვება

მწირ ქოხმახებში ბუუტავს სანთელი,
გაუსაძლისი ბორგავს გრიგალი, თოვს და ღამეა.
ნუ სტირი! მგლების დამშეულ ხროვას გერ ვუდალატებ.
ვერ დაგბრუნდები იქ, სადაც ვვლიდი კარგახანია.

უგზო სოფელში დილაობით კვალს ნუ დაეძებ,
ნუღარ მოიხმობ ხელკეტიან მონადირეებს.
შერჩეთ გაჩრილი ძილისგუდებს თმა-წვერში ძეძვი,
მე კი მყივანი ლვთის ლალადი შემეხმიანოს.

შსახლპაროთა სავეზრებელი სიმღერა

რას იმღერიან ღამით, ნეტავ, საბრალო ყრმები?

"გაპარსე კრავი, გაპარსე კრავი,
ზეციერო, შენ, მეცხვარეო!"

რას იმღერიან ღამით საბრალო დედანი, ნეტავ?

"დაჩეჩე მატყლი, ქსოვე სამოსი,
ზეციერო, შენ, ქალბატონო!"

რას იმღერიან ღამით საბრალო მამანი, ნეტავ?

"დაჩეხე შეშა, მოთრიმლე ტყავი,
შენ, ორლესულო ქარო-ბატონო!"

რას იმღერიან ღამით მარჯი მეურვეები?

"გაალე კარი, გახსენი სკივრი,
შედგი ღუმელში საცხობად პური,
გამოარიდე შებოლვას ხორცი,
ოღონდ ჯერ ავი დააბი ძალლი
მაგარი ჯაჭვით!
ეს საბრალონი დღეს ასე ტკბილად თოვლს უმღერიან."

განაცხადი ქმნილის შესახებ

ვარგი და მარგი არ გახლავართ მე სამწუხაროდ,
მაგრამ ზღარბივით ვიჩხვლიტები ნუგბარი რითმით
და უცნაური ფრინველებისთვის ვქსოვ ფაცერკორდებს,
ფარფატა, მსუბუქ ხატულა პეპლებს ვატყვევებ სიტყვით.

ღიმილს და ცრემლებს ვაგროვებ და ვთავაზობ მყიდველს,
უსასყიდლოდაც გავცემ, ვინმემ თუკი ინება.
ვსწავლობ ფინის ერთგულებას და მის სიმკვირცხლეს
და გაქცევაში კურდლელივით ვეძიებ შვებას.

თაყვანს ვცემ უფალს, თუმცა ეშმა სარმას გამომდებს,
ასე ვაწყდები ბრძად ფლიდ ჩლიქებს, თუ ვსდევ დიდებას
და მზესუმზირის ფესვებს მტკიცედ კვლავ ვეჭიდები,
წმინდა ფრანჩესკომ მარადისთვის რომ დამიწინდა.

ჩემს მეგობრებს

09სებ არიმათიელის ბაღნარში

უჩუმრად შედი მძინარე ბაღში,
აქ სასოება დავმარხეთ ჩვენი.
კლდესთან შეხებას ვერ ბედავს სიოც,
კრთის მცველთა ლოდთან ბრინჯაოს სხივი.

უწალოდ შედი, მხოლოდ შიშველი
შეიგრძნობს ტერფი ბალახის ლტოლვას,
მიწის წიაღში ჩანასახს უკვე
ყლორტზე უჩინრად უთრთის ყვავილი.

არ შეუშინდე ნარ-ეკლის რხევას,
მცველი შუბებს ბრმად მისჩერებიან.
მებაღეს ჩიტის არ გასცემს სტვენაც,
იგი სისხამზე უკვე გზაშია.

წყლის შაშვი

სულ ერთხელ,
წამით, გაიელვა წყლის შაშვმა და
მკერდზე ბზინვარუ
თეთრი ლაქა გამოაჩინა.
ის მდინარე კი, სადაც ჩაყვინთა,
ხელახლა მრუმედ
არასოდეს მოგვეჩვენება.

ცოდვა

ტყუილად ვცდილობთ ზღვით გადახვეწას,
ნაპირებიდან გვიმზერენ ყველგან
ძევდარი თევზების ცივი თვალები,
ხმელეთ-ხმელეთ გვითვალთვალებენ.
რადგან მდუმარე სხლტომა-ზიმზიმი
კონტინენტების ფესვთა სიღრმეზე
საზარელმა გოდებამ შესძრა.

ბალანის წნული ბადეები უფრო ჩასკვნილან,
ვიდრე - ბლაუჭა საცეცები წყალმცენარეთა.
ყოველცისმარე უმეცარი მეთევზები
ნავებში მარად ყავლგაუსვლელს ხაპავენ და
გადაისვრიან ბაზრობათა აურზაურში,
იქ, სადაც ჩვენთვის განკითხვის დღე მდუმრიად რჩება.

ადამიანი

ის მკვდრად შერაცხეს,
რადგან ქვები კვლავ სდუმან მასზე,
რადგან შამბნარმა შთანთქა სავსებით
და ჩანჩქერების წყალვარდნილი
ყრუდ ახშობს მის ხმას.

თუმცა, მეკვლეებს
კლდე წიგნივით გადაეშალათ,
ხავსმა გაანდო კვალი ძებნილი,
ფილა-ფიქალი აწ გატეხილი,
აჩრდილი-ჩქამი გარინდებული.

გაქცევა უტყვი ზეციერი მინიშნებისკენ:
მათ აედევნენ მონადირენი,
ცის მნათობებით მიღევნებულნი.

მიგნებულებს კი
აეხსნებათ ენა და ნიჭი
გაუგონარი ამეტყველებით.

სპოალე 1963

დაიგნებდეს მიწის წიაღ სიმშვიდე სრული,
დამშვიდდებოდეს ადამიანის მბორგავი გულიც!
მაგრა ვაი, რომ დედამიწა არ არის მშვიდი
და ვერ მშვიდდება მიწის პირმშოც, ადამიანი.

ვინც აზავთებულ ფორიაქზე აგებს რაიმეს,
თვით მის მიერვე ანაგები დაასამარებს.
ვაგლახ, ისევ თუ ამოანთხევს მას ხელმეორედ
დამუნჯებული ღაღადისის კიუინის ხმაში,
ლეწვით წარმოქმნილ ბორცვთა ზრიალში!

უმჯობესია გაეცალოს, ქვას ქვა არ დასდოს,
თვითდგენისა და საკუთრების დამკვიდრებისთვის.
რადგან ბალახსა და იდუმალ მნათობებს შორის
გჩენილი და დასაბამითვე მათი კუთვნილი,
არ რჩება, განა, უტყვად ქმნილი გაოგნებული?

დასკვნა

წუთისოფელი მოკლეა.
ნაწყალობევი ჟამიდან მეტი
სჭირდება მიწყივ პურს არსობისა.
სიყვარულსაც კი მიეგება ცოტაოდენი,
და არაფერი აღარ რჩება დაისისათვის:
ძრწოლით აღსავსე დასასრული უცილობელი.

პილი

მოემართება შავი ტყიდან ვარსკვლავთმესანთლე.

ხუფავს ბუდეებს, ყვავილებსაც ულულავს თვალებს,

მოივლის სოფელს, მიტოვებულ შადრევნებს დაწმენდს,

ღუმელში ცეცხლს და ოთახებში აქრობს სინათლეს,

ვერცხლის ვაშლივით აგორებს მთვარეს ყრმათა საკანში,

"დაივიწყე"-ო, ეტყვის კაეშანს, "ჯერ არა"-ო კი, სიყვარულს

ჰკადრებს,

ავის და კარგის თავნება ეკლებს დამყოლად აქცევს,

საჯინიბოში მოუშვებს ჯაჭვებს. სამიკიტნოში ხელს აუკრავს

ლოთბაზარს ჭიქას, აღარ ანებებს თავის ჩაქინდრვას,

და ტლანქ ტაბლაზე მაგიდის ჩვრით "კმარა"-ო, უწერს!

მშვიდობა შესახებ

მშვიდნი ქვეყანას დაიმკვიდრებენ:

და იტვირთავენ სამსჭვალს მიღმა, ტერფებზე, ხაძლზე,

ამოიგებენ მის წყალს და ბალახს, ვარდებს და მარცვალს

ნაპრალებიდან,

ისიც უწყიან, გაქვავებული ტყეები და წინარე უამის თევზები

სად გაყუჩებულან.

ალლოთი გრძნობენ რვალის მადანს ჩამხმარ ძარღვებში

და ჟღერადობას ანიჭებენ, ძერწავენ ხელით ვით მოქნილ თიხას,

მთებს ანაცვლებენ, აშრობენ ზღვებს და უჯიათ ლოდებს

სიფრიფანა მინად ადნობენ, და ცვარდაკრულნი, ხელზვავრიელნი

გაეცლებიან.

ჭიაღუებთან, ხოჭო-მატლებთან თანხმიერებით

შეუწყვილებენ ნეშტს გამოუცნობ მისეულ იერს,

სანამ გვირილის სურნელოვან თაიგულივით არ მიაგებს

მათ ანგელოსი განკითხვის დღეს ზენაარ მხსნელის გულს

ნაიარევს.

ზღვარზე

სანდახან ზღურბლზე ჩამოჯდებოდე, შეისვენებდე ვერსადაგი ხეტიალისგან, იყოს შენს მიღმა კარი იგი და არ ირეკდე.

შენ ყოველნაირ ჩქამს შეისმენდე და თავად კი უჩუმარი არ ხმიანებდე, შენ იმ ცხოვრებას, რომელიც არ გცნობს, უსმენდე მაინც: მინ და ქუჩაში, გესმოდეს თაგვის გულისცემა, მოტორის ზათქი, ჰაერისა და წყლის ლივლივი, ამო სასმენი, ადამიანთა და ვარსკვლავთა ნაბიჯი ჩუმი, დედამიწისა და ქვათა გმინვა.

სანდახან შუქი ეშვება შენთან და ხან კი ჩრდილი, და-ძმა ერთგული. მტვერსაც სურს შენზე რომ დაივანოს და - თოვლს შეუვალს.

თანდათანობით სიცოცხლეს იკრებს ენის ქვეშ სიტყვა, შენი სიტყვა უკანასკნელი.

მოვალეობის განვითარება

ბინდისფერლურჯი.
სექტემბრის პირად
ჯერაც არ ამხელს ოქროვან წიაღს
მწიფე ქლიავი.

ერთ მზესუმზირას

თვალებნუგეშავ, შენ, ნედლფრთიანო!
ექმარა კია მიწიერი ეს სამფლობელო გატოტვილ ფესვებს,
შენი ჯიშისთვის ასე სავსედ და ასე უცხოდ
რომ ამოზრდილხარ?

ველურ ფუტყართა თაფლის ვარსკვლავო,
სუსხშეპარულ შემოდგომაზე ფრინველთ წმიადო,
ნოემბრის ხისტი ქარაშოტებით
თავვაძარცული, სიცარიელეს
საკუთარი მხრებით რომ ზიდავ,

და დადრეკილი ჩარაზულ კართან
ზამთრისთვის მზად ხარ
მკერდგაღელილი გოლეულივით,
ცა რომ დაბარლნის ქათქათა თოვლით.

სიყვარულის სახელითაა ნათქვამი ესებ:

ისუნთქე ლალად, ტირიფის ციცავ,
ფუტკართა ხმიადს არც რა დააკლო!
ყინვით გაცრეცილ მწირ უჯრედებში
კარგა ზანია სწყუროდათ სიტკბო.

ჩვენ კი სიტყვა გვაქვს ნაწყალობევი,
თაფლის და სანთლის დასამზადებლად,
რომ ეს სათუთი და მშვენიერი
სამყარო ისევ გულს შევიხიზნოთ.

სე ზამთარში

I

ფრინველებიც კი გაფრინდნენ უკვე,
ჩამოსძარცვია წევბს ფოთოლი:
მათ ბუდეებში ქარი ჯერ კიდევ ყნოსავს ნაზ ნაკრტენს.

II

დღეს ის იშვიათ ხილსაც გვთავაზობს:
სუსხიან დილას მზის ვაშლს ცეცხლისფერს,
საღამო ხანს კი - ვერცხლის მუხუდოს.

III

შენ თუ მიაგენ სანუკვარ ბუდეს?
ჩემო ჩუმო და ნატიფო ჩიტო,
თოვლო ნანატრო!

საიდუმლო

მთიდან მქუხარი მდინარე შმაგი
ჩიტოა გულებით არის აღნაგი,
წყლის შაშვსაც კვებავს ის უანგაროდ.

მთის წყაროს ფსკერზეც ძალუშს გარბენა,
გაშლილი ფრთებით შეისისხლ ხორცებს
მთის ნაკადულის მუხტსა და სიღრმეს,
ბრუნდება უკან საღსაღამათი
და მის წყალობას მაღლობას სწირავს.

ეაიტაფია

ვეღარაფერი დაგარწყულებს!
ამივსე პირი აყალო მიწით
და გიმლერ ბალახს...

მრთი ვარდის დაისის შესახებ

ყველას, ვინც ეტრფის
ვარდს ქედდადრეკილს!
ზღვა მეწამულად დაიფერება,
და სურნელება იდუმალ ალაგს დაეფინება,
სადაც ის მარილს შეერწყმება და გაიქნება.
ანდა ანაზდად გაქვავდეს იქნებ?

ჩაუჩრულეთ ყურში ნიჟარებს,
თევზებს, და ყველას, ვისაც კი უყვარს:
ტბების ფრინტათა ბაღნარებში,
ზღვის ვარსკვლავების ცის კაბადონზე
ქედდადრეკილი ვარდის ხანა იწყება უკვე.

ქარბუქის ჭასთან

მე წლიდან წლამდე მღუმარებას ვთხზავდი აქ მხოლოდ.
ამ ღამით ჭაში გადავისვრი ჩვეულ თითისტარს
და მიგბრუნდები შინ მშობლიურ დედა ქარბუქთან.

იქ ჯერ ბალახი ხასხასებს ისევ, გულს მიხალისებს,
და როცა ვაშლის ხეებს შევარზევ, ყოველი ვაშლი
აუღებს ალღოს, ვინ არის ამით ნაგულისხმევი.

იქ შეიძლება დაუდევრად დავიწვა პირიც,
როცა თონიდან ამოვყრი პურებს
და შენ სახელს ყუას მოვაკვნეტ.

იქ მე კვლავ ურცხვად ქვეშაგების დავბერტყავ ბუმბულს,
ყოველ ფუმფულა ფრთას გავანდობ ჩემს საიდუმლოს
და დავანებებ თოვლის ფიფქივით ლივლივა ფრენას.

ქალბატონმა ქარბუქმა იცის ძილისპირული უცხო ზღაპრები:
იმ მომღერალ და თეთრ თითისტარზე, შენი ფანჯრის წინ
მუხლაუხრელად რომ ტრიალებს და არ იღლება,
ცრემლებზე, მქრქალი ვარსკვლავებივთ რომ დაცურავენ,
თუ უწონადო თოვლი ზეცისკენ განაგრძობს თოვას...

და როცა დილით, ალიონზე ამოვალ ჭიდან,
რაღან გნატრობ და მინდა გიხილო, აღტკინებული
მოიჭედება გული ჩემი უზადო ოქროდ. დღითა და ღამით
ავაცეკვებ ჩემ თითისტარზე მზესა და ღამეს,
და ეს ხმამაღლა უნდა ამცნონ მამლებმა ყველას.

ველობა

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა
მოყვასთა ზრახვით, წმიდა იყავნ სახელი შენი,
სვეტი ნათელი წყვდიადის წიაღ, სიტყვა ყოვლისა
წარმომშობელი!

ოდეს მოქცევა მატულობს მიწყივ და ქარიშხალი აწყდება
კედლებს,
ღამის პირისპირ უკანასკნელი შემწე ხარ ჩვენი, როცა იქ გარეთ
მოუთმენლად ჩასაფრებულა ლევიათანის ხახასავით ფერმკრთალი
ოოვლი.

ზამთრის ამბავი

თვალსაწიერი დღენიადაგ სულ ვიწროვდება.
სუსხიანი და რუხი ზეცის ქვეშ
სახურავები შემოსა ყინვამ, ცისფერი ცეცხლი
მავთულბადიდან ციმციმ ასხივებს,
გაუცხოებულ სამოთხეთა წალკოტებიდან
გარინდებულან აყვავებული თრთვილით ხეები.

დამუნჯებულა ჰაერთა მაცნე,
აღარსად ჩანან ჩიტები ვერცხლის,
მხოლოდ ყვავებმა იცოდნენ ისევ
დრო და აღგილი ნისლში გაფრენის.

ასე უთოვლოდ მიიღია ეს წელიწადი
და ამოუხსნელ მოლანდებად დადგა ახალი.
მე განსწავლული ყორანივით გადავულოცე
და მივაგებე გამიზნულად სიცივეს გული.

მთვარის დაბნელება

განუყორელია მარადი ჩრდილი.
შეყვარებული და - ვინც არ უყვართ,
ცოცხალი, მკვდარი,
დიდი და მცირე
იგივეა განურჩეველად.

ყველგან, სადაც ხარ, თუკი ვეშვებით,
ვარვარა, ან თუ ცივ სინათლეში,
მზარდი ჩრდილივით
შორეთიდან შინვე ვძრუნდებით
და მივაწყდებით ახლობელ ვარსკვლავს.

განსევავებული ქნა

I

მგრძნობიარეა სხვებისათვის მოსმენა ჩემი.
მე შენ ტუჩებზე შეგახებ ხელებს –
ისმინოს ჩემმა ცხოვრებამ შენი.

II

სინათლისა და არილისგან
ისწავლე რამე,
რათა შეგეგრძნო
მაჩიტების
ყრუ მაჯისცემა
თოვლის საფარქვეშ?

III

ღამით ჩურჩულებ,
ვთ წვიმა ზავსთან.
შენთვის ამწვანდა,
ახასხასდა დღეები ჩემი,
ისინი არას მეტყველებენ
უჩუმარი ცვარ-ნამის გარდა.

მცირე ლოცვა ლამისათვის

I

ლოცავდე, ჩვენთვის ვინც იტანჯება,
ანუგეშებდე, დღეს თუ ვინმეს ატკინე გული,
ჩვენ ხომ სუსტნი და გულმავიწყნი ვართ აგრერივად.
კვლავადაც წყალი გვიმრავლე ჭებში,
ხაბაზნი ფხიზლად ამყოფე, რათა
არ დანახშირდეს არსობის პური,
ჩვენ ხომ ასეთი ვართ დატაკები.

II

ძილგამკრთალთ შენი ვარსკვლავები აუციმციმე,
მიტოვებულებს უხმე, როგორც ჭრიჭინობელებს,
სნეულებს ცაცხვის სურნელებით მიუბორიე
და ჭკუასუსტებს მიაგებე ზღვაური ქარი.

III

რაც ჩაიფიქრე სამერმისოდ
შენეული სამყაროსათვის,
შეყვარებულთა ნორჩი ქათიბი
დაუტევე ხელუხლებელი,
რათა გაათბონ ერთმანეთი
სიკვდილის ჯიბრზე.

გზად უპველესი ცეცხლისაკენ

დაემშვიდობე ჩალას და ნაფოტს,
ცეცხლის პირველქმნილ გარსს სიყრმისეულს.
უძველესი ცეცხლისკენ მივალთ,
ქვისა და რვალის პირმშო ცეცხლისკენ.

ყინულოვან სიკვდილთა წყება
არა სისხლიან მსხვერპლშეწირვას,
ოდენ ფშვინვიერ მსხვერპლს ელოდება.
გულის საუნჯე აგვეღევნება ხომალდზე მგზავრად.

ფრთამოკვეცილად გვამცნობს მტრედი
ჯერ გაუკვალავს, შეუკალს, უცხოს.
მიტოვებული დედამიწა კი,
უკვე ვარსკვლავი, მითია მხოლოდ.

უმწეოს უნდა დაგეცვა თავი.
ვერც სიცოცხლეში, ვერც სიკვდილის წინ
ვერ გაგიწიე მე მფარველობა.

ახლა მიწისგან გიმზადებ აბრას
და ღერბსაც გირგავ ყვავილების და
ბალახებისგან აქ, ცისქვეშეთში.

პეპლებმა უმალ იცნეს წარწერა
და მოფრენილი ფუტკრებიც უკვე
მზად არიან შენს დასაცავად.

მეფუტკრის ძებნის ჟამიც მოაწევს,
გუნდა ცვილი რომ მოვიმათხოვრო
თოვლ-და-თოვლ სანთლით გზის გასაგვლევად.

ენა, რომელიც სიტყვაში მკვიდრობს,
არ გამოითქმის,
ენა ტკიფილით დანაბადია,
ათასწლოვანი ზღვის ძღუმარებით
ნაგები მარჯნის ჭალაკად, ქედად
სალი კლდიდან ჩამონალეწი,
ნაწრთობი ცეცხლით,
ცულს და ხეს შორის გასრულებული,
პირიდან პირში სუთქვად რებული.
მისგან აგებდნენ სახლებს და ხიდებს,
დიდებულ ურგებ კოლოსს მემნონის*,
სადაც მზისადმი საგალობლები ისახებიან
და – ის ყრმები, ვინც ჰანგებს ხოტბად აამეტყველებს.

* მემნონის კოლოსი – ამენოფის III-ის მონუმენტური მჯდომარე ფიგურები ოე-ბეში(მთარგ.).

მემკვიდრეობა

ვიდრე დონაუს შევიცნობდი,
იორდანის ნაპირთან ვიდექ.
შონბრუნი* იყო წალკოტი მართლაც,
ანგელოსის ფრთები კი მაინც
გეთსიმანის ბაღში აჩქამდა.

მე გოლგოთაზე
ადამიანთა ლანდშაფტსა ვჭერეტდი,
ვიდრემდის ვენის კალენბერგის* ხედს ვიზილავდი
და სახედრები, ჩემი გულის შუა გამვლელი,
ისევ და ისევ
მოვიდიან წმინდა მიწიდან.

ეძღვნება რუდოლფ ჰენცს

* შონბრუნი — იმპერატორთა საზაფხულო რეზიდენცია, დიდებული სასახლე და პარკი ვენაში (მთარგ.).

* კალენბერგი — ალპების ერთ-ერთი მთა, რომელიც აგვირგვინებს ვენის ტყეს. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს მოტიტვლებულ მთას (მთარგ.).

მარგინალისი

ყოველცისმარე შემოქმედის ხელწერა ისევ,
კვლავცნობილი და ვერგასაგები,
დღენიადაგ განსამარტი, ამოსახსნელი
უსასრულოდ, დაუსაბამოდ.

ჩვენ თავს კიდეზე მივიწერთ, როგორც
გაოცებულებს,
კითხვებით სავსეთ,
ურჩებს,
დაღლილებს.

მზარდი სიბნელე და სიცივე
დაისადგურებს,
დრო, ანგელოსის ლამპარისთვის,
ვინც არ გვკარნახობს,
გვკითხულობს მხოლოდ.

შველა შინამორბედი ტლილან

იმედი, სასო წარკვეთილია,
პირველი სიტყვა რახანია გაცვეთილია,
სიყვარული ძაღლების სახრავ ძვლად ქცეულა,
შენ რომ უკბილოდ ექომაგები.

ვინ შეგვეწევა ვისუნთქოთ ოდნავ მომჭირნედ, რათა
ჯერაც მდუმარი ვპოვოთ შენდობა უკანასკნელი?

ლაპით

უფალო, ლოცვა მე აღარ ძალმიძს!
ქანცი გამიწყდა.
ან რა შეგკადრო, რა ვთქვა ისეთი,
შენ რომ არ უწყი უკვე ოდითგან?

მშვენიერება მშვენიერია,
საშინელება კი – საშინელი.
სინამდვილე რჩება ნამდვილად,
ამოსაცნობად თუმცა ძნელია.
სიკეთისა და ბოროტების ჩვეული წნული,
ასე იოლად გადაჯაჭვული
ხელაღებით განცალკევდება
დიდების ნიმბად და წყევლა-კრულვად,
რაიც გვიბლალავს ღვთისმოსაობას.

უფალო, ლოცვა მე აღარ ძალმიძს!
გადავიღალე ადამიანის სიღუხჭირისგან,
არსებათა ვაქისაგან.
შენი ქმნილება დიდებულია,
თუმც – სასტიკი და შეუბრალები.

მე გადიდებდი, მიყვარდი ძლიერ,
გიცავდი სხვათა თავდასხმებისგან,
პირადად ჩემგან, ბოლოს კი შენთან
მოპაექრე ბრმად შევრჩენილვარ
ადამიანურ შეზღუდულობას.

მე აღარ ძალმიძს! მომეცი ნება
ზეთისხილის ფესვებთან ძილის,
გეთსიმანის ერთი საათით.

არ მსურს ვიზილო მე ანგელოსი,
როცა შენს პირმშოს თასს მიაგებებს.

მიეცი ნება – მე დამარტყულოს,
რათა ზრდასრულმა გამოვიღიძო
სიყრმისეული უძრეობიდან,
ჯვრით დაცული მოყვასობისკენ.

შეღები შვილი

შენ არ გჭირდება ხბოს დაკვლა ჩემთვის, კათხა წვნიანსაც კი
ვიკმარებდი.
ოღონდაც გარეთ, შენს კარის ზღურბლთან, დაპურების მომეცი
ნება,
შინ ყველაფერი მეტისმეტად იცავს და ზღუდავს ჩემს
მონატრებას,
და მე ვერ შევძელ უცხოეთში მძაფრ ამ გრძნობას რომ
გავქცეოდი.
მუდამ გზისაკენ მიბიძებს რაღაც, მაბრუნებს უკან. ახლა კი აქ
ვარ.
არ მკითხო, ორგულს რა წუმპეში ჩაკარგვა ელის, თუ
ერთგულება დაეკარგება!
მკითხე ქარის და თოვლის შესახებ, მდინარეებსა და
ვარსკვლავებზე,
მოყიალე მაწანწალებზე, სარდაფებსა და უღვთოდ დასეტყვილ
მოსაგალზე,
ყურძნის მტევნებზე, ჭაჭასა და ალმოდებულ ქვებში ნაწრობ
ალალ სიტყვებზე,
ქვიშის ფარფატა ფარვანებზე; წიაღდაშრეტილ, შმორიან ჭებზე.
დაბერტყე კარგად მათხოვრული ტომსიკა ჩემი, საკსე ნაყარი
განძეულობით,
ჩიტის ფიტულიც იქნება შიგ და – მეზღვაურთა ბოთლის
გზაგნილი,
მარილიც რომ ვერაფერს აკლებს.
მე არ მჭირდება არც პასუხი, არც ჩემი წილი,
შენი ყველაზე ნაცრისფერი ხაშხაშის ველი
ძიწილადე და სამუდამოდ ამავსე ძილით.

პური და სიტყვა

დაზურდავდა უზალთუნებად,
შემოგველია მითები და უტოპიები.
ჩვენ ყოველდღიურ ნარჩენებზე
ვლოცულობთ უკვე.

სილატაკე

ჩვენ ბრალეულნი გავხდით ისევე,
კით სელაპებზე მონადირენი მარადი ყინვის სამეუფოში.

არასოდეს მოიძებნება სამოთხეში ადგილი ჩვენთვის,
სელაპებით ზიმზიმებს არე,
ანგელოსები შიშნეულად მწყემსავენ თევზებს.

წყვდიადსა და ყინულოვან არემარეში
ვეძებთ ბედნიერ, ნეტარ ალაგებს,
სადაც უცხიმო ცეცხლი გაგვათბობს.

ვსალაში

თავდაუცველი ვარსკვლავწისქვილი დედამიწა,
თხიერი მტვერი, ქვათა მტვერი,
სინათლის მტვერი.

ადამიანთა ნაფშვენ-ნაფქვავი. დაწყევლილი და
თან კურთხეული ვარსკვლავი ჩვენი,
ჰაერის თხელი, მჭვირვალი გარსით გარემოცული.

პუდე

ჩემი ჩიტები გადახვეწილან,
არ ვიცი – ახლა სადღა გალობენ.
არ გაიყინონ ოღონდაც ლამით,
უმწეონი და უნაკრტენოდ დარჩენილები,
უწინ ისეთი ჰქონდათ ქათიბი,
ჯერაც ვინახავ გაბნეულ ბუმბულს.

ქარის ბუდედ ვარ გადაქცეული.
წვიმა ცდის კვლავაც ჩემს ერთგულებას,
თუმც აძოხსნა კი არ შეუძლია.
ხანაც ფაფუკი თოვლი იბუდებს
და სულ მცირე ხნით ამივსებს წიაღს.
მარტოსულობა მესტუმრა უპვე,
არ მიმატოვებს აღარასოდეს.

პათარზისი

ვინც უნდა იყოს, ვისაც მე ვუხმობ, ისევ იგივე დარჩება მარად. მიხსენ ველური ქალისაგან, ხელმეორედაც აღდგება თუკი, ფეხდაფეხ ბალახს, ლატაკ ქოხმახებს ცეცხლის ალს მისცემს, როცა, კლდეს შეხლილს, სხეულზე კანი დაეფლითება და გულს საკუთარს ვეშაპების საკბილოდ აქცევს.

გამოპეტარების ხახას კიდევ ერთხელ, განრიდე ნახტომს, დააფარე ბაგეზე ხელი, თმებიდან ფერფლი მოაცილე, გადაუბერე, რომ წმინდა ვერცხლი გამოციაგდეს, დაუბინდე თვალი და მზერა, ვიდრე ფოსფორის ჩირალდნები, მითიური ოქროს ფონზე არ ჩაუქრება.

ათასწლოვანი ტკივილი სტანჯავს. ტკივილი ჟამით
ნასაზრდოები,
როცა და-ძმანი ერთმანეთთან გულგახსნილები, გულწრფელნი
იყვნენ
და როცა მათი ველურობა, თვინიერება, უვნებელი და
ერთსულოვანი
იყო ჯერ კიდევ დედის საშოღან.

დიდი ქალაქის ჩიტები

კარგა ზანია მენატრება სახურავებზე
კუდმაკრატელა მერცხლების სხარტი
ირაო, ზაფხულს თვალს რომ უბნელებს.

დღეები, ძუნწად ფრთაშესხმულები,
ტკბილი და მჭახე, მოქიშპე ხმების
ლიტანიებსაც უცვლიათ სახე.

ქვებს შეხიზნულა მტრედი, ბეღურა,
შაშვი და ყვავი კვამლს დაუბურავს.

უკანასკნელი ლეგენდაა შიშველი ფეხით
გადარბენა ერთ მუჭა თოვლზე.

ბელურის სიპაზილი

აიტაცებენ სამერმისოდ
ბელურებს შორის!
არავითარი ნიშნით არ სურთ,
რომ შეგვაშინონ.

და მანც ნეტავ სად ქრებიან,
როცა მათი საათი დაჰკრავს?

ვერმისაგნებო მოძმენო ჩვენნო.
მარად უკლები ზართ სათვალავში,
არ დაგაკლდებათ არასდროს ერთიც...

გალავანი

ბნელი წარსული ჩამოუვლის გაავებული:
მათხოვრის ზიზღი, დევნილები აძრახებული,
ცილისწამება მეზობლის შურით გავრცელებული,
და გაბზარული ლამპრით ხელში ამბოხებული.

გალავნის მიღმა დგას და იცდის გაოგნებული,
კისაც ეს ზღუდე ეკუთვნის მხოლოდ, შემოვლებული,
და ძმებს შეჰყურებს უცხო თვალით, ზარდაცემული,
და ვეღარ შეძლებს თავდაღწევას, შეძრწუნებული.

სოფლის ეპლენია

იქ, სადღაც ფართო მერხებზე უფლის წინაშე სხედან
მოხერხებულად. ჩოქვად დგებიან მჭიდროდ, წვალებით.
ადამიანი ხის სხეულში შეზღუდვას სწავლობს.
სულის აღზრდასაც წაადგება მცირე წვალება.

განაღა მერხი! უფრო ხშირად სინდისი გვქენჯნის.
ჩვენი უხეში წალებით დადის ცოდვა და ბრალი,
რაზეც ფიქრები უსათუოდ მალულად გვერჩის,
როცა ხელები ივანებენ ლოცვანზე კრძალვით.

ღმერთს ბურანი და გაბრუება არ სურს კაცთაგან.
ის უფალია. მსახურებას, საქმეს მოითხოვს.
თუმც, ვემართლებით უსახსრობას ჩვენსას ხანდახან,
რადგან გულუხვად, უშურველად გარჯა მოგვიზღო.

ის სწორად გვიგებს, აკი ძელზე თავადაც ევნო,
და იცნობს ჭირში ჩავარდნილის განწირულ ხმობას.
ხშირად ვართ ჩიხში. დაძლეული ამპარტავნება
აღავსებს მხოლოდ კუბოსოდენ მარადისობას.

ქრისტიანისაღმი ნათევამი

სადაც არ უნდა გაშალო მკლავი,
ქვეყნიერების წინაშე ხარ აღმართული ჯვარის სახებად.
ის შენს სიყვარულს შეეზარდა სისხლხორცეულად
და გრძნობ დიადი, ამაღლებული უესტის გარეშეც:
რომ შეკეცილი ფრთებითაც კი, ძილ-ბურანშიაც,
ფრინველი მაინც ფრინველად რჩება.

შენ ბაირალი სულ არ გჭირდება!
მოთარეშე პირქარითაა სამყარო სავსე,
აქ შენეული თმის შერხევაც საკმარისია.
უკვე მრავალი ჰქონდათ ხილვა მაცდუნებელი:
კეთილდღება, ხსნა ვისაც მოაქვს,
არავის უმხელს, მალავს მდუმარედ.

არ გაამხილო ქედმალალი შენი სახელიც,
მეტად რომ არც კი ჩაეძიები!
ადამიანთა საიდუმლო
შესასამისი არის მისია.
და თუკი რწმენას თავს არიდებენ,
შენი ქმედების დრომ მოაწია!

ხელუხლებლობის ნუ გაქვს იმედი,
მხოლოდ ეს რჩება: დასცადო თავი!
თვით უძდაბლეს კარაგშიაც კი,
ბნელ საცხოვრისში დაიდო ბინა,
მიუსაფარ მათხოვართ შორის,
უწმიდურობის გარემოცვაში.

ვინც არასოდეს არ სვამს ლოთებთან
და მეძავებთან დამეები არ უთევია,

არ დაძვრებოდა ქურდებთან ერთად,
თუ არ ჰქონია არასოდეს
ხელთ მკვლელის დანა,
ამ მიწიერ შიშს ვერას გაუგებს.

და ის რომელსაც, ღვთის დაუტევნად,
გამცემის ყალბი ამბორი და
დაეჭვების მწარე ნაღველი
არასოდეს არ უგემნია,
დღეს დაკარგულთა ძმა ვერ გახდება.
სამართლიანად არ სჯერა რადგან:
რომ ამბოხება არ თრგუნავს გულებს,
არამედ ქონი უმოქმედობის!

შენ, გზად მიმავალს, შეიძლება
სახელიც კი გადაგავიწყდეს ანდა გაგებნეს,
მას განიძარცვავ, ვით უცხო სამოსს,
რადგან სხვებისგან გამანბილებს და
ძველ გზას აგრძელებ, დედიშობილა
სხვა შიშვლებს შორის. მაგრამ ჯვარს შენში
ვერ ამოძირკვავ და გაიძულებს მყის განერიდო
სირცხვილს და აუგს, ძილსა თუ ცხადში:
რომ გაემართო ჯვარცმისათვის სასაკლაოზე
და ეს ჯალათებს თვალსაჩინოდ დაუდასტურო.

ლექსი

ჭვრეტენ ზრდას, ლტოლვას, მოლივლივეს ნათლის წიაღში. თუმც, ვინ აუღებს ალღოს მრუდე ფესვთა ტყვეობას: შემაძრწუნებლად სმენადქცეულნი, უკუნ სიბრელეს ჩაფრენილები, გარდასახვას რომ ლამობენ მისას?

მათ შიშის ზარი, ელდა სჭირდებათ, თუმც შორეული. ცოდნის ზედმეტად მოახლოება – სასიკვდილოა. იგავი გვაძცნობს გულმოწყალედ და შეფარულად.

სიტყვა და ხატი:

უმკაცრესი იმპერიის მდუმარ ბჭეთა წინ მოსანგრეობენ უსასრულოდ, როგორც მცველები; ლამის რუნული ნიშანია, იდუმალებით მოსილი ძილი, რომელიც მისი მშვენიერების უნატიფეს ქუთუთოს მიღმა ღრმა უფსკრულს მალავს.

მოხ უცებული ეპლესიის ეზოში

ჩაფიქრებული ჩამომჯდარა ანწლის ხეებქეშ
ძველი გალავნის ახლმახლო და მღვდლის ფუტკრები
მომაბეჭრებლად დასტრიალებენ თავზე ზუზუნით.

მზე კი მცხუნვარედ იჭვრიტება, ბუღრაობს სკებში,
და იქიდან კი თაფლის ბლანტი, ზანტი ნაკადი
ოქროს დუმილში სურნელოვნად ჩაედინება.

უღალი პეპლების მოელვარე კოცონი ქრება
ვიწრო გორაკის აყვავებულ ჭრელ ყვავილნარში,
ვერცხლის ქსელები ამშვენებენ ჯვარს და კარიბჭეს.

გარეთ ბალლები მღერიან და ზუზუნებს ცელი,
და საცეხველის ჩვეულ ტაქტში ზანზარებს კალო.
სიცოცხლეს სიმწრით ეთხოვება ბზე და მარცვალი.

თუმცა, ის უკვე მკვდრებთან მყუდროდ დავანებულა:
ტკბილია მკვიდრი გოლეულის იდუმალება,
მის ძილს იცავენ აშოლტილი გულსოსანები.

შუალამე

გრძნობ? როგორც იქნა, ჩაეძინათ მონადირეებს.

ყველა გულლია ცხოველი ლალად გამოეფინა.

და უცოდველად ირწევიან გვიმრიანში ისრები, მიზანს

ანასხლეტები.

სიჩუმეს მხოლოდ ნაკადულის ჩხრიალი არღვევს.

გულს უჩუმარად მომეფონე, ლამის ჩირგვნარო,

დახარე თავი, არ გააღვიძო დროზე ადრე მონადირენი.

სულ მალე მინდვრებს ალიონი გადააწითლებს!

ველობა

წედავ – დღე მიღის, გვეთხოვება,
ვარსკვლავიერი ღამეც თენდება.
ცვალებადია ყველაფერი,
რჩქა უცვლელი: გული ეული.

ვიდრე დამტოვებ,
დამიხუჭე წყნარად თვალები,
მარადიული დუშმილის ნიშნად
პირს დამაფინე ყაყაჩო და მერე დამტოვე.

შენს უკან აქრე ვარსკვლავები!
დაბრძვედეს ღამე, როცა გულიდან
ცრემლდადენილი სიცოცხლე ჩემი
ნება-ნება დაიწრიტება.

მარტოეული შუაღლე

სადღაც შორს მიწყდა სატანური კიკინი თხების,
პან, შიშისმგვრელო, გაუვალი დავძლიე ტევრი!
ალმურიან ბალახებს შორის, ჩემს ღაწვთან ახლოს
გვრძნობ: პირ-უტყვი და უქუთუთო სისინებს გველი.

ღამე

კვლავ გადაუფრენს ოქროსფერი ფუტკრების გუნდი უკიდეგანოდ გაშლილ ზღვებს და ფშვინვიერ ტყეებს, და ქალაქები ბინდისფერი გოლუელივით ელოდებიან მდუმარების თაფლს.

ყვავილგვრგვინით თავშემკული შეყვარებულნი გემით სერავენ ძირძველ დინებებს შესართავისკენ. დიდებულად ჟღერს სიღრმეები სისხლის და სულის. ცვრიან ნაპირებს მიღწეული ტკბილი ჰანგები ძილს ეძლევიან.

მთათა ბურანი, დარბაისლური, წყაროებივით კეთილხმოვნებს. ქარში კი დრტვინვა მატულობს უფრო. მაცნენი ცხენით ჯიქურ კვეთენ რვალის სიბნელეს. და გუშაგები ენარცხებიან უფსკრულის ნაპირს.

ლეგენდა

მან გაიხსენა კაცის ჭაღარა:
მიხრწნილი ხავსი და რუხი ლოდი,
ეული მგელი გათოშილ ტყეს შეფარებული.

მან გაიხსენა მამაკაცის შემკრთალი გული:
ადამიანი შედის ძველ და მორყეულ სახლში,
ისევ ბუტბუტებს დაქსაქსული წყარო ეზოში.

მან გაიხსენა უმრწემესი ლამე თავისი:
იწვა, ვით ნორნე*, ბებერი და ფხიზელი ქალი,
ძის კალთაში კი კაცს ეძინა ჩვილი ბავშვივით.

* ნორნე – ნორნები - (სკანდ.-გერმ.) – ბედისწერის ქალღმერთები ჩრდ. ევროპის
მითებში (მთარგ.).

ველობა სიკვდილისაღმი

შეჩერდი წამით, ვიდრე შემოხვალ: დასტოვე ჩემთან
ამაოების ქვიშით სავსე შენეული მინის საათი.
ყოველ დღე მესმის განუწყვეტლივ მისი შრიალი,
თუმცა, ეს ჩქამი უამურია მომაკვდავისთვის.

ცელიც დასტოვე, რადგან აქ ცელით მოსათიბი
არაფერია. ის მხოლოდ სიმწრის კირკიტა ქვაზე
აისხლიტება, ო, ეს ცხოვრება მომხდურისაგან
ამოსახდენი სულის ხრიალით თავს მძაფრად იცავს.

და ტანშიშველიც არ წახვიდე. ჩემს ძილის გაგატან
მოსასხმად, უკვე დაძენძილს, თუმც ის ნუგეში
იყო ჩემი სიღატაკისა, უკანასკნელი.
ყოველგვარი ულმობლობისას ვიქნები ფხიზლად.

სიჩუანი

რაღაც შრიალი მუდამ გესმის. თუმც, არა ქარის.
გზაპნეულ ქარს იქ, სადღაც უღან ტყეებში, სძინავს.
არც წივწივაა, მოძახილით დღეს რომ აცილებს,
უცხო, უხილავ ველთა წიაღ რომ ჩაცურდება.
მატარებელი, შავლეგა მწერი, მთის ფერდს ზუზუნით რომ
ჩაუქროლა,
გაყუჩდა უცებ გაქვავებული. შენი გული ვერ ბედავს ფეთქვას.
გაფაციცებით ელის სმენა გაუგონარ გამოცდილებას:
მონაცვლეობით გოდებენ: სივრცე, მთაგრეხილები,
ვარსკვლავთა ხომლი. უშინაგანეს საგოდებელს ხმობენ უჩუმრად,
თავდაურვებით. ქმნილებას რღვევა ემუქრება, და – ამოფრქვევა...

პოი, ნახტომი, გადახვეწა

(პასუხი კრისტინე ლავანტის ლექსზე
"შინ, მცენარეთა ბოლქვებთან")

შინ, მცენარეთა ბოლქვებთან? არა, ჩემო დაო, ვერ დავბრუნდები!
ოღონდ სანუკვარ მიწაში — არა, და არც — ბოლქვებთან.
გადამისვრიან უგუნურებთან ისინი ცოცხლად:
არგარდაცვლილებს, შერისგებამოწყურებულებს,
ჩემი სამკვიდროდ დაკარგული გული დარჩათ ახლა საჯიჯგნად.

სარეველა, მე რომ ვსაზრდოობ, არღვევს ძილს, სიზმრებს:
ღამ-ღამობით ჩამესმის ახლა უძღები ყბებით ძალუმი ცოხნა.
ქუთუთოები ამინაოჭდა, შემახმა ოვალზე, შიშველი მზერით
ვხედავ ყველა საშინელებას. გამოხრული და
დაფლეთილია ხმაც და ლექსებიც.

ჩამპალია მცნარის ბოლქვი და მცხუნვარეა დედამიწა,
ყოველივე უმწიფარის გახრწნისაგან იავარქმნილი,
რაც მას მიეცა, ის უკანვე ამოაფურთხებს და შეუზავებს
სიცოცხლეს ისევ. შინისკენ? საით? არა, სჯობს გაცლა!
ყოველი მხრიდან! თვით უკუქცევის წრებრუნვისგანაც!

პოი, ნახტომი, გადახვეწა:
რომელიმე შორი ვარსკვლავის უწმინდეს ცეცხლში!

ადამიანთა საბაზებელი

რა დაგვრჩენია? თავს ვარსკვლავები დაგვნათიან, მარად უცხონი.
ფეხქვეშ კი – მხოლოდ მიცვალებული, და – ველური ჩვილი
ბალაზი,
გულში – მღუარი ცოდვა-ბრალი, მოუსვენრად სიცოცხლით
სავსე.

პვლავმიგნების მცირე ტოარგრაფია

I

თავდაპირველად ჩვენ ღვთისმშობელის
მოახლესთან მოვბრუნდით ისევ.
ამბის მოყოლა არც კი დაგვჭირდა,
მან ყოველივე იცოდა უკვე
და იღიმოდა სათნოებით, მიმტევებლურად.
ასე უზადოდ მშვენიერი, იგი არ მახსოვს.

II

ტაძრის შუკაში უნდა დაეხსნოდით
შეყვარებულთა კოცნის აღრიცხვას,
ბინდის სილბოთი რომ იშლებოდა
წყვილთა ღაწვებსა და ბაგებზე.

III

ბლუტგასეზე* კი ბნელოდა უკვე·
იდგა თბილ-მოტკბო ნელი სურნელი
ვანილისა და სასუსნავისა.
შენ მე ჩამჭიდე წელი და მკითხე;
"აქ სახლობს ვენის ტყის ჯადოქარი,
ვინც ნამცხვრებს ასე მაცდურად აცხობს?"
მე გითხარ მხოლოდ: "გაჰკურცხლე, ჰენზელ".

IV

ჩვენ მეტისმეტად აგზნებული ვიყავით ჯერაც,
Ancora Verde*-ს რომ შევრჩენოდით.

მწოლოდღა ძველი სამჭედლოდან
დაგეშვით ქვევით ჩვენი წარსულის
მრუმე სარდაფში.

წითელი ღვინის მწველმა ალმურმა
კვლავ შეადულა განაპზარი,
ჩვენი გულების ჩაქუჩებმა კი
ახალ თანხმიერ ძგერას მიაგნო.

*ბლუტგასე – სიტყვა-სიტყვით ითარგმნება როგორც სისხლის შუქა, პოეტი ამ სიტყვას აქ ორმაგ დატვირთვას ანიჭებს (მთარგ.).

*Ancora Verde – (იტალ.) მწვანე ღუზა. იგულისხმება ვენის ერთ-ერთი რესტორანი „მწვნე ღუზა“ სადაც ლიტერატურისა და ხელოვნების ცნობილი წარმომადგენლები იყრიდნენ თავს (მთარგ.).

ლოცვანი

I

უფალს მადლობა როგორ შეკადრო,
რომ შენ არსებობ?
და შენ არსებობ –
უკვე ჩემთვისაც.

II

"თუკი ყრმებივით არ შეიქმნებით..."
აკი ვიყავით. გვებოძა ნება კვლავაც ყოფნისა.
ვართ აქამოძე ისევ და ისევ.
ჰოი, ცათა სასუფეველო!

III

ორმარცვლიანი არის ენა,
ენა ღამისა:
მეტყველებს ვარსკვლავს,
მეტყველებს მთვარეს,
გამოგთქვამს შენაც!

IV

რა უხმაუროდ ეხსნები შენ თავს
და მემატები!
მე ვხუჭავ თვალებს
და შენ გატყვევებ.
ხვაშიადად დაგიგემოვნებ.
უსიტყვო ლოცვავ გამოუთქმელის.

V

ვუმზერ შენს სახეს:
ჩრდილთა მშვენებით,
ია-იების სიფაქიზით
ცხადდება ჩემთვის
კაეშანი შენი ფარული.

VI

რა არის ჩვენთვის კიდევ მიღმა, რა არის წიაღ?
ჩვენ განა ოდენ მემბრანები არ ვართ კოსმოსის?
მთვარის თითებით შენახები, მზის ნატერფალნი.
განა სინათლის და მუსიკის არ ვართ ოსმოსნი?

VII

ჩვენი ლოცვების მცხრალი ალმური
ფერფლივით ნაზი, სუნთქვალმობილი
ბავშვურ უმანკო ძილს
შევახიზნოთ....

ცისპრის მცირედი ძღვენი

ცისპრისას დილის შემკრთალ ბინდ-ბუნდში
ჩემი ქალაქის ზეცის კაბადონს
ვაშლის სიმწვანე დაჰკრავს ხანდახან,
ისეთი მსუყე – დაგყნოსო ლამის.

ამ ლამეს თეთრად გავათენებდი,
რომ მომეწყვიტა ვაშლი დროულად
და შენს სარკმელთან დამედო უმალ,
დაე, შენთვისაც ტკბილსურნელებდეს.

ღყნარი შეგონება

დაისვენებდე.

აღარ გჭირდება შენ ბალაზის მოთიბვა ჩემთვის.

მიუცი ნება ამოზავთებულ სარეველებთან შერეულმა
იხაროს კვლავაც ჩემ მწვანე კორდზე.

სჯობს ყური უგდო, მიწის წიაღით

უკვე ფერსავსედ ამწვანებული ხმა ხომ
კვლავაც არ გესიტყვება: "ვიზრდები შენში..."

წყალი და ქვა

მცენარე, მხეცი, ადამიანი
წყურვილს წყლით იკლავს,
ქვა კი წყალს ითმენს
და წლიდან წლამდე
ცვლება, იღევა.

მე შენ
კენჭს გიძლვნი
გულს მისარქმელად.

ამპარტავნების გარეშე

დაე, ვილოცოთ ყველასათვის,
ვინც უგუნურად იქცევა თავად:

ვინც ცრუპენტელობს, სიყვარული არ ძალუძს რადგან,
ვინც შემცდარია, გულმოწყალება სჩვევია რადგან,
ვინც სიკილს ირჩევს, ცრემლებს სისუსტედ მიიჩნევს რადგან,
ვინც სამსჯავროს წინ, კორექტულ, მარჯვედ
მორგებულ ჰალსტუხს მოიაზრებს
შემარბილებელ გარემოებად.

ვინც აწ ცხოვრებას აღარად აგდებს, გამწარებული,
რადგან მათ არ სურთ დაიხარჯონ ცხოვრებისათვის,
ვინც უვედრებელ პურს ჭამს, შიმშილობს,
რადგან ვერასდროს ვერ აითვისეს,
მთლიანი პურის გემო, ჭაშნიკი,
მცირე ნამცეცშიც რომ შეიმუცნონ.

დაე, ვილოცოთ ყველასათვის,
ვინც მხოლოდ სხვისთვის ლოცულობს დღემდე,
მათ მორჩილება აკლიათ, რათა
ჰქონდეთ თავისთვის წყალობის და მადლის იმედი.

შემობრუნება

სულის წიაღ დაიუნჯებდე.

დანებებულად მისცემდე ნებას ძირს დაცემისა
და მარტოოდენ გაიოცებდე.

ჩაიძინებდე

მოქცევასა და მკვრივ კლდოვანს შორის –
ზღვა ახლდეს მხოლოდ შენს ყურთასმენას.

ნუთუ ეს მხოლოდ დაღლილობაა

და ქანცგაწყვეტა

თუ უპვე

დიდი ნდობაა სრული?

გახსენ სარპელი შეხეული!

მე აკი მტრედი გამოგიგზავნე.
გუშინ წავაწყდი უეცრად პარკში.
ღიაყავისფერ მის ფაქიზ ბუმბულს
ყელსაბამივით ამკობს ფაფუკი თალზი არშია.

ის მტაცებელი არ გეგონოს სხვა მტრედებივით.
მიეცი ნება უმალ მხრებზე შემოგაფრინდეს.
მას მხოლოდ შენი ღაწვის ახლოს
სურს შეყოვნება, სურს რომ გიცქერდეს,
გარინდებით, მოუხმობლად, მონუსხულივით.

პოსმიური საათის დროით

ჩვენ ჩვენივე სიყვარულისთვის
ვარსკვლავიერი წამნახევრის
მემილიარდე ჯერადიც კი არ დაგვრჩენია.
ჩვენ დაეჭვების დროც აღარ გვივის.

არა მხოლოდ ჩემთვის ნათქვამი

თუ გიყვარს ჩიტი და ზეთა რიგი,
გესმოდეს ნათლად და გაიაზრე,
რომ შენ იმათთვის არაფერს ნიშნავ.
მათ შენ სრულიად არად სჭირდები,
შენ კი ისინი გჭირდება მარად.

მხოლოდ და მხოლოდ ადამიანს ხელეწიფება,
რომ შენს სიყვარულს გასცეს პასუხი.
თუმც, უმნიშვნელოდ არ მიიჩნიო,
თუ ძალუძს მხოლოდ სიყვარულის შორით დათმენა
და გრძნობის განშლას ემსახურება.
ყოველნაირი სიყვარული, შენ რასაც გასციტ, ან იღებ სხვისგან,
სრულ მიტევებას საჭიროებს,
რადგან შენ სხვათა მოვალედ რჩები.

ერთხელაც ალბათ
უფლის ვეება გულგრილობას
უსასრულო თმენად მიითვლი
და მიენდობი.

მე არ მეგულვის სხვა ნუგეში და სასოება.

განუზომელი სიღატაპის შესახებ

ადამიანი, თავდავიწყებით გვიყვარს რომელიც,
უცხოა ხშირად, ახლობელი არ არის ჩვენი.
მაგრამ ჩვენ კიდევ გაგვაჩნია ის ახლობელიც,
ვისაც ამჟამად ვესაკლისებით და შევიძლებდით
რომ უაღრესი ახლობლობა გავწიოთ მისოვის,
თუ სასიკეთოდ თავს თავადვე არ შევიკავებთ.
უღარიბესად რჩება, რომელიც
ემახლობლება თავის თავს მხოლოდ,
უმდიდრესად კი – ვინც ქედს კვლავ უხრის
თვით შორებელის ყოველ მოთხოვნას.

იგი

ღვთიური სიღატაკის მონაწილეა.

რეტროსაექტული მაიგრაცი

არსებობს, არის ხელოვნების თავისუფლება
ყველანაირი დიქტატურის მიღმიერ მხარეს.
და ადამიანს გააჩნია თავისუფლება,
მხოლოდ თავისი აირჩიოს მან ხელოვნება,
თუმც – ხელოვნების დიქტატურის მიღმიერ მხარეს.

აბელი ესარჩლება კაენს

მას კვამლის სვეტმა გზა აუბნია.
ნუ სდევნით! თავად გადიხვეწება.
ვერ მიხვდა იგი, რომ მე არ მსურდა
მეტოქეობა, ძმობა მეწადა.

გიჯობთ უშველოთ, ვიდრე უფალი
თვით განუმარტავს, რად გაიმეტა
გასახრწნელად მან მისი მსხვერპლი.

მოიღეთ მადლი! მომეცით ნება
თქვენში განვაგრძო მე არსებობა
მის სასარგებლოდ. გააგებინეთ,
რომ საკუთარი ბოროტება ჩაკლა მან ჩემში.

მე უვნებელი ველოდები მას უკვე სრულქმნილს
უკგამლო მხარეს.

გაშლილ მკლავებით

ურწმუნონიც კი იმეორებენ
მეგობრობისა და სიყვარულის
გამოხატვის უამს
ჯვარცმულის გაშლილ
მიმსჭვალულ მკლავებს,
რომელიც რჩება განუხრელად,
როგორც სიმბოლო აღთქმული ჰსნისა.

ძაისი, 86

ერთი შესვების ფინარეგანცდა

ჩემს წაბლის ხეზე კვირტები უკვე
ფერსავსედ ბზინავს.
სულ მაღვ, ალბათ, დასკდება კიდევ.

მე ორიოდე კვირით დავასწარ.
ჩემში ანთია, ელვარებს უკვე
სანთელი ყველა.

ეგრეთოდებული ჭკუა-გონების ფინანსდება

ადამიანის ინტელექტის უწმინდესი პირველსახეა
სიკეთის ცნება.

და ამ სიკეთეს საკუთარი სრულყოფისათვის
წრეგადასული ქმედება და ქიშპი სჭირდება
ეგრეთოდებულ ჭკვა-გონებასთან შესარკინებლად.

თოვლში სათუთად ჩაღვენილი,

შაშვის წყვეტილი ნაკვალევი
აფრენასა და დაფრენას შორის.

რაოდენია ჩიტის ერთი ციდა სიცოცხლე!
საპირწონეა ჩიტისნისკარტა სიკვდილისა,
ხანდახან თუნდაც გალობისა.

ღასაპითხეთა ნუსხა

ამოიკითხე ქვა, იდუმალი
ფრაგმენტი ტყავის, ფურცელი ერთი,
ადამიანის სახის ნაკვთების დამწერლობა, ბრმათა სადაგი;
შენი სიტყვაც და შენი ცხოვრებაც
გარდაიქმნება.

მოგლული ასაიტი

ასო მსახურალი
მხერვალე ქვაზე.

პირმშენიერი გორგონა,
ფრთხილად ბორკილახსნილი.
ჟოლოს სურნელი ახლავს თითქოს
ჩრდილს და სინათლეს.

პოცნა

კვალი აღარ ჩანს ღაწვზე, ბაგეზე,
გულში კი ფერფლი
საშობაო თოვლიგით ელავს.

ინფორმაცია სტუმრებისათვის

არ არსებობს არც განრიგი, არც გასაღები.

მარტობისგან აგებულია თავშესაფარი.

იქნება შეგძლო და შეგეხიდო,

იქნებ თრიოდ სიტყვა მაინც აღმოვაცენო.

არ წაბორძიკდე, არ წამოჰკრა ქვებს ბალში ფეხი,

თითოეული, ვინც წინ მიდის, სხვას უკან ტოვებს.

მე ვცდილობ ფრთხილად ყვავილები დავრგო მათ შორის.

განა "ნახვამდის", "კეთილი იყოს მობრძანება" –

გვამცნობს წარწერა ლია კარებზე.

ერთგულება

ვინც გამომდევნა,
ისევ მომიკრებს,
იხვეჭს ჩემს ენას,
იხვეჭს ჩემს სმენას, სახეს ჩემეულს.

მე კი მისი ვარსკვლავებისთვის
ვრჩები ლამისგან აკინძულ ბუდედ.

პახილი

ვისი ძანილი ერთვის ყოვლადვე ღალადისს ჩვენსას
ადამიანის მოხმობისათვის?
ჩვენი ხმაც ისმის ღვთის სახმობლად
და – უფლის ხმობა თვით ჩვენს წიაღში მის მისაგნებლად.

პარტიტურები შეუსძენელი,
ყურად ღებას რომ მოითხოვს ჯერაც.

ლოცვის შესახებ

ჩვენ განა უფლის მავედრებელნი
არა ვართ მხოლოდ?

ლოცვა — ეს არის
მწირადქმნა **შენში**,
როგორც **შენ** იქცე **შენშივე** მწირად.

საყოველთაოდ,
კიდობანის გარეშეც, ყველგან.

ბრძან, აქამომდე მოღვაულ ხალხებს

მხოლოდ ბინბური ჩვრებით გაკრული
საკუთარი ბავშვები, ხშირად,
საშოგარზეც კი მიჰყავთ ადრიან.

შემდეგ ისინი, ვიდრე ენას
ამოიდგამენ,
დედა ენასაც
დედის რძესთან ერთად იწოვენ
სისხლხორცულად.

მხოლოდ მიჯნურებს,
და უაღრესად გულმავიწყ ხალხებს
პვლავ გაეგებათ ეს უკვე უცხოდ
ქცეული ენა და საუბრობენ
ერთმანეთთან ქვეშეცნეულად
და უსიტყვოდ,
სამებისეულ მეტყველებას ზიარებულნი.

რა იყო, ნეტავ?

უჩინარად და უჩუმარად
მძინარე უცებ რამ გამაოგნა?

თითქოსდა თოვლის შეხება ვიგრძენ

- გაღვიძებისას, უკვე ცრემლების
სინოტივედ რომ დამდნარიყო.

თუმც, სევდის განცდა არ შემრჩენია.
არნაირი მოგონება, არც რამ სურვილი.

დაწვებზე ჯერაც - ეს აუხსნელი
გრძნობა ჩუმი მაღლიერების.

ჩემს მაითხმებს

არ ვიცი, მე ვის შევეხიზნები:
ერთ ადამიანს თუ მამა უფალს.
გზას მივდევ ისევ. და სადაც მუხლი
მომექვეთება ქანცგაწყვეტისგან, დასასვენებლად,
ან საბოლოო განსასვენებლად, ჩავიკეცები
და მოვკვდები, ვით თვითმშილველი
უამრავი შეხვედრებისა.

ჩემი მხლებლები
ზეცის ყოველი მიმართულებით
წყალზე, მიწაზე, პაერში, ცაში –
გზაში არიან.
წყვდიადსაც ჰქვეთენ.

სადაც მე ვცხოვრობ

ხუროთმოძღვარი წომ უნდა იყოს,
მიწისძვრის მედეგ სახლებს ვინც აგებს.
ვერ მოვიძიე ვერავინ ჩემთვის.

მე მომთაბარის კარავში ვცხოვრობ.
თუ შენ საფრთხეში გეგულვის თავი
და სივიწროვით შეჭირვებულ ხარ,
გეპატიუები ღამისთევით, მესტუმრე, გელი.
სტუმართმოყვარედ გავ ხდის უდაბნო
და სულერთია - პოლარულ ყინვის
თუ ქვიშნარის ხარ ბინადარი.

სიყვარულის დუმილი რომ

არ არსებობდეს,
ჩვენ ერთმანეთთან დაკრჩებოდით
მარად უთქმელნი.

დანართი

ქრისტინე ლავანტი

სიმუშილე სულის სამავიდროს პარია

საით მივღიგართ?

მუდამ შინისკენ.

ნოვალისი

ჩვენი არსების ყოველ ზეასვლას – სულ ერთია, როგორ ვაღწევთ
მას: ჩვენში შემოსულ მადლს მივიღებთ თუ შეგნებულად გადავლახვთ
ორ პოლუსს (სიჩლუნგესა და სიფხიზლეს) შორის არსებულ ზღვარს
– ჩვენს ყოველ ზეასვლას ჩარაზულ კარად წინ აღუდგება სამკვიდრო
სიმშვიდისა. როგორ შევაძლიოთ მასში? იქნებ ძველი დროის ადამიანებს
მათი ანგელოზები საჭირო დროს აკითხავდნენ და ზოგს მსუბუქად
ეხებოდნენ, ზოგს მკლავში ხელს ავლებდნენ, ზოგს კი სულაც ქეჩოთი
აიყვანდნენ და იმ ადგილას გადასვამდნენ, საიდანაც უკვე ჩვეულებრივი
ნაბიჯით შეიძლებოდა იქამდე მიღწევა, – ეს იმისდამიხედვით, თუ სმე-
ნის როგორი უნარით იყო დაჯილდოვგბული თათოუელი ამ ადამიანთაგანი.
ჩვენ ხომ შუალედური არსებანი ვართ, განუზომლობის უფსკრულში
დანთქმულნი, – არც უშუალოების ძალა შეგვწევს და არც სიბრძნისა.
სიმშვიდე იოლად როდი გვხვდება წილად. გაბედულთათვის ის თან
ყველგანაა, თან – არსად. იგი ჩვენ არ განგვერიდა, არა – ის ხომ ყოვ-
ელგვარი ასრულების დედა-სამშობლოა. ზოგჯერ ის სამოთხის თვალებით
შემოგვყრებს. ჩვენ მისი უძლები შვილები ვართ, სინამდვილე გვეცლება
ხელიდან. ცოტა ისეთი დღეები, როცა ეს ვიცით. მერე კვლავაც მოგ-
ვებალება შემობრუნების საშინელი სწრაფვა. შინ დავბრუნდეთ! შინ! –
მაგრამ გრძნობები არ გვეხმარებიან ამ გზაზე. ყურთასმენა, თვალის
სინათლე, ყნოსვა – ყველაფერი წინ გველობება, ხარბად გადაგვიდგება

Christine Lavant. Die Stille als Eingang des Geistigen. წიგნში: Christine Lavant. Kunst wie meine ist nur verstümmeltes Leben. Nachgelassene und verstreut veröffentlichte Gedichte - Prosa - Briefe. Ausgewählt und herausgegeben von Armin Wigotschnig und Johann Strutz. Salzburg: Otto Müller 1978. S. 217-220

ხოლმე წინ და სამყაროს ჩაგვტყორცნის გონებაში, ანუ ჩვენს მარად მწყურვალ, მარად გაუმაძღარ არსში.

იქ, სადაც მიწა ვართ და წყალი, სადაც მშვიდობის ნაყოფი უნდა მწიფდეს, სადაც შინ დაბრუნების ვარსკვლავები უნდა აირეკლოს გუნდგუნდად, — სწორედ იქ შემოგვეჭრება ხოლმე სამყარო. ეს იმიტომ როდი ხდება, გრძნობები რომ გვაქვს, არამედ იმიტომ, რომ გრძნობათა ფესვებში შიში ბორგავს, აქეთ-იქით მიმართული ორი ხახა დაუბრჩნა და შემოგვბრავის: წყურვილით ვკვდები! წყალში ვიხრჩობი! — ვინც ერთხელ ჩასწევდება იმას, რომ სასოწარკვეთილება მუდამ სიხარისა და შიშისაგნ მოღის, ის შეძლებს იმაში ღრმად ჩახედვის, რაც დაკარგული გვაქვს. ასეთი ადამიანი, თუკი გრძნობებს დაიოკებს და შეძლებს, გრძნობათა კუთვნილ ადგილას გული დააყენოს, — ო, ის თავისი გულით ძლიერ შორს წავა: მთელ ქვეყანას შემოივლის, თუ მოისურვა. ეს ადამიანი მოცემვავსავით ჩაებმევა მბრუნავ არსთა — მზის, მთვარის, ვარსკვლავთა — ფერხულში, თავადაც კოსმოსის ნაწილაკად იქცევა, თითქოს ვიღაცამ უბრალოდ, ლაღად ჩატყორცნაო საერთო წესრიგში. მისთვის კი, ვინც მცდარ საზომთა უდანობში დაეხეტება გულგაქვაგებული, აი, მისთვის ეს წესრიგი მიუწვდომელია. ასეთი ადამიანი გვალვისა და წარლვის ზმანებებით ისჯება. მას სიმამაცე უმტყუნებს, მეტიც: იგი თავადაც აცლის სიმამაცეს იმ ძალებს, რომლებიც ყოველივეს გაწონასწორებას ცდილობებს. შინაგამა წონასწორობამ კი კარგად უწყის, თუ როგორ იცხოვროს შიშთან ერთ ჭერქვეშ ისე, რომ გარეთ არ გამოუშვას შიშის მოძრაობები და გამომტყველებები. ცხადია, სიმშვიდის მისეული წრე სრულდებით შეუძლწევადია: ეს ჩარაზული სიმაგრეა.

ამ ყოველივეს ემატება ნაღველიც — ეს ჩვენი სულის სიმხდალეა. ნაღველი ჩვენს სულში ჩბრუდებული დაკინინებული მაცხოვარია. ნაღველის მატებას ცდუნების დაღი ადგეს. მასში შეიძლება დაივანო, როგორც სახლში; მასში შეიძლება ჭამო, იოცნებო და იძინო. მასში აღწევს განსაცდელი, სიბრძნის მოლურჯო მოსასხმში შებურული. ტანჯვა იკავებს აქ თავის კუთვნილ ადგილს, როგორც სალხინო სუფრაზე: მოდი, მე ვარ შენი ნატვრის ასრულება! — ვინც ამ ხმას შეეწინააღმდეგება, დიდ რისკზე მიდის: ის თავის სულს გადაუშლის ყოველგვარ საფრთხეს. მისი გრძნობები შეიძლება დაფრთხენ და ისე შორს გაიფანტონ, რომ შინ ვეღარასოდეს მოაგნონ. სულის ბზარში შემოიჭრება ცეცხლი ან წყალი: ახალი შიში გაიდგამს ფესვს. — მაგრამ შესაძლებელია სულ სხვა რამეც: უეცრად, წინააღმდეგობით ატაცებულმა, შენს მღვიმეში

გაშინაურებულმა, შეიძლება სულ სხვაგვარად ამოისუნთქო, რაღაც უცხო სიხარულის სურნელი და მარადიული სიცოცხლის გემო შეივრმნო. და შენი ხელი სრულიად უნებლიერ წამოიწევა, რათა ჯერაც გაბრუებულ-დაბუჟებულ შუბლსა და ბაგეზე მორჩილებისა და მაღლიერების ნიშანი გამოსახოს. მან, ვინც ამგვარად გადაურჩება ჯოჯოზეთს, ერთხელ და სამუდამოდ იცის, რომ მსხვერპლშეწირვა ჯერაც ძალაში რჩება ამ ცისქვეშეთში; რომ ყოველწუთს ისმის მოხმობა, ყოველწუთს ირჩევენ ღირსეულს, ირჩევნ და გარდასახავენ ტყვიას ოქროდ, თიხას – სულთქმად. და ეს ყოველივე – განრიდებულად, ყოველი ყოფილის დედა-სამშობლოში, სიმშვიდეში.

თვინიერებაც იქ პოულობს თავის სავანეს. თვინიერთ არაფერი სცხიათ სრულყოფილებისა, სისავსისა, სხივოსნობისა. მათი სიმშვიდეც, კაცმა რომ თქვას, სასორობაა, მზადყოფნაა და სხვა არაფერი. ისინი ზის ქვეშ სხედან ფეხმიმე ქალებივით. უშფოთველად, აუჩქარებლად აგზავნიან თავიანთ გრძნობებს ხმაურისა და დუმილის, ღამისა და დღის გადაღმა; ასევე ძალადაუტანებლად, მახარობლებად უბრუნდებიან მათივე გრძნობები, რომელთაც მოლოდინის ტვირთი არ ამძიმებთ. გაოცებს ეს? – სიმშვიდე ისეთი საუნჯეა, შემთხვევით რომ ვერ გადააწყდები, – ვერც შინ და ვერც გარეთ. იგი უნდა მოიპოვო. მიუღწეველი არავისთვის არის. ყველაზე შფოთიან, ყველაზე ჩლუნგ სულსაც კი დროდადრო ეწვევა წუთი მკაცრი შეწყალებისა და ელვისებრი ჭექთ გაუნათებს განსაცდელისა და მოვალეობის წვდომას. მაშინ სწორ არჩევანს უწინდებურზე ოდნავ უფრო უახლოვდება. ზოგი ჩვენგანი თვინიერებას მოუხმობს, ზოგიც გამბედაობას, გაფაციცებული მზადყოფნის მდგომარეობის მისაღწევად. ასე გადაიდგმება პირველი ნაბიჯი სიმშვიდისქენ. მთელი ძალ-ღონე თუ მოვიკრიბეთ, უდრევი სიმტკიცით დავჯილდოვდებით. ასეთნაირად შეწადებულთ, გზაზე არაერთხელ გაეწვეათ შემწეობა, არაერთი მინიშნება დაუხვდებათ. და აი, ასეთი ადამიანი თანდათან სულ უფრო რწმუნდება, ეს გზა ვიღაცას უკვე გამოუვლია, თანაც ძილ-ბურნში კი არა – ცხადშიო! გრძნობს, რომ ამ გზაზე უკვე არაერთი მორკინალი განკურნებულა სულის იმ სენისგან, რომელსაც გაფანტულობა ჰქვია; რომ წინამორბედნი უსასრულო ძალით შეიმოსნენ, – მეტიც: – პირთამდე აივსნენ და უხვად გადასცეს ეს ძალა მათ, ვინც კვალში მიჰყებათ. გულდასმით მაძიებელი ყველა ხელოვნებაში ამოიკითხავს სასიხარულო ცნობას, ამბავს, ფერებითა და ხაზებით, წმინდანთა ფიგურების მოხაზულობით ანდა მათი თითების მდგომარეობით გულდაგულ მონათხრობს; ან, სულაც, ფა-

რდაგების ფერთა გრადაციით გვესაუბრება: ხმადაბლა, მშვიდად მიგვი-თიოებს, რას ვუსმინოთ და რას ვუმზიროთ. ხელოვნების გარდა ამასვე გვიჩვენებს ხშირად პირველქმნილი უბრალოება, ხელოსნის აუჩქარებელ ძოძრაობებთან შერწყმული, იგივე ცნობა ჩაგვესმის რომელიმე გლეხურ კარმიდამოზე ძველი, ღირსებით მოცული საბძლის, ანდა უბრალო ხელ-საწყოთა მრავლისმთქმელი სისადავის დანახვისას. ეს საგნები საკუთარ თავს უწილადებენ მას, ვინც მოწიწებით მოქაყრობათ. ისინი რაღაც მფარველ ჰარმონიასთან არიან წილნაცარნი. მავანზე ამგვარი გავლენის მოხდენა მხოლოდ მუსიკას თუ ძალუშს. ხოლო მას, ვინც მუსიკის ბობოქრ ვნებებს ვერ აჰყა, ვისი ყურიც დახშულია დოდებული სიმ-ფონიებისთვის, მას ალბათ მაინც რჩება მავრიტანული სტვირის უცნაურად ზეაღმავალი და დაღმაგალი ჰანგები. ვინ იცის? იქნებ, ასეთ ადამიანს ბევრი რამ შეასწავლოს მონოტონურმა შელოცვამ, თუ მოწიწებით არა, მოთმინებით მაინც რომ აღავსებს მსმენელს.

ყველაზე უიღბლო ის გახლავთ, ვინც საკუთარი ნატვრებისა და სწრაფვების ჭკუაზე დადის. სულ ერთია, შესაძლებელია თუ არა მათი ასრულება, ყოველი მათგანი მიზანს გვაშორებს და სამყაროზე მცდარ მთაბეჭდილებას გვიქმნის. ყველა სწრაფვაზე უარის თქმით კი გზას ვითავისუფლებთ. საგზაო ნიშნებად სიყვარული და მოწყვალება მოგვე-კლინება. მათზე საიმედო ქეცენად არაფერია. ამ ნიშნებით უსინათლონიც კი გაიკვლევენ გზას, რამეთუ გეზი, რომელსაც გვაძლევენ, ჩვენს ხილულ წვდომას აღემატება: მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი! – ვინც დაჟინებით, მთელი არსებით აღავლენს ვედრებას პირველისათვის და ასრულებს მეორეს, იმას სიმშვიდე თავად გადაეფარება გუმბათად. ჩვე-ნი ურყევი სავანე და, ამავე დროს, ზღურბლიც, გადასავლელიც, იგი არც ვინმეს უკუაგდებს და არც ატყვევებს. მასში დაყოვნებას ავყავართ ერთი სინამდვილიდან მეორეში, ყოველი საფეხური სულ უფრო მაღალია, სულ უფრო მეტადაა გაცისკროვნებული სულის სამკვიდროს ნათლით. იქდა იწყება ჭეშმარიტი სიცოცხლე.

ბავშვობის ფერები

ჩემი ბავშვობის ოთახს რუხი ფერის კედლები ჰქონდა. ვინ იცის, იქნებ ამ ფერმა, ჩემი ცხოვრების ამდენ წელიწადს რომ ეფარა, გადამ-წყვეტად და სამუდამოდ შემიცვალა ხასიათი და მსოფლმხდეველობა, როგორც კარგი, ისე ცუდი თვალსაზრისითაც. ვიდრე ახალი იყო, აღ-ბათ დია ნაცრისფერი უნდა ყოფილიყო, — მშვიდი წვიმიანი დღეების ნათელივით მსუბუქი და ნაზი. მაგრამ იმ დროისთვის, როცა წარუმლევლად ჩამეტეჭდა მახსოვობაში, უკვე ჩამუქებულიყო, და თანდათანობით, წლიდან წლამდე, გამიმხილა შიშით დაფარული სიმძმილის საიდუმლო, რომელშიც ვიზრდებოდი და რომელმაც მწარე და ნაადრევე სიბრძნე შემძინა.

ვერაფრით ვიხსენებ, იმანად სადმე სხვა ადამიანების ოთახებში ასეთივე რუხი ფერი შემეჩნიოს, ამიტომაც ის ყველაზე ადრინდელ სა-კუთრებად მექცა, სხვა ბავშვების ფერადოვან ცხოვებას რომ მარიდებდა, განსაკუთრებულობასა და დამოუკიდებლობას მანიჭებდა, საკუთარ თავთან მარტო მტოვებდა. დედაჩემი დილაადრიან სამუშაოზე მიღილდა და მხოლოდ გვიან საღამოს ბრუნდებოდა. თანატოლებთან თამაშს მიკრ-ძალავდა; ალბათ, არა მხოლოდ იმის შიშით, რომ მის მეთვალყურეობას მოკლებული, ცუდ წრეში გავებმეოდი, არამედ იმიტომ, რომ ნებისმიერ დამეგობრებას ორივე მხრიდან სტუმრობა უნდა მოჰყოლოდა, მისი თა-ვმოყვარეობა კი ჩვენი უკადურესი სიდუხჭირის სხვისთვის გამხელას ვერ აიტანდა.

იყო დრო, როცა დედაჩემს შეეძლო, სამსახურის მძიმე წლების დანაზვი ერთბაშად მიეხარჯა უცარ გაჭირვებაში ჩავალნილი ახლობ-ლისთვის, თუმცა მის ამ სიკეთეს ყოველთვის მხოლოდ უმაღურობით პასუხობდნენ; საკუთარმა სიღარიბემ სხვის მიმართ შემწენარებლობა ასწავლა. მაგრამ სხვებივით რომ ვერა და ვერ მოიწყო წესიერი ბინა და, თუმცა წელებზე ფეხებს იდგამდა, ძლივებლიობით გაგვქონდა თავი,

ეს მძიმე მარცხად და სირცხვილად ჩათვალა, გამწარდა და საკუთარ თავში ჩაიკეტა. მთელ თავის მწირ თავისუფალ დროს დაუღალავ შრომას ანდომებდა: კემსავდა, კერავდა, რეცხავდა და ხეხავდა. ყველა პატიოსანი საშუალებით ებრძოდა გაჭირვებას; იმასაც კი აკეთებდა, რაც მის ძალებს აღემატებოდა, რათა ჩვენი ბინის ზღურბლამდე მაინც შეგვნარჩუნებინა წესიერი საშუალო მოქალაქის იერი, — ვიდრე უმუშევრობისა და ავადმყოფობის საზარელმა წლებმა მთელი ჯაფა წყალში არ ჩაუყარა. ამ ზღურბლს იქით კი ძალზე უხალისოდ თუ უშვებდა ვინმეს. როდესაც მსურს, იმ წლებიდან მისი სახე გამოვიხმო, კვლავაც და კვლავაც ერთ შობისწინა ღამეს ვაწყდები, როცა რაღაც მჭახე, სისინა ხმა ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიჭრა ჩემს ბავშვურ ძილში, ვიდრე ჩემს ცნობიერებას არ ჩააფრინდა და საწოლში ყვირილით არ წამომახტუნა. არ დამსიზმრებია: საზარელი მსეცი მართლაც აქ, ოთახში იყო და იატაკზე შხიოდა ჩვარგადაფარებული ნაკთის ღამფის იღუმალ სინათლეში. დედაჩემის საწოლი ცარიელი და ხელუხლებელი იყო, მაგრამ ჩემი ლოგინის ქვეშიდან უეცრად მისმა სახემ ამოყვინთა, მოჩვენებასავით ფერმერთალმა. მუხლებზე იდგა მარცხენა ხელზე დაყრდნობილი და მარჯვენა ხელით საბანი რომ მხრებზე მომაფარა, თუთქისა და ციგი სისველის სუნი მეცა. „დაიძინე“, — მითხრა, — „არაფერია. იატაკის გახეხვა უნდა მოვასწრო, ხვალ ხომ ქრისტეშმობაა“. ეტყობოდა, ამ სიტყვებით ჩემი ნუგეშისცემა უნდოდა, მაგრამ მისი ქოშინი დღესაც ჩამესმის, მისი ბაგე დაბრუცილი მეჩვენა, მზერაში კი მაღლულ ბორბასავით იკითხებოდა გადაღლილობა.

ამ ყოველივეს მტკიცნეულ საზრისს შხოლოდ მერე და მერელა ჩავწედი, მაგრამ ამ სურათის ყოველი ნაკვთი ჩემს სულს დაღად დაებეჭდა. და შეძღვომში არაერთხელ დამისვამს ჩემი თავისითვის ეს შეკითხვა: განა იმ ღამით დედაჩემის მუხლმოყრილი დგომა ღვთის წინაშე განუზომლად მეტს არ იწონის, ვიდრე ღვთისმოსავ მლოცველთა გალობანი შობის კვირაძალს? ამ დიდი დღესასწაულისითვის ზოგიერთი ოთახის მომზადება უფრო ჭირს, ვიდრე ზოგიერთი გულისა. ჩვენს კედლებს, რა საკვირველია, თვით დაჩოქილმა დედაჩემაც კი ვერაფერი უშველა: რუხი ფერი ისევ ისე უმოწყალოდ დარჩა, მხოლოდ კიდევ უფრო გარუხებულიყო.

თექვსმეტი წლისა რომ ვიყავი, ერთი უმუშევარი ბიძაშვილი, ორი დღის სარჩოსა და მასალის ხარჯის ანაზღაურების ფასად, კედლების დასუფთავებასა და ახალ, ყოვლად ფანტასტიკურფრად შეღებვაზე დაგვთანხმდა. სხვადასხვა საღებავის მწირი ნარჩენები ერთმანებში აურია

და ორი უცნაური ფერი შექმნა: ერთი – არც მთლად ვარდისფერი, მეორე – არა-ყავისფერი. გამოვიდა, რომ ის გრძელი რუხი წვიმიანი წელიწადები ერთ დაღვრებილ უსასრულო შემოდგომაში გავცვალეთ, ფოთოლცვენას რომ არ იცნობდა და ყოველ ახალ მთვარეს აუანგებდა და ასამარებდა.

და მაინც, იმ წარუშლელ შთაბეჭდლებასთან შედარებით, სხვა ფერმა რომ დატოვა ჩემში, ეს შემოდგომა შხოლოდ ეპიზოდად თუ ჩაითვლება. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი ოთახი უცვლელი რუხი კედლების ფონზე ხასხას მწვანესაც შეიცავდა, დრო და დრო ძალზე იდუმალად რომ ქრებიდა სადღაც და ისევ ბრუნდებოდა. ამ ცვალებადობით, როგორც წელიწადის დროთა ცვლით, მალევე შემეძლო უშეცდომოდ ამომეცნო ჩვენი გაჭირვების მეტ-ნაკლებობის მერყევი რიტმი.

ეს მწვანე მიყვარდა; იგი მშვიდი კუნძულივით იყო ჩვენს ოთახში, სადაც ავეჯი, სხვადასხვა მექელამანის ღუქნებიდან შეგროვებულ-შეკოწიწებული, თანხმობაში ვერასდროს მოდიოდა და საწოლებს, – რომელთაგან ერთი უხეში რეკინისა იყო, მეორე კი ხისა, ბაროკოს სტილში მოჩუქურომებული, – რაღაც საზეიმით ერთსულოვნების ელფერს აძლევდა. ეს გადასაფარებლები დედაჩემის ერთადერთი სიამაყე გახლდათ. ყოველკვირა გულდასმით წმენდდა ჯაგრისით, ყოველდღე სათუთად ასწორებდა, – ისინი სვეტეთილი მყუდროების ერთადერთ ხორცშესხმად ეგულებოდა. როცა გადასაფარებლები ქრებოდა, დედის სიმკაცრე კიდევ უფრო ულმობლად მეჩვენებოდა, შიშველი საწოლები კი მხოლოდ მაშინ იძლეოდა ნუეშს, როდესაც მათში შეძერებიდი და ჩაეხვეოდი. სხვა ცველაუერზე უფრო ხშირად ეს გადასაფარებლები მიდიოდა ქიმწმენდაში და გულში ვმალავდი გაოცებას, რატომ ისვრებოდა ისინი ჩვენი მაგიდის თეორ გადასაფარებელზე უფრო სწრაფად, ვიდრე ერთხელაც ჭურჭლის კარადაში წითელი ბარათი არ აღმოვაჩინე, რომელზედაც ძლივძლიობით გავშიფრე გაუგებარი სიტყვა: „ლომბარდი“. ჩიხში მომწვდეული დედის ახსნა-განმარტების შემდეგ თანდათან დაგიწყე იმის შემჩნევა, რომ სხვა ნივთებიც, – პალტოები, ფეხსაცმელი, თეორეული და ერთადერთი ბეჭედი, დედის თითზე ერთხელაც რომ არ მინახაეს, დროდადრო უჩინარდებოდა და უკან ძალზე იშვიათად თუ ბრუნდებოდა.

ჩემი ბაჟშეური შეფასებით, ეს გადასაფარებლები მაინც ყველაზე ძვირფასი იყო, მათ ყველაუერ სხვაზე უფრო მტკიცნეულად ვისაკლისებდი, რადგან მათ ზოგჯერ ზაფხულობით დედის ზურგსუკან ერთი უცნაური თამაშისთვის ვიყენებდი, რომელიც, ვიცოდი, მათი ასე ნაფერები სისუფთავის

შერყვნის დიდ ცოდვაში მეოთვლებოდა. ეს ცოდვა მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ ვაღიარე, როცა ისინი, დედის ყველაზე წარმოსადეგ ტან-საცმელთან, – ყავისფერ კოსტუმთან – ერთად უკვე რახანია გასდგომ-ოდნენ იმ უკანასკნელ გზას ლომბარდიდან აუქციონისკენ, მთელ ჩენეს საუკეთესო ქონებას რომ ერგო ბედად. ჩემი ბავშვობის მშვიდი და მწვანე მოგონებებიდან ყველაზე უფრო მშვიდი და მწვანე ზაფხულებია. მაგრამ ეს ტყისა და მინდვრის სიმწვანე როდი იყო, რომლითაც ჩემი თანაკლასელები ტკბებოდნენ შეუზღუდვით თავისუფლების ნეტარ დღე-ებში; რომლის ზღაპრული სურნელი სწავლის დაწყების შემდეგაც დიდხანს წამოჰყვებოდათ და დასვენებებზე მღვლვარედ ნაამბობ თავგა-დასავლებში ამოიფრქვეოდა. ეს დახურულ დარაბებს მიღმა დავანებული ბინდის სიმწვანე იყო, ოთახს სულისშემხუთავი სიცხისგან რომ იცავდა. ეს სიმწვანე ქმნიდა გრილ სივრცეს, სადაც ნიავი არ იძვროდა და სად-აც მიძრალი გონებით უკვე სულ სხვა სინამდვილეში ვეშვებოდი. დე-დას ძალზე მოკლე შვებულებები ჰქონდა, ფული კი მხოლოდ აქა-იქ ჰყოფნიდა ქალაქებარეთ გასასვლელად. ასე რომ, ხანდახან კვირაობით თითქმის მთელი დღე მარტი ვიჯექი ოთხ კედელში გამომწყვდეული და, ძალაუნებურად, ჩემსავე გამოგონილ თამაშში ჩავიდი, რომელსაც „სოფლობანა და და-მმობანა“ დავარქვი. ამ თამაშში ჩემი საყვარელი წიგნების სანახები და პერსონაჟები სულ ერთმანეთში ავურიე, მოქმედების ერთ ადგილას მოვაკიე და ერთ დიდ ოჯახად ვაქიე, რომელთან ერთადაც ბუნებაში ვმოგზაურობდი. ასეთნაირად შევიძინე სამი მმა, ოთხი და, მამა, რომელიც ექიმი იყო, ბებია, რომელსაც რაიხენთალში ჰქონდა კარ-მიდამო, და თავგრუდამხვევი თავგადასავლები, რომლებიც იმდენად მიტაცებდა, რომ, როცა შინ მოსული დედა კვლავ რეალობაში მაბრუნებდა, თავს გაძარცვულად და მარტოდ ვგმორიდა. ჩემი ფანტაზიის სამყროში ოცნებასა და სინამდვილეს შორის ზღვარი ისე საშიშად წაშლილიყო, რომ ერთხელ, საავადმყოფოში ხანგრძლივი წოლისას, მოულოდნელად წავასწარი საკუთარ თავს, თუ როგორ ვუმბობდი უცხო ბავშვებს ჩემი და-მმებისა და მოგზაურობების შესახებ.

ჩემს თამაშებში მწვანე გადასაფარებლებს მნიშვნელოვანი ადგილი ეპავა. რიგ-რიგობით, რათა რომელიმე მეტად არ გაცვეთილიყო, ხან ერთს ჩამოვიდებდი საწოლიდან, ხანაც მეორეს, – შემდეგ არც თუ მცი-რე ჯაფად მიჯდებოდა მათი კვლავ გადაფარება ისე, რომ დედას ეჭვი არ აეღო, – და ფანჯრის ქვეშ იატაკზე გავშლილი ხოლმე, სადაც დარ-აბის ჭრილში შემოსული მზის სხივები თამაშობდნენ, ფეხზე გავიხდიდი

და მწვანე სიბრტყეზე შევაძიჯებდი. და ის იმწამსვე გარდაისახებოდა მოლად და ხავსად, რომელზეც ნეტარებით ვწვებოდი. ნაპირებზე მას ბაცი, მოყვითალო ზოლები დაჰყვებოდა. ეს იყო ჩემი ნაკადულები, ჩემი ბაბუაწერა და ბაია. პურის გულისგან პაწაწინა სოკოებს ვძერწავდი, ძირს ვდგამდი და ვიყავი ტყეში. ერთ ვაშლს ან ქლიავს თუ დავაგორებდი ზედ, უკვე ბაღი მქონდა. ასანთის კოლოფებისა და ფერადი ქაღალდისგან ციცქა სახლებს ვაშენებდი და მათგან ვქნიდი მწვანეში ჩაფლულ არნახულ ქაღაქებსა და სოფლებს, რომლებსაც შემდეგ გაოცებული შემოვივლიდი. ჩემს უფროს დასთან ერთად ვმღეროდი და ვლაპარაკობდი, ანდა თვალებს ვუჭავდი და ჩემი პატარა ძმების სიცილს ვაყურადებდი. ვიცოდი, დედას უხაროდა, მამამ რომ კიდევ ერთ ავადმყოფს შეუნარჩუნა სიცოცხლე, ხოლო ბებია ფერადი კენკრებით სავსე ჯამებს აჯღარუნებდა, თეთრ, ახალმოწველილ რძეს ასხამდა შიგ. და მოულოდნელად თავში კარგი აზრი მომდიოდა. ჩემს კლასელ გოგონას მოვიპატიუებდი. მას ქრისტელი ერქვა და სოფელში გამგზავრება არ შეეძლო, რადგან დედამისი უბრალო გამყიდველი იყო. მას არც მამა ჰყავდა, არც ბებია, არც და-ძმა და სულ მარტო იყო. ის რუსკედლებიან ოთახში ცხოვრობდა, მე კი მთელი უკიდევანო მწვანე სამყარო მეკუთვნოდა.

ჩემი ჯაღოსნური მწვანე ხალიჩა ზაფხულის ყველა სიხარულს მიცვლიდა. თანაც მისი ნაჩუქარი წუთები დაუბინდავი რჩებოდა ყოველი იმედგაცრუებისგან, გარდუგალად თან რომ ახლავს სინამდვილეს, სადაც ჩვენი სული მშვიდი თვითმმართველობის სფეროს ტოვებს და უცხო ძალთა თამაშის არეში ხვდება.

მაგრამ თანდათანობით ჩემი ბავშვური თამაშების ეს სახეები ჯაღოსნური საუფლოს ნაპირზე აღმოჩნდნენ და ჩემი სიმარტოვის წიაღში სულ სხვა ნანდაურთ დაუთმეს ადგილი. ზოგიერთ მათგანს სამუდამოდ დაგუმექობრდი, უფრო გუმანით, ვიდრე ცხადად. ასეთი მოწიწებითა და გაოცებით შემდგომში აღარასდროს შემისრუტავს შტიფტერის თხზულებანი და ვერთერის ცუცხლოვანი ენის მუსიკა, როგორც იქ, ჩემი ზაფხულის მწვანე კუნძულზე.

ვიდრე სამუდამოდ დავკარგავდი მასთან სიახლოვეს, მან მიბოძა უკანასკნელი დიდი შეხვედრა: ძმები კარამაზოვები. ისინი მეტისმეტად ნაადრევად წავიკითხე, მაგრამ მათი ვეება წყვდიადიდან, რომლის დაძლევაც ყოვლად შეუძლებელი იყო ჩემთვის, ელვასავით მომხვდა ერთი ფრაზა, მრავალი წლით რომ გადამისროლა წინ ჩემი ზრდის გზაზე. ვიმეორებდი მას, რათა უკვე აღარასდროს დამვიწყებოდა და მეგონა, ყველა ნაცნობ

ნაპირს ვშორდებოდი: „ჯოჯონეთი ისაა, როცა სიყვარული აღარ შე-გიძლია“. მან ამომგლივა ჩემი ბავშვობიდან და ყოველი შიშის უფსკრულის პირას გამრიყა, — იქ, სადაც ადამიანად ყოფნას ვსწავლობთ, სადაც ჩენს თვალებს ახალი ფერები აწყდება და მათი შმაგი ქოსიდან ხშირად მხოლოდ დიდი ხნის შემდგომ თუ ამოვარჩევთ იმ მრავალ მშვიდ ელფერს, რომელთა შორის ღმერთს ჩვენი ხვედრის ბეწვის ხიდი გაუბამს.

შინაარსი

ქრისტინე ლავანტი*

ამათ ვუწოდებთ ადამიანებს? – რა ადვილია ეს დაივიწყო...
თარგმნა ვასილ გულეურმა
დიახ, უფალო, მწამს, არსებობენ ორეული-ყოვლისმცოდნენი...
თარგმნა ვასილ გულეურმა
შავსა და წითელ კლდების ძირში...
თარგმნა ვასილ გულეურმა
უკან წაიღე სსოვნის ყველა ადვილიდან...
თარგმნა ვასილ გულეურმა
დროის საათებს შორის დგას რიგში...
თარგმნა ვასილ გულეურმა
მაშინვე, რიცა პრძნებებს გასცემ...
თარგმნა ვასილ გულეურმა
უბედურებაც ჩამომართვი და გადაკარგე...
თარგმნა ვასილ გულეურმა
თუ მოისურვებ გამოიეცხადო...
თარგმნა ვასილ გულეურმა
რაც ფიქრებიდან ვერ გავახუნე...
თარგმნა ვასილ გულეურმა
არ მოაშორებ ჩემგან ამ ვარსკვლავს?...
თარგმნა ვასილ გულეურმა
რატომ მაჩვენებ დედისეულ ნიშანს სხეულზე?...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ფერზე მოდის და ივსება მთვარე...
თარგმნა ვასილ გულეურმა
შემოქმედო, რაც ყალბად ჰქმენ, დაივიწყე...
თარგმნა ვასილ გულეურმა
გულო, გასწი, საღაც ითხოვ...
თარგმნა ვასილ გულეურმა
საფეთქლები მებერება თბილი ქარით...
თარგმნა ვასილ გულეურმა
აძღვრეული ვწერ და ვუმზერ...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ჩემი ხერხემლის თითოეულ მაღას უქურებს...
თარგმნა ვასილ გულეურმა
რა ძნელია, შენ არ იცი, დამიკვერე...
თარგმნა ვასილ გულეურმა

* ქრისტინე ლავანტის ყველა ლექსის პწყარედული თარგმანის ავტორია დ-რი **თამარ კოტრიკაძე**.

მხოლოდ ჩიტები თუ შეძლებენ...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
შენ ეს ფრინველი დამცინავად აღარ დაგისტვენს...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
Iმე ჩემს რისხაში სრულად ჩაგძირე...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
მომწვევიტე ყველა სისარულისგან...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
აუ, ასპიტი და ოქროს მახვილი...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
სამხრეთის ქარი უბერავს ტყეში...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ეს რა უთავო დამე ჩამოწვა...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
უცნობი ქალი მჭამელია ანტიდერთის თმის...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ალბათ, ცხოვრებას ვერ ავიწყობ მსგავსი დღეებით...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
მსურს შეშლილებთან გავიყო პური...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
მთვარესაც კი დაამსხვევდა მსგავსი დამე...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ო, ვარსკვლავო შინ დაბრუნდი, მითრთის ხელი...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
თუ შემომიშვებ, ვიდრე დილით იყვლებენ შენი მამლები...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ო, მთვარევ, ვეჯტვივით ზოლიანო...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
თავი დაიხრჩ ჩემმა ძილმა წყლის დინებაში...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
დალეწე ზარი, ჩემს ყურებში რომ ჩამალულა...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
შენ დაითვალე დროის კბილები?...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
შესანიშნავი დედაჩემის ზარით მაღირსე...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
მთვარე, ქარი და ვარსკვლავბი ამას ჩემთვის აღარ სჩადიოდნენ...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
თავდაჯერებით, ზშირ-ზშირ წვეთებად...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ყურებში ზარების რეპვაა...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
მინდა ყველა წყენას თვალებში კეთილად ჩავზედო...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ეს შენ დახრჩვე დედაჩემი?...
 თარგმნა ვასილ გულეურმა

ჩვენი ჩრდილები – შენი და ჩემი...
თარგმნა ვასილ გულეურმა
როცა მოვიდა ჩემი სული მტრედის წყაროსთან...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ოფლით, რომელიც ამოსკდება ლოდებიდანაც...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ხორბლის თავთავთა ორმაგ სიმაღლეზე...
თარგმნა ვასილ გულეურმა
თუმცა დავუთმე მთვარეს ჩემი გრძნობა-გონება...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ერთი წილი ძილი, სამი წილი შიში...
თარგმნა ვასილ გულეურმა
სამი შეხედვის დაშორებით ამ ჩემს თვალთაგან...
თარგმნა ვასილ გულეურმა
დღეიდან, მაგრამ სამარადჟამოლდ...
თარგმნა ვასილ გულეურმა
თუკი ეს შაშვი არ იყო, მაში იქნებოლა კაჭკაჭი...
თარგმნა ვასილ გულეურმა
მიწავ, რომ გქონდეს შენ ორი ბაგე...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ვარსკვლავები ისე, როგორც მსახურები...
თარგმნა ვასილ გულეურმა
გასული დამე თუ იყო მგელი...
თარგმნა ვასილ გულეურმა
განა იმიტომ მიცახვახებს ხელის მტევანი...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ნეტავ, ჩემამდე აქეთ გავლა ვინმემ გაბედა?...
თარგმნა ვასილ გულეურმა
გულის ზემოთ ნამგალ-მთვარით...
თარგმნა ვასილ გულეურმა
როგორ უცხო და გარეშე მზეა...
თარგმნა ვასილ გულეურმა
იდუმალებით სავსე ჩიტები...
თარგმნა ვასილ გულეურმა
მიშველე, მზე, მე თითქმის ბრძა ვარ...
თარგმნა ვასილ გულეურმა
მოდი, ვიყიდოთ გულწრფელობა ერთი მარცვალი...
თარგმნა ვასილ გულეურმა
სუნი ტრიალებს აპოკალიფისის...
თარგმნა ვასილ გულეურმა
თითისტარო, დამალულო მთვარეში...
თარგმნა ვასილ გულეურმა
უფალი ხარ ჩემი...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ის მეზობელს შეუვარდა ისევ...
თარგმნა ვასილ გულეურმა

უცოდველ ყრმათა სიკვდილის დღეს...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
გაკრულმა შენი მზის ბორბალზე...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
შენ, ჩემთვის მჭიდროდ დახმული ბაგით...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
მსურს წამერთვას თვალის ჩინი, ღმერთო...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ჩემი თვალები, ჩემი ორი შავი ღურსმანი...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
დიახ, მამაო, ყოველივე ძალზე კარგია...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
მხოლოდ და მხოლოდ ძილის უცხო გამონაზარდი...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
უსინათლობაშ დამრია ხელი...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ენდე ეკი პაჟს, შენს იალქიან ხომალდს რომ მართავს...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ჩემი სხეულის თითოეულ საფეხურს სახლობს...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
რა უყავ ჩემს წილ სინათლეს, ღმერთო?...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ხშირად მეჩვენება, თითქოს დედამიწა...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ჩემს გვერდით უცხოდ ჩაიგლის ძილი...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ჩემი დროის ძაფს ხშირად ვკარგავ...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ხეო მზის გულზე, უფოთლო და ბუდემოშლილო...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
შენ შეცვალე ლანდშაფტი ჩვენს შორის არსებული...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
უფლის მხევალი იმასა იქმს, რაც სურს და როგორც...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
როდესაც სული ძირს დაუცა განრისხებიდან...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
მწიფე ხილის სურნელებით...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
კილაცამ ღამით ამოიღო ჩემი თასიდან...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ჩემს ჩრდილს წყალზე შეუძლია გავლა...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
მეზობლის ციცარს საათივით ხმა აქვს და ასე...
 თარგმნა ვასილ გულეურმა
ამაღლდი, ამაღლდი, ძალავ დაწყევლილო...
 თარგმნა ვასილ გულეურმა

სევდამ ადგილი შეუცვალა ანთებულ ლამპრებს...
თარგმნა ვასილ გულეურმა
შენ სრულებით მარტო დაწჩი...
თარგმნა ვასილ გულეურმა
მაღლა ვარსკვლავთ, დაბლა ფესვებს...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ნეპნთა ჩემთა შიგნით, მაღლა...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ბოსტანში ჩამჯდარა კუდიანი...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ო, შენ, ანგელოზო უძიროვ...
თარგმნა ვასილ გულეურმა
აზჭყადი ჩემმა სტეპის ცხენმა...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ქარს სუნი ასდის ხახვის და ნივრის...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ალარც ვცემ ნუგეშს, ჩემს გულში მდგარი....
თარგმნა ვასილ გულეურმა
მამლების გარეშე, კოშკები ავლია...
თარგმნა ვასილ გულეურმა
მითხარი მხოლოდ ურთი სიტყვა და ფეხის დაგვრით...
თარგმნა ვასილ გულეურმა
ყვითელო ვაჟო, კვლავ შენ ფლობ ლაგამს?..
თარგმნა გიორგი კეკელიძემ
ქლალი ბეჭადი დოლის გაამაღებს!..
თარგმნა გიორგი კეკელიძემ
ჩამოაცალეთ ქერქი ამ ვაშლს, ოლონდაც ისე...
თარგმნა გიორგი კეკელიძემ
ალთქულ მიწაზე შურისგბაზ დაწნა ფესვები...
თარგმნა გიორგი კეკელიძემ
მქვია გულგრილი და გამრიყეს უფლის სახლიდან...
თარგმნა გიორგი კეკელიძემ
დროის ბორბალს დავრღომილი ვუმზერ მდორეს...
თარგმნა გიორგი კეკელიძემ
მსურს, რომ შევიტყო ყველაფერი ტანჯვის შესახებ!..
თარგმნა გიორგი კეკელიძემ

ქრისტინე ბუსტა*

ფიგილან ლამპა და დელფინი

ცხოვრება ამ ვარსკვლავზე
ჭრიჭინა ლამით

შემოდგინის წვემები
ზამთარი სახურავების ზემოთ
მიედის მიღმა
ბებრის ყვავილობა
სამყაროს სურათი
ლეგნდა
მკვდართა პორიზონტი
ჩიტები
მზერა სიღრმეში
ჰავლე მოციქულის მიერ კორინთელთადმი მიწერილი...
მერე

ტიგნილან ჩიტების თავშესავარი

ადამიანი და ღმერთი
უნგრული იაგნანა
დილის რიურაჟზე
ფაზები
წვიმის ზღაპარი
სახიფათო ზაფხული
წლის ბოლოს ნათქვამი
გაშლილი ხელები
ჩიტების მარეკი
არავინ
უცხო ლანდშაფტი
გამოთხოვება
უსახლპაროთა საველრებელი სიმღერა
განცხადი ძებნილის შესახებ
იოსებ არიმათიელის ბაღნარში

ტიგნილან გზად უძველესთა ცეცხლთა მიმართ

წყლის შაშვი
ცოდვა
ადამიანი
სკოპლე 1963
დასკვნა
ძილი
მშვიდთა შესახებ
ზღვარზე
მწიფე ქლიავი
ერთ მზესუმზირას

სიყვარულის სახელითაა ნათქვამი ესეც...
ხე ზამთარში
საიდუმლო
ეპიტაფია
ერთი ვარდის დაისის შესახებ
ქარბუქის ჭასთან
ვედრება
ზამთრის ამბავი
მთვარის დაბნელება
განსხვავებული ენა
მცირე ღოცვა დამისათვის
გზად უძველესი ცეცხლისაკენ

შიგნიდან მარილიანი ბაღგაი

დედას
ენა
მეტკიდრეობა
მარგინალიები
ყველა წინამორბედი წლიდან...
ღამით
უძლები შვილი
პური და სიტყვა...
სიღატაქე
ფსალმუნი
ბუდე
კათარზისი
დიდი ქალაქის ჩიტები
ბეღურის სიკვდილი

შიგნიდან შვიმის ხე

გალავანი
სოფლის ეკლესია
ქრისტიანისადმი ნათქვამი
ღვექსი
მოხუცებული ეკლესიის ეზოში
შუალამე
ვედრება
მარტოული შუადლე
ღამე
ღეგენდა
ვედრება სიკვდილისადმი

სიჩუმე
პორ, ნახტომი, გადახვეწა
ადამიანთა საბადებელი

ტიგნილან სრული ფარგავლობის შუაგულში

კვლავმიგნების მცირე ტოპოგრაფია
ლოცვანი
ცისკრის მცირედი ძღვენი
წყნარი შეგონება
წყალი და ქვა
ამპარტავნების გარეშე
შემობრუნება
გახსენ სარკმელი შენეული...
კოსმოური საათის დროით...

ტიგნილან ზეცა ფაბლნარში

არა მხოლოდ ჩემთვის ნათქვამი
განუზომელი სიღატაკის შესახებ
რეტროსპექტული ეპიგრაფი
აბელი ესარჩლება კაენს
გაშლილ მქლავებით
ერთი შეხვედრის წინარეგანცდა
ვგრეთწოდებული ჭკუა-გონების წინააღმდეგ

ტიგნილან სუნთქვა სიტყვისა

თოვლში სათუთად ჩაღვენთილი...
წასაკითხთა ნუსხა
მოკლული ასპიტი
კოცნა
ინფორმაცია სტუმრებისათვის
ერთგულება
ძახილი
ლოცვის შესახებ
ბრძენ, აქამომდე მოღწეულ ხალხებს...

* ლექსები ქრისტინე ბუსტას წიგნიდან ლამპა და დელფინი თარგმნეს **მზა გალლავაძემ** (პრარედი) და **გიორგი ქექელიძემ** (ლიტერატურული თარგმანი); ლექსები პოეტის წიგნებიდან ჩიტების თავშესაფარი, გზად უძველესითა ცეცხლთა მიმართ, მარილიანი ბაღები, წვიმის ხე, სრული წარმავლობის შუაგულში, ზეცა წაბლნარში და სუნთქვა სიტყვისა გერმანულიდან თარგმნა **ლულუ დადანძა**.

რა იყო, ნეტავ?
ჩემს მკითხველებს
სადაც მე კცხოვრობ
სიყვარულის დუმილი რომ...

დანართი

ქრისტინე ლაგანტი. სიმშვიდე სულის სამკიდროს კარია
თარგმნა თამარ კოტრიკაძე
ქრისტინე ბუსტა. ბაგშვილის ფერები
თარგმნა თამარ კოტრიკაძე